

ვენი V

არქეოლოგიური
გათხრები

«ვესთიქსა»

მხიწილი

1981

-ვანი V* — საქართველოს სსრ შეცნობებთან აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სხ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების შორივი ტომია. ის ეძღვნება ვანის ნაქალაქარის კულტურული ფენებისა და სამარხების ყველაზე მრავალრიცხოვანი მონაპოვრის — ძვ. წ. VI—IV ს-ის პირველი ნახევრის ადგილობრივი (კოლხური) კერამიკის სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ანალიზსა და სრულ პუბლიკაციას.

გამოქვეყნებული კერამიკა, როგორც წესი, ჩარჩნება დამზადებული ის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა (ქვევრები, დერგები, ღოქები, სასმისები, ჯაშები, ღარნაკები, შათარები, ქოთნები, ქვაბები, ზუფები, საწურები, კვირისტავები, ქანდაკებები) და ორნამენტის სრმდირობით.

ნაშრომში, პირველად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მოცემულია კოლხური კერამიკის უნიფიცირებული აღწერის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ორიენტაციანზე (ნიეთის აღწერა მუდამ ერთი და იგივე პოზიციიდან), სეგმენტაციასა (ნიეთის შემადგენელი ნაწილების აღწერა დანაწევრებულად და მუდამ გარკვეული თანმიმდევრობით) და დიფერენციაციაზე (ნიეთის თითოეული შემადგენელი ნაწილის თვისობრივი კლასიფიკაცია); შემუშავებულია ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია; გამოყენებულია პარალელური მასალები ძველი კოლხეთის სხვა ძეგლებიდან და ამით დგინდება ვანის ნაქალაქარის კოლხური კერამიკის როგორც საერთო, კოლხური ნიშნები, ასევე ლოკური თვისებურებები.

გამოკლევას ერთიან კატალოგი (640 ერთეული).

რედაქტორი პ. როფ. ო. თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე
Редактор проф. О. Д. Лордкипанидзе
Editor O. D. Lordkipanidze



ოთ. ლორთქიფანიძე, ელ. ბიზოლავილი, დ. კაპარავა, ვ. ლინაილი, მ. შირხალავა, ა. ბაშინია

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკა მანიღან

(ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი)

ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის უმსაველის ისტორიისათვის

მეთენება ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის ხელოსნობის ერთ-ერთ განვითარებულსა და მეტად დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა. ამ ხანის კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბებზე მიგვიითობს ჩვენს ხელთ არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა. კოლხეთში არ გვებულება ჩვენთვის საინტერესო ეპოქის არც ერთი ძეგლი — ნამოსახლარის თუ სამაროვანი, რომელზეც კოლხური თიხის ჭურჭელი ყველა ფორმით თუ არა, რამდენიმე კომპონენტით მაინც არ იყოს წარმოდგენილი.

პირველი ცნობა კოლხური კერამიკის აღმოჩენის შესახებ V არქეოლოგიური ყრილობის (თბილისი, 1881 წ.) მოსახზადებელი კომიტეტის ოქმებში გვხვდება¹. კოლხური თიხის ჭურჭლის ნიმუშები შესულია კავკასიის მუზეუმის კოლექციების აღწერილობებშიც².

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის შესწავლა დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებისა და სამაროვნების არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან ერთად დაიწყო, სახელდობრ, ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა აღმოჩნდა წინარეველინისტური ხანის ად-

გილობრივი კერამიკის კომპლექსები ოჩამჩირას³ და დაბლაგომში⁴. ამ ეტაპზე ხდება ახლად აღმოჩენილი მასალის აღწერა-დახასიათება; ეხდებით ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცდასაც⁵.

ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის შესწავლის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ბ. კუფტინის ნაშრომებთან. შეკვლევარი დაბლაგომის ანტიკური ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენებისა და სამაროვნის დახასიათებისას განიხილავს კოლხური კერამიკის ძირითად ფორმებს, გამოყოფს ადრეანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის ზოგიერთ განმსაზღვრელ ნიშანს, ადგენს გავრცელების საზღვრებს (შხოლოდ ქვევრების); ჩერდება ტექნოლოგიური პროცესის ცალკეულ ეტაპებზე; საგანგებოდ ეხება ორნამენტულ ზოტივებს, იკვლევს მათ სათავეებს⁶.

1954 წელს ქვეყნდება სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შორის წარმოდ-

¹ М. М. Иващенко. Античное селище близ Очамчыры (ხელნაწერი; ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში—იხ. ბ. ივანჯიკოს არქივი, №М16 და 16ა).

² Н. В. Хостариа. Древнее поселение в Даблагони, Канд. дисс., Тб., 1940.

³ განმარტებებს თვითაც აცდებდა მზნოთ ცალკეულ შეკვლევით წვდის კოლხური კერამიკის შესწავლის საქმეში მოვისწავლეთ მასალის განხილვისას.

⁴ Б. А. Купфин. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

¹ კომიტეტის ოქმებში მოხსენიებულია 1879 წელს ქუთაისში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრის ფრაგმენტ—იხ. Г. Е. Цертели. Заметки о курганах и раскопках по Ринской долине, Протоколы Подготовительного комитета к V Археологическому съезду в Тифлисе, М., 1882, с. 340.

² П. С. Уварова, Коллекция Кавказского музея, Археология, Тифлис, 1900, с. 109, № 2532.

გენილა არგანტიური ხანის სამარხებსა და კულტურულ ფენებში აღმოჩენილი კოლხური კერამიკის ნიმუშები?

60-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკის შესწავლაში. რაც განპირობდა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო-არქეოლოგიური სამუშაოების ფართოდ გავრცელებას. ახლად გამოკვლეული მასალების შემდგომი ანალიზი ერთად ქვეყნებს ძველ მონეტარულ ზოგადი კომპლექსი⁷. აღგანტიური ხანის კოლხური კერამიკის გარკვეული ყურადღება ეთმობა ზოგადი ხასიათის ნაშრომებშიც.

კოლხური კერამიკის, როგორც კოლხური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელ კომპონენტს, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მ. მიქელაძემ თავის მონოგრაფიაში — „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“ (თბ., 1974). ჩვენთვის საინტერესო წინარეკონსტრუქციის ხანის კერამიკა მიეკუთვნება მიქელაძისეული პერიოდისათვის შუა კოლხური პერიოდის პირველ ეტაპს, რომელიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს მოიცავს. ნაშრომში წარმოდგენილია ამ ხანის კოლხური კერამიკის ცალკეულ ფორმათა (ჭვევრები, ღერკები, რქებზე, სასმისები, წამბთა, ლანგებები)

⁷ ა. ჯ. კალაღაძე. სეხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სეხუმი, 1954, გვ. 16—23, 50, 69.

⁸ ა. ჯ. კალაღაძე. კოხის „ნაქობურალი“—ძველი კოლხური ნაშრომები, სპბ., ტ. VI, ბაჰუმი, 1963; ა. ჯ. კალაღაძე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველ კულტურის ისტორიისათვის, შხა, IV, 1965, გვ. 71—76; მხოვე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 40—50; გ. შაჰაძე. გურიანთა ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სსსრ, II, თბ., 1971, გვ. 13—17; ვანი I, თბ., 1972, გვ. 104—107, 183 193, 218, 212—213, 236—237; ვანი II, თბ., 1976, გვ. 13—14, 19, 25, 28—30; ვანი III, თბ., 1977, გვ. 67; ვანი IV, თბ., 1979, გვ. 28—37, 80—114; გ. გრიგოლიძე, გ. ფხაძე. მ. ბარამიძე. გ. ლორთქიფანიძე დასავლეთ საქართველოს სათხოვრ-არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის შედეგის შედეგები, შხა, V, თბ., 1973, გვ. 29—30, 32, 35; გ. ნადარაძე. ყვარლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 21—26, 28—36; მ. ბარამიძე. ნუხიჯვარის სამარხები, თბ., 1977; თ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევები მ. ბარამის ქვემო წელში, თბ., 1978, გვ. 42—49, 54—58; მ. მ. ტრაპაშვილი, ტ. II. Сухуми, 1971; Н. Ш. Кигурадзе. Дапнаური могилы, Тб., 1976.

⁹ Д. Д. Качаравა. Горд Гизнос в античную эпоху. Автореферат канд. дисс., Тб., 1972; Ю. Н. Воронио в. Гизнос, СА, 1976, № 4. с. 42—55.

ტიპოლოგიური და შედარებითი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია¹⁰.

კოლხური კერამიკა, როგორც ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური ხელოსნობის ერთ-ერთი წარმომადგენელი არსებობდა, შესწავლილია აქვს თითო. ლორთქიფანიძეს. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის შესწავლამ იგი შემდეგ დასკვნებამდე მიიყვანა: კერამიკული წარმოების ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფის პრობლემა ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნაზე უნდა დაწყებულიყო, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში კი უკვე ხდება მეთუნეობის სპეციალიზაცია (მაგ., მექვევრეობის ცალკე დარგად გამოყოფა) და კერამიკული წარმოება სასაქონლო ხასიათს იღებს; ამ ხანის კერამიკული ნაწარმი ტიპოლოგიური ერთიანობით ხასიათდება, მისი გავრცელება თანხდება ამ პერიოდის ხელოსნობის სხვა დარგების ნაწარმის არეალს და მთლიანად ექვევრა კოლხეთის სამეფოს საზღვრებში¹¹.

სპეციალური სტატია მიეძღვნა კოლხური კერამიკის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ელემენტს — ჭვევრს (ნ. ვაშაყიძე, გ. ლორთქიფანიძე). ნაშრომი ეხება კოლხური ჭვევრის ევოლუციის ზოგიერთ საკითხს (ფორმა, დეკორი) ე.

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკის ძირითადი ტიპები დახასიათებულია ე. გიგლაშვილისათვის და ე. კაჭარავას ნაშრომში¹².

ვანის ნაქალაქების ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკის, კერძოდ, ჭვევრის პირის გვირგვინის კლასიფიკაციისთვის ჩატარებული სამუშაო გამართებული აღგონებითს გამოყოფენობთ ელემენტარულ-გამომწვევლ მანქანაზე¹⁴.

¹⁰ თ. შიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 61—65, ტაბ. VII—XI.

¹¹ თ. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მოდენ“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სტრია, 1976, № 2, გვ. 111—117.

¹² ნ. ვაშაყიძე, გ. ლორთქიფანიძე. კოლხური ჭვევრები, სსსრ, V, თბ., 1975, გვ. 114—140.

¹³ Е. Г. Гиглашвили, Д. Д. Качарава. Кераника Колхиды VI—IV вв. до н. э., КСИА, вып. 151, М., 1977, с. 77—80.

¹⁴ გ. ილიაძე. ვანის ძვ. წ. V—IV სს. კერამიკის კლასიფიკაციის შედეგისათვის, არქეოლოგიური ძიებანი (ხალკოვანა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1977, გვ. 79—83.

მიუხედავად აღრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ფართოდ გავრცელებისა და მისი კოლხური მატერიალური კულტურის ერთ-ერთ განმსახლრველ ელემენტად აღიარებისა, ის ჭერჭეროზით არ გამოხდარა კოველმხრივი სავანგებო შესწავლის საფარს. საამისოდ კი პირველ რიგში აუცილებელია გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებისა თუ ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების (ნაქალაქარი, ნაშოსახლარი, სამაროვანი) კერამიკული კომპლექსების სრულად (ამასთან აღწერის უნიფიცირებელი სისტემით¹⁵) გამოქვეყნება. სამწუხაროდ, ასეთი სამუშაო კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციის თვალსაზრისით ჭერ ჩატარებული არაა. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარევის მხოლოდ ნაწილობრივ შეეხება ისახავს მიზნად: სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ვანის ნაქალაქარზე 1947 — 1978 წლებში მოპოვებული აღრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა (640 ერთეული), რომელიც კატალოგიზირებულია აღწერის უნიფიცირებული სისტემით. ამასთან წარმოდგენილია ამ მასალის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალოზისა და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის ცდა. სამწუხაროდ, ვერ მოეწყო ამ კერამიკის ტექნოლოგიური შესწავლა, რომლის შედეგები ცალკე გამოქვეყნდება.

აღრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა ვანის ნაქალაქარზე

(კულტურული ფენები და კომპლექსები)

აღრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის შემოკეული კულტურული ფენები და ე. წ. დახურული კომპლექსები დაფიქსირებულია ვანის ნაქალაქარის სამივე — ზედა, ცენტრალურ და ქვედა — ტერასებზე (იხ. ნაქალაქარის გენ. გეგმა, სურ. 1).

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკა რადიონობრივი თვალსაზრისით ყველაზე მარვლად ე. წ. ზედა ტერასაზეა აღმოჩენილი (მის საზრებო-დასაყავებო ნაწილში). ეს აინხნდა იმიო, რომ, ერთი მხრივ, ნაქალაქარის ეს ნაწილი უკვე

მოლიანდაა გათხრილი; ხოლო, მეორე მხრივ, მის სპეციფიკური ფუნქციის¹⁶ გამო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის კულტურული ფენები შედარებით ნაკლებადაა დაზიანებული ელინისტურ ხანაში (ქვედა და ცენტრალური ტერასებისგან განსხვავებით, სადა ე. წ. III—I საუკუნეების მშენებლობისას მოლიანდაა განადგურებული ან ძლიერაა დაზიანებული წინამორბედი ხანის კულტურული ფენები).

ზედა ტერასაზე ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კერამიკის შემოკეული ფენები ძირითადად ხით ნაგები ტაძარ-სამლოცველოს ირგვლივა კონცენტრიკული, დაფენილია უშუალოდ კლდეზე და ქანებზე—თირხა და სტრუქტურულად სხვადასხვა შედგენილობისაა. ესენია ე. წ. წაშალო თიხის (ნაქ. 193, ევ. k₃; ნაქ. 210, ევ. e₁₀–¹¹, f₉–¹⁰ e₈–⁹ h₈–⁹; ნაქ. 211, ევ. i₄–⁵, e₄–⁵, h₄–⁵; ნაქ. 212, ევ. a₁₀, b₉–¹⁰; ნაქ. 220, ევ. i₇, k₂–⁷; ნაქ. 221, ევ. e₅–⁶, f₅–⁶, e₅–⁶, h₅–⁶, i₅; ნაქ. 222, ევ. a₃, d₉, e₇–⁸, g₇, k₅–⁸; ნაქ. 223, ევ. a₁–⁷, b₁–⁷¹⁷, მხოშავორბივი ფერისა კულტურული ფენა (ნაქ. 192, ევ. k₆; ნაქ. 209, ევ. k₉–¹⁰; ნაქ. 220, ევ. i₉; ნაქ. 222 ევ. b₄, c₄, d₄–⁵, f₄–⁵, k₄–⁵; ნაქ. 223, ევ. a₁–⁹, a₂–⁹, b₁–⁹¹⁸, მშავი ორგანული ნაშთების შემოკეული თირხარევი ფენა (ნაქ. 222, ევ. e₉)¹⁹, აგრეთვე მყოველთლო თიხნარის (ნაქ. 210, ევ. h₁–² i₁–² k₁–²; ნაქ. 211, ევ. a₁–²) და მყოფითალი ნახანძარალი (ნაქ. 193, ევ. a₉–¹⁰, b₉–¹⁰, c₉–¹⁰, d₉–¹⁰;

¹⁵ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, ძველი ქალაქის ისტორიის პირველ ეტაპზე, როდესაც იგი კოლხეთის ერთობლივ ტერიტორიულ-აღმოსტრავილი ერთეულის ცენტრს წარმოადგენდა, სამსახლო ბრკევის ამ ნაწილს საკურო ფუნქციას ქონდა (აქ დგა ხო ნაგები ტაძარ-სამლოცველო, ხოლო ბრკევის წყარზე გამართული იყო კლდეზე დგენილი შიამოვანი რიტუალური „სახეობა“). ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ზედა ტერასის ერთი ნაწილი მდგრადმა სამარხებმა დაზიანდა. ელინისტურ ხანაში შიამოვანი ნაგებობა — მონუმენტური ცერემონიული საფეხურებოანი საკურთხეველი—ბორკის წყარზე აიგა, ხოლო ნაპირებზე—თაყვესელო ეკლესია „სახეობა“). ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ზედა ტერასის ერთი ნაწილი მდგრადმა შენელობა არ შეხებია. დაწერ. იხ. ვანი IV, გვ. 7—37.

¹⁷ ამ ფენის სტრუქტურის, სმაქარისა და შემოკეული ნაწილის შესახებ დაწერა იხ. ვანი IV, გვ. 28—29, კატ. №№ 515—576, სურ. 115—122.

¹⁸ იხ. ვანი IV, გვ. 29, კატ. №№ 585—674, სურ. 123—129.

¹⁹ იქვე, გვ. 29, კატ. №№ 680—684, სურ. 131.

¹⁵ სპეცილურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი და იგივე ჭრკვი სმარად სხვადასხვა სახეობით არის მოხსენიებული (ზოკვირ ერთი და იგივე ატორის მიერაც კი). მდრ. შენ. 217, 234.

ნაკვ. 192, კვ. კ₁₀)²⁰, ფეხიერი ნაცრისფერი (ნაკვ. 209, კვ. კ₁₀)²¹ და ჯირქვის ანტიკუებიანი (ნაკვ. 220, კვ. კ₉)²² ფენები (სურ. 2).

ეს ფენები თარიღდება უბირატესად თანხლები იმპორტული მასალით. მაგალითად, მოშაფო-რუხა ფენაში აღმოჩენილია ძვ. წ. VI საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებული ატიკური წვირიფი-გურული კოფიის²³, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის St. Valentin-ის ჩვეულის კანთაროსის²⁴ ფრაგმენტები, აგრეთვე ამფორის (სამოსური?) ქუსლის ფრაგმენტები²⁵, რომელიც ზოგადად ძვ. წ. VI—V საუკუნეებს განეკუთვნება. ამგვარად, ეს ფენა ძვ. წ. VI—V საუკუნეებით დათარიღდა. მოვეყიეთ თიხნარს ფენაში კი გვხვდება ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ქიოსური ამფორის პირის გვირგვინის ფრაგმენტი²⁶. სხვა ფენებში იმპორტული მასალა ფრაგმენტულობის გამო არ იმასღვრება, მაგრამ ეს ფენები კოლხეთის სხვა ძეგლებზე შროავებული პარალელური მასალებით თარიღდება ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით.

ზედა ტერასზე კოლხური კერამიკა წარმოდგენილია დახურულ კომპლექსებში, კერძოდ, ე. წ. რიტუალურ მოედანზე (ნაკვ. 223, კვ. ა₇-7, თირში ნაკვეთ რიტუალურ არხში (ნაკვ. 209, ნაკვ. 210, კვ. ა₁-1 და ბ₁-1, ც), ხის ტაძარ-სამლოცველოში (ნაკვ. 211, კვ. ა₁-1, ბ₁-1, ც₁-1, დ₁-1, ე₁-1, ლ₁-1, გ₁-1; ი₁-1; ნაკვ. 193, კვ. ა₂-10, ბ₂-10, ც₂-10, დ₂-10, ე₂-10, ზ₂-10) და ხის პათეშებიან ნაგებობაში (ნაკვ. 193, კვ. ხ₅ და ი₅).

²⁰ იქვე, გვ. 29—30, კატ. №№ 685—708, სურ. 132.

²¹ იქვე, გვ. 30, კატ. №№ 709—713.

²² იხ. ვანი IV, გვ. 30, კატ. №№ 714—716.

²³ ვანი IV, კატ. № 666, სურ. 129. ატიკური წვირიფი-გურული კოფიების შესახებ დაწერ. იხ. J. Beazley Little-Master Cups, JHS, vol. II, part II, 1932.

²⁴ იქვე, კატ. № 667; დ. კაპარავა. St. Valentin-ის ჩვეულის კერამიკა ვანლან, ვანი III, გვ. 117. ამ ჩვეულის კერამიკის შესახებ დაწერ. იხ. S. Howard, F. P. Johnson. The Saint-Valentin Vases, AJA, vol. 58, № 3, 1954, გვ. 191—207, ტაბ. 32—34.

²⁵ იქვე, კატ. № 665. ამ ტიპის ამფორების შესახებ იხ. И. Б. Зеевт. Керамическая тара Боспора, МИА, 83, М., 1960, с. 70, табл. 1, 3.

²⁶ იქვე, კატ. №№ 705 და 787; რ. უტოტი დ. იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარლან, ვანი II, გვ. 80. ამ ტიპის ამფორების შესახებ იხ. И. Б. Зеевт, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

„რიტუალური მოედანზე“²⁷ აღმოჩენილია ქვევრების, ღერგების, ქოთნების, სასმისების, შათარის და სხვა ფრაგმენტები (იხ. ამ კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა — სურ. 3). თანხლები და შვალაიანი ნაწარმი — წითელფი-გურული იმპორტიანი ლია ტიპის ქურკის ნიმუშები²⁸ — ფრაგმენტულობის გამო აქვს ვანისა-ზღვრება; ამდენად, ის კომპლექსის დასათარიღებლად არ გამოდგება.

ზედა ტერასის დახურული კომპლექსიდან განსუფრთხობი მნიშვნელოვანია ხის ტაძარ-სამლოცველო და ე. წ. პათეშებიანი ნაგებობა, რადგანაც აქ ადგილობრივ თიხის ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ატიკური კერამიკის კარგად დათარიღებული სერები. კერძოდ, იმპორტული კერამიკა ხის ტაძარ-სამლოცველოდან²⁹ წარმოდგენილია ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული St. Valentin-ის ჩვეულის კანთაროსის³⁰, ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისის წითელფიგურული სკიფოსის³¹, ძვ. წ. V საუკუნის წითელლაიკინი სკიფოსების³², აგრეთვე

²⁷ „რიტუალური მოედანი“ წარმოადგენს ხანძრისაგან გაუთიხებული თირის ქვებით მოგებულ 12 მ²-მდე ფართობს. კრამილი კომპლექსი დაფიქსირდა თორის ქვების აფრისას. დაწერ. იხ. ვანი IV, გვ. 35 — 36, კატ. №№ 827—894, სურ. 174—179.

²⁸ ვანი IV, კატ. №№ 867, 874, 875.

²⁹ ხის ტაძარ-სამლოცველო თიხის შეღესილი ორსათაფი სოიანი ნაგებობაა. ის აღმოსავლეთის მხრიდან ლია იყო, ხოლო დასავლეთიდან ედგოდა ფერფანი. კერამიკული მასალა აღმოჩნდა ნაგებობის კედლების ნანგრევებში. ამ ნაგებობის შესახებ დაწერ. იხ. ვანი IV, გვ. 30—33, სურ. 135—161.

³⁰ ვანი IV, კატ. № 792, სურ. 122. ამ ტიპის კერამიკის შესახებ იხ. S. Howard, F. P. Johnson. დასახ. ნაშრომ., გვ. 191—207, ტაბ. 32—34.

³¹ ვანი IV, კატ. № 795, სურ. 160. ამ წითელფიგურული სკიფოსის უახლოესი ანალოგიები დატყობილია ბრეტანო-სა (იხ. CVA, Great Britain, fasc. 5, London, 1929, ტაბ. 31, 1) და კამანიის მუზეუმებში (იხ. CVA, Italia, fasc. XXXIII, s. 1., 1954, ტაბ. 15), რომლებსაც ქ. ბიზლი ავტორიანებს ე. წ. Painter of London-ის F 128 ჩვეულებს და ათარიღებს ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით. იხ. J. Beazley. Attic Red-figure Vase-Painters, vol. II, Oxford, 1963, გვ. 1494.

³² ვანი IV, კატ. №№ 788—791, სურ. 159. ათენის აგორის მასალების კლასიფიკაციის მიხედვით ეს ნიმუშები მიეკუთვნება A ატიკურ ტიპს და ზოგადად ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება (იხ. B. A. Sparkes, L. Talcott. Black and Plain Pottery of the 6th, 5th and 4th Centuries B. C.,

ძე. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ქიოსური ამფორის ფრაგმენტებით. ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები ამ ნაგებობაში აღმოჩენილ ადგილობრივ კერამიკას (ქვევრების, ღერვების, ქოთნების, ჭამისა და სხვ. ფრაგმენტები—იხ. ამ კომპლექსის კრებით ტიპოლოგიური ტაბულა სურ. 4) ძე. V საუკუნით, უფრო მისი მეორე ნახევრით, და ძე. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ³².

განხილულ კომპლექსს უკავშირდება კერამიკული მასალა იმ ქვაყრილიდან, რომელი შექმნილია ხის ტაძარ-სამლოცველოს მშენებლობის დროს (ნაგებობის გარშემო ფართობის ნიველირების მიზნით)³⁴. რაიმეხდაც ხის ტაძარ-სამლოცველოს ნგრევის თარიღია მხოლოდ ზუსტად დადგინილი — ძე. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი, ამდენად ქვაყრილი და, შესაბამისად, მასში აღმოჩენილი მასალაც არა უგვიანეს ძე. წ. V ს-ის მეორე ნახევრისა — ძე. წ. IV საუკუნის დასაწყისისაა.

ე. წ. ბათქაშებიან ნაგებობაში³⁵ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა ძირითადად იმეორებს ხის ტაძარ-სამლოცველოს მუპოვებულ (St. V-a lentilios კგუფის ქურქლის³⁶, ატიკური ტიპის შავ³⁷ და წითელაკიანი სკიფოსების³⁸ ფრაგმენტები). ამას გარდა უკვე ფიქსირებულია შავ-და წითელაკიანი დატვიფრულორნამენტირანი კილიკების ფრა-

გმენტები³⁹, რომელთა უახლოესი ანალოგიები ათენის აგორადან ძე. წ. 420 წლით თარიღდება⁴⁰. ამგვარად, ბათქაშებიანი ნაგებობის კოლხური კერამიკის თანხლები იმპორტული მასალა ძირითადად ძე. წ. V საუკუნის მიუკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თიხის ნაწარმის ერთი ჯგუფი (ქვევრის⁴¹, ღერვების⁴², ქოთნების⁴³, ჯამის⁴⁴ ფრაგმენტები) ანალოგიურია ხის ტაძარ-სამლოცველოში აღმოჩენილი ნიმუშებისა, ხოლო მეორე ჯგუფი (ცანელურებიანი ქურქლის⁴⁵, ბიკ ტიპის ქურქლის ორნამენტირებული პირ-ეკდლოს⁴⁶ ფრაგმენტები) არქაული იფრისა და ანლოსა დგას წინარეატიკური ხანის კერამიკასთან⁴⁷ (იხ. ამ კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა—სურ. 5) და ბოლოს, თირში ნაყეთმა სარიტუალო არხებმა და ქვაბულმა⁴⁸ მოგვცა მხოლოდ ადგილობრივი თიხის ქურქლის ნიმუშები (ქვევრის⁴⁹, ღერვების⁵⁰, ქოთნების⁵¹, დოქის⁵², სასმისის⁵³ და სხვა ფრაგმენტები), რომელთაგან ზოგიერთი არქაულ იერს ატარებს (ცანელურებიანი ქურქული და სხვ.)⁵⁴ — იხ. ამ კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა — სურ. 6.

³² იქვე, კატ. № № 823—824, სურ. 164—165.
³³ B. A. Sparkes, L. Talcott, *დასახ. ნაწრ.*, გვ. 270, № 498, ტაბ. 50.
³⁴ ვანი IV, კატ. № 798, სურ. 162—163.
³⁵ იქვე, კატ. № 800—801, სურ. 162—163.
³⁶ იქვე, კატ. № 805, სურ. 162.
³⁷ იქვე, კატ. № 808, სურ. 162.
³⁸ ვანი IV, კატ. № № 806—807, სურ. 162—163.
³⁹ ვანი IV, კატ. № 809, სურ. 165.
⁴⁰ იხ. თ. შიქელიძე, *ძებნანი...*, გვ. 56—57, ტაბ. IV; ვ. თ. თორაძე, *ა. ა. არქეოლოგიური გათხრები დადგენილი 1973—1974 წლებში*, ვან III, გვ. 76, სურ. 59, 61; დ. ქორიძე, ვ. გოგაძე, ნოსარას არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის შედეგების ძირითადი შედეგები, სურ. II, თბ., 1971, გვ. 31—47, ტაბ. VIII; B. A. K y p t u h, *დასახ. ნაწრ.*, ტ. II, გვ. 121—125, სურ. 31—32, ტაბ. 40.
⁴¹ თირში ნაყეთი ეს კომპლექსი შედგება ქვაბულს, ორი ურიტირებადი კეფითი არხისა და ორი ორმოსაგან. აღრ. ანტიკური ხანის კლხური კერამიკა აღმოჩნდა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ მიმართული არხის ამოსასვლელ კილვი. დაიწერ. იხ. ვანი IV, გვ. 36—37, სურ. 82—91.
⁴² ვანი IV, კატ. № 907.
⁴³ იქვე, კატ. 909.
⁴⁴ იქვე, კატ. № 914.
⁴⁵ იქვე, კატ. № 918.
⁴⁶ იქვე, კატ. № 919.
⁴⁷ იხ. შენ. 47.

The Athenian Agora, vol., XII, part 1, გვ. 84—85, ტაბ. 16—17, სურ. 4). ასევე თარიღდებიან აპოლინიოში აღმოჩენილი ანალოგიური სკიფოსები. იხ. Т. И в а н о в. Античная керамика от некрополя на Аполонии, Аполония, София, 1963. აღრეული წითელაკიანი ქურქის შესახებ იხ. J. M. R i c h t e r, Accidental and Intentional Red Glaze on Athenian Vases, JHS, vol. XLVI, გვ. 143—150.

³² იქვე, კატ. № 787; ს. ფ. თ. თ. რ. ი. ძე, *დასახ. ნაწრ.*, გვ. 81.

³⁴ რიუს ქვებით მოკვებულა ხის ტაძარ-სამლოცველოს სამხრეთით და დასავლეთით არსებული კი. ქვაყრილი ხის ძელებით ყოფილა გამაგრებული და ზემოდან თიხით ვადალესილი. დაიწერ. იხ. ვანი IV, გვ. 33, კატ. № № 726—729, სურ. 152—153.

³⁵ ასე უკუწოდებთ ზედა ტერასაზე აღმოჩენილ ვადალესურ და ფოლად ქველი თიხის გუნდების მასას, რომელზეც შერჩენილია ხის ანაბეჭდები. ნაშთების სიმცირის გამო ნაგებობის ვგება არ ისახება და არც ხის ტაძარ-სამლოცველოსთან მისი აღმოკვებულებს დადგენა ხერხდება. დაიწერ. იხ. ვანი IV, გვ. 33—34, სურ. 162—165.

³⁶ ვანი IV, კატ. № № 817—819, სურ. 122.
³⁷ იქვე, კატ. № 820, სურ. 164.
³⁸ იქვე, კატ. № 821, სურ. 164.

ეცენტრალურ ტერასზეც აღრეანტურები ხანის კერამიკა დღასტერებულა როგორც ეცენტრულ ფენებში, ასევე დახურულ კომპლექსებში. ეცენტრული ფენების სტრუქტურა სხვადასხვაგვარია, ისინი კლდოვან დედაქანზე—თარხეა დაფენილი და ასევე ლოკემენტაციის შესვლა ანაშალი თიხისა⁸⁴. (ნაკვ. 85, კვ. ბ-10, ც-7,10, დ-7,10), «შაი» (ნაკვ. ქ XXXV, კვ. d⁸⁵), «ნაქისფერი თიხნარი» (ნაკვ. 68, კვ. ა-7, ნაკვ. 86, კვ. t, g, h)⁸⁶ და «ნაქისფერი ბათქაშებიანი» (ნაკვ. 85, კვ. ც-7, დ-7,10, ე-7,10, ზ-7, ნაკვ. 67, კვ. k-7,10; ნაკვ. 68, კვ. ა-7,10)⁸⁷ ფენების სახელწოდებებით. ხშირად ეს ფენები დაზიანებულია ელინური ხანის მშენებლობისა⁸⁸, ხოლო «ნაქისფერი თიხნარი ფენა» ადრენატურ ხანაშივე ჩაქრილი №11 სამარხის გამართვის დროს; სამარხის (ძვ. წ. V საუკუნის შესახებ)⁸⁹ თავზე ფიქსირებულია ნაქისფერი თიხნარი, რომელიც სამარხის გაჭრის დროსაა დაზიანებული და დაცრილი სამარხის თავზე. ამ ნაყარში კალხურ კერამიკასთან ერთად (დერჯის გვირგვინს, ე. წ. ზომორჯული უყურის, ხუფის და სხვ. ფრაგმენტები) აღმოჩნდა ქიოსური თასის (ე. წ. Chiot chalice) ფრაგმენტი, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევარით თარიღდება.⁹⁰ ეს ნიმუში, მიუხედავად მისი აღმოჩენის პირობებისა, განსაზღვრავს «ნაქისფერი თიხნარი ფენის» ქვედა თარიღს—ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევარი, ხოლო რაც შეეხება ზედა თარიღს, ეს ფენა ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. V საუკუნის შესახებზე ეკიანდელ ც. ი. სამარხის გამართვის შემდგომი დროის მასალას არ უნდა შეეკუდოს.

«ნაქისფერბათქაშებიან» ფენაში ვკვებდა უკეთეს ანგობზე წითელი ზოლებით მოხატული

ქურტლის ფრაგმენტები⁹². ამ ტიპის კერამიკა ეანის ნაქალაქარზე ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედისა და საუკუნის მიწურულის კომპლექსებშია დაფიქსირებული (სამარხები №№ 9—10)⁹³. ამდენად, «ნაქისფერბათქაშებიანი» ფენაში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკის (კვევრების, დერჯების, ქოთნის, ქამის და სხვ.) ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულამდე ჩამოდის.

იმპორტული მასალა დანარჩენი ეცენტრული ფენებიდან ფრაგმენტულობის გამო ვერ დათარიღდა.

ეცენტრალურ ტერასზე (ნაკვ. 85, კვ. ა) აღმოჩენილია აგრეთვე ადრენატურები ხანის ადგილობრივი თიხის ქურტლის გროვა; ორი ქოთანი, ქამი, ორი ხუფი (ი. წ. კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა — სურ. 7). ქურტული უშუალოდ თირზე იდო, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული იყო თიხის ქვების თითო რიგით; აღმოსავლეთიდან კი — თიხის სქელი ფენით. ქვებოცა და თიხა ეცესლის კვალს ატარებდა — გაწითლებული იყო⁹⁴.

ეცენტრალურ ტერასაზე დახურული კომპლექსებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება №11 სამარხს (ნაკვ. 104, კვ. k-7; ნაკვ. 105, კვ. ა-7). მის ინვენტარში⁹⁵ შედის 16 ადგილობრივი თიხის ქურტული: სამი დერჯი, ერთი ქოთანი, ოთხი ლოქი, ექვსი ქამი და ორი ლარნაკი (სამარხის კერამიკული ქურტლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 8). თანმხლები იმპორტული მასალიდან დამთარიღებელია ბრინჯაოს პატერა (ძვ. წ. 500—480 წწ.)⁹⁶, ევრცესლისა და თიხის კილიკები (ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედი)⁹⁷. რამდენადაც იმპორტული ნივთები ძვ. წ. V საუკუნის პირ-

⁸⁴ დარჯ. ამ ფენის შესახებ იხ. ეანი II, გვ. 30.

⁸⁵ ეანი I, გვ. 162—183.

⁸⁶ ეანი II, გვ. 25, 28, 38.

⁸⁷ ეანი II, გვ. 24—25, 28—29.

⁸⁸ ეანი I, გვ. 20, 22.

⁸⁹ ეანი I, გვ. 23.

⁹⁰ ნაქისფერი თიხის ფრაგმენტები და განსაზღვრული იყო ადრენატურ ნაქისფ. შემდგომი დღის მისი ქიოსური ნაქისფ. ქიოსური თასის გაჭრულზეა ეანი I სურათზეა მოყვანილი ნახევრით. დარჯ. იხ. B. A. Cкy-2 и в а. Хисские кувки из раскопок на островах Березани. CA, 1937 № 4, გვ. 128 და წყნა, R. M. Cюк. The Distribution of Chiot Pottery. BSA, 1944, t. 44, გვ. 154—161. ჩვენს ნიმუში ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარს ეკიანდება.

⁹¹ სურ. № 67; 1—71/1, 67:1—71/4.

⁹² ეანი I, გვ. 208, 212, სურ. 176.

⁹³ დარჯ. იხ. ეანი II, გვ. 30, სურ. 48.

⁹⁴ დარჯ. იხ. ეანი I, გვ. 213—239, სურ. 183—225.

⁹⁵ ეანი I, გვ. 230—234, სურ. 207. პატერა მიეკუთვნება ატრეუსი უჩრობის ე. წ. აკროპოლისის გუფს. ამ ტიპის პატერების შესახებ დარჯ. იხ. M. G J e d e s e n, Bronze Palæae with Antropomorphous Handrils, Acta Archaeologica, XIX, 1944, გვ. 110 და წყნა.

⁹⁶ ეანი I, გვ. 234—235, სურ. 209. ამ ტიპის კილიკები შესახებ დარჯ. იხ. H. B l o e s c h. Formen altischen Schalen von Exekias bis zum Ende des strengsten Stils, Berlin, 1940, გვ. 137 და წყნა, გვ. 141, ტაბ. 39. ჩვენს კილიკს ეახლოვება ანალოგ ათენის აგორაზე ძვ. წ. 450 წლის მახლობელი ხანებით თარიღდება. იხ. B. A. S p a r k e s. L. T a l c o l l. დასახ. ნაწარმი, გვ. 266, ტაბ. 20, № 443.

ველ ნახევარს განეკუთვნება, № 11 სამარხი თარიღდება არა უადრეს ძვ. წ. V საუკუნის შუახანებისა.

ცენტრალურ ტერასაზე სამარხების გარდა კიდევ ორი დასურული კომპლექსია შესწავლილი. ორივე შემთხვევაში კერამიკული კომპლექსები ერთნაირ პირობებში — თიხით შეღისილი ხის ნაგებობის ნანგრევების ქვეშ დაკონსერვდა. სახელდობრ, 85-ე ნაექთში (ყ. 68-9, 18-ა) გათხრილის ხის ნაგებობის⁸⁵ შიდა ფარობზე, ბათქაშების ფრაგმენტებისგან შემდგარი ფენის ქვეშ თავი იჩინა ადრეანტიკური ხანის კერამიკა, რომელიც მხოლოდ კოლხური თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი (ჭევერების, დერგების, ქოთნების, სასმისის და სხვა ფრაგმენტები — იხ. ამ კომპლექსის კრებით ტიპოლოგიურ ტაბულა — სურ. 9).

მეორე დასურული კომპლექსი აღმჩნედა ე. წ. თეთრი ნაგებობის⁸⁶ შიგნით (ნაკვ. 86, კვ. 12-4, 12-4). აქ, თეთრი ნაგებობის დასავლეთი კედლის ზედაპირიდან 1,80—2 მეტრის სიღრმეზე⁸⁷ ბათქაშებისა და დანახშირებული ძეგლების ფრაგმენტების ნაყარი მოფენილი იყო 12 მ²-მდე ფართობზე. ბათქაშების მასებზე იდო ყვივილი თიხნარი ფენა, რომლის სისქე 1,5 მ-მდე აღწევდა. ეს ფენა შეიცავდა როგორც ეფინისტურ, ასევე წინარეელინისტური ხანების მასალას და, როგორც ჩანს, წარმოქმნილი იყო „თეთრი ნაგებობის“ გაუქმების შემდეგ. ბათქაშების ნაყარის (მისი სისქე 0,30—0,40 მ-ს შორის მერყეობდა) აღებისას (და მის ქვეშ) დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკული მასალა: ჭევერების, დერგების, სასმისის, ჭამის, სხვადასხვა ჭურჭლის ე. წ. ზომორკფული ყურების და სხვა ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია დამახასიათებელი სახე-

ებით — ჭეღებით, ჭღევებით, ლარებითა და კაპებით.

ბათქაშების ქვეშ მოქცეული „ნაყრისფერი თიხნარი“ ფენაც ანალოგიური მასლით იყო წარმოდგენილი (ჭევერების, დერგების, სასმისის, ჭამების ფრაგმენტები). თიხის ჭურჭლის გვერდით „ნაყრისფერი თიხნარ“ ფენაში თიხის ადგილობრივი ქანდაკებების — ცხიველის გამოსახულებების ფრაგმენტებიც აღმოჩნდა (იხ. ამ კომპლექსის კერამიკის კრებით ტიპოლოგიური ტაბულა — სურ. 10—11).

განხილულ კომპლექსში კოლხურ კერამიკასთან ერთად იყო ძვ. წ. V საუკუნის იმპორტიული თიხის ჭურჭლის ნიმუშებიც, კერძოდ, ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით დათარიღებული ატიკური შავლაკიანი და მუფთავრული კილიკების⁸⁸, ძვ. წ. V საუკუნის მიწურულის ქროსონი ამფორის⁸² ფრაგმენტები. ამრიგად, თანმხლები იმპორტული მასალის საფუძველზე განხილული დასურული კომპლექსი ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება⁸⁹.

ნაქაპარის ქვედა ტერასაზე ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა ჭერჭერობით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კულტურული ფენა შესწავლილია მხოლოდ ერთგან (ნაკვ. 186). ამ ფენაში ადრეანტიკური ხანის მასალასთან ერთად გვხვდება წინარეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტები⁹⁰: ადრეანტიკური ხანა მხოლოდ ადგილობრივი თიხის ნაწარმითაა წარმოდგენილი: ჭევერების, ქოთნებისა და სხვა ფრაგმენტები.

ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის

⁸⁵ ამ ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი კედლის ნაშთი—ხის ძელების თოლი რიგი. ძელებს შიგნით ფართობზე დასატურდა ბათქაშების ფენა. კერამიკული კომპლექსი აღმოჩნდა ბათქაშების აუარის შემდეგ. დაწერ. იხ. ვანი 11, გვ. 29, სურ. 46—47.

⁸⁶ ესაა რიყის ქვის სამარხებზე თეთრი ქვებით ამოყვანილი ორსართულიანი სწორკუთხე შენობა. მისი აღმოსავლეთი კედელი არ შემორჩენილა. დასავლეთი კედლის სიგრძე 14 მ-ა. გვიანელინისტურ ხანაში „თეთრი ნაგებობაზე“ დაგენებული იყო თირის ქვებისა და ალ-ზისკედლებიანი ნაგებობა. დაწერ. იხ. ვანი 11, გვ. 26—28, სურ. 41—44; საქმე 1973 წელს, თბ., 1974, გვ. 48—49.

⁸⁷ ბათქაშების ღრენ არაოპანბარი იყო; ბათქაშების ნაყარი და მის ქვეშ მოქცეული კულტურული ფენები დაქანებული იყო აღმოსავლეთისაკენ.

⁸⁸ იხ. კაპარაეა. ძვ. წ. V—IV საუკუნეების შავლაკიანი კერამიკა ვანის ნაკვალაქრიდან (ხელნაწერი; იხ. სხვა აქტიპოლოგიური შეკვლის ცენტრის პალეოგრაფიკული კვლევის ლაბორატორიის არქივი—ნ. 54). ამ ტიპის კილიკების შესახებ. დაწერ. იხ. B. A. Sparkes, L. Talcott. დასახ. ნაწარ.

⁸⁹ იხ. ფუთრის ძე. დასახ. ნაწარ, გვ. 81. ქოსლური ამფორების ამ ტიპის შესახებ დაწერ. იხ. J. K. Anderson. Excavations on the Kofina Ridge, Chios, BSA, XLIX, 1954, გვ. 169—170.

⁹⁰ უილიამს „თეთრი შენობა“ ამოყვანილია ბათქაშებიანი ნაგებობის ნაშთებზე, რომელზეც ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსი დააკონსერვა, მისი შენებლობა ძვ. წ. V ს. ს. შემდეგ, კერძოდ, ძვ. წ. IV ს. ს. საერაუღებელი (მდრ. ვანი 11, გვ. 29. აქ შენელების თორღელ ზოგადლ ძვ. წ. V—IV ს. ს. თემი ჩინებული).

⁹¹ ვანი 1, გვ. 105—107.

აღსაზრის ცალკეული შემთხვევები ქვედა ტერასებზე ღადასტურებულია ელინისტური ხანის საყუბუ-საბარო კომპლექსის⁷⁵ მიმდებარე ფართობის გათხრისას.

ქვედა ტერასებზე მხოლოდ ერთი დახურული კომპლექსია შესწავლილი — № 6 სამარხი⁷⁶. ამ სამარხის უთვნილადაა მიჩნეული თიხის ერთი პირწყალული დოქი⁷⁷. სამარხში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ფიალები, ვერცხლის თასი, ჩაჩა⁷⁸, ოქროს პოლიქრომიული პეტროალი⁷⁹, პოლიქრომიული მინის ნაწარმი — სამი ამფორისკი, ერთი ოინოხოია და ერთი ოთხწახანგა სანელ-საცხებლ⁸⁰ — ძვ. წ. V საუკუნითა და IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება⁸¹. სამარხში მოპოვებული ოქროს სამკაულების ერთი ნაწილი უკვე შირდება ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებით დათარიღდება № 11 სამარხის ნივთები, ხოლო ჭიხვის, ლომისა და ხბოსთავიანი სამკაურები⁸² და

ფიგურულსაქილიანი საყურები⁸³ სამკაულთა უფრო ახალგაზრდა ჯგუფს შეადგენს. ამგვარად, № 6 სამარხის თარიღი ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვრება⁸⁴.

აღრეანტიკური ხანის ადგილობრივი კერამიკის ნიმუშები ზნირად იჩენენ თავს ნაქალაქარის მთელ ტერიტორიაზე ჰუმუსურსა და ნაყარ ნარევე ფენებში. ამ უქანასწებლებს მიეკუთვნება, მაგალითად, ზედა ტერასაზე „კირქვის ანატაკეებიანი“⁸⁵, „ნაიონფერი“ თიხანარი⁸⁶, „მკერივი რუხი“ ფენები (ნაყვ. 210, კიხ. ა3, გ2, ი2-3, ი2-4, კ3), ქვედა ტერასაზე — ე. წ. თირივანი ფენა, რომელიც ელინისტურ ხანაშია შემქმნელი (ნაყვ. 167—168 და 186—187-ის მიჯნაზე).

დათარიღების, აღწერისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები

1. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კოლხური კერამიკის დათარიღება დაფუძნებულია სამ წყაროზე — თანმხლებ იმპორტულ ნაწარმზე, სტრატიგრაფიასა და პარალელურ მასალებზე კოლხეთის სხვა ძეგლებიდან. ამათგან დათარიღების ძირითადი წყარო თანმხლები იმპორტული თიხის ჰურჭლის ის სერიებია, რომელთა ტიპოლოგია მყარ საფუძველზე დგას. ეგენია: აქრეურის მოხატული და შევლიკიანი კერამიკა, სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ამფორები.

2. აღწერილობითი ანალიზისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციისთვის გამოყენებულია „პარქეოლოგიური მასალების დოკუმენტური ანალიზის ცენტრისა“⁸⁵ და საბჭოთა სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები⁸⁶.

⁷⁵ ესაა როდის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების შეიწვე ნაგებობების, სარტულუო შედგენისა და სამსახურბოსავან (დოქრ. იხ. PAH B 1973 r. გვ. 35—38, ტბ. VII—I; PAH B 1974 r., გვ. 41—43, ტბ. 34—36; PAH B 1975 r., გვ. 65—66, ტბ. XXXVIII—XLII). ადრეანტიკური ხანის კულხურმა აგრამიამ თავი იჩინა ნაგებობის გარეთ ვადანაყარში. უქანასწებლ ხანებში ნაქალაქარს ქვედა ტერასაზე აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის სტრუქტურალები ფენა, რომელიც ერთ არის ბოლომდე შესწავლილი.

⁷⁶ სამარხის შესახებ იხ. ვანი I, გვ. 113—117, სურ. 35—65

⁷⁷ ვანი I, გვ. 117.

⁷⁸ ამ ტიპის ფიალებს შესახებ დოქრ. იხ. D. E. Sironig. Greek and Roman Gold and Silver Plates.

⁷⁹ ა. კუკონია, პეტროალი ვანდან (ხელნაწერი; ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პალეოტრანსიტული კვლევის ლაბორატორიის არქივში—ნ. 54).

⁸⁰ შ. ი. რ. ხ. ა. ვ. ა. პოლიქრომიული მინის ნაწარმი ვანის ნაქალაქარდან (ხელნაწერი; ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პალეოტრანსიტული კვლევის ლაბორატორიის არქივში—ნ. 54). ამ ტიპის მინის ჰურჭლის შესახებ დოქრ. იხ. P. Fossing. Glass Vessels before Glass-blowing. Copenhagen, 1940, გვ. 71—72, სურ. 47; გვ. 75, სურ. 52. Dan P. B. a. g. Rod-formed Kohl-tubes of the Mid—first Millennium B. C., JGS, XVII, 1975 გვ. 23—36.

⁸¹ სმარხის იმეგრტარის ერთი ჯგუფი, სხვადობრ, გლიტრული ძეგლები ძვ. წ. VI ს. ზოლო წლებითა და ძვ. წ. V ს. დასაწყისითა დათარიღდება. იხ. შ. ლ. რ. თ. ძ. ი. ვ. ნ. ი. ძ. წარჩინებული კლასი ჰელის საბუქრებზე № 6 სამარხიდან, ვანი II, გვ. 103—115.

⁸² P. A. m. a. n. d. r. y. Orléverrie achéménide, AK, I, 1958, გვ. 14—15, ტბ. 11—12.

⁸³ ა. კ. კუკონია. ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურები ვანის ნაქალაქარდან, ვანი III, გვ. 99.

⁸⁴ ით. ლ. ო. რ. თ. ძ. ი. ვ. ნ. ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 9; აღსანიშნავია, რომ სამარხის ამგვარი დათარიღების მიზნება და პარალელურ მთითობულ ნაწარმში (იხ. Dan P. B. a. g. B. a. g. დასა. ნ. მ. რ., გვ. 24—25).

⁸⁵ არქეოლოგიური მასალების დოკუმენტური ანალიზის ცენტრი (САД) პარიზშია დაარსებული 1956 წელს ქ. გარდნის ინსტიტუტით.

⁸⁶ Д. В. Деопик, А. М. Карпатьян и др. Некоторые принципы описания применительно к возможным статистическому анализу. Статистико-комбинаторные методы в археологии, М., 1970, с. 100—119; Б. И. Маршак. Код для описания керамики Пенджикента V—VI вв., Статистико-комбинаторные ме-

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური ევრაზიის თავისებურებებმა განაპირობა გარკვეული ტკივილების შეტანა რეკომენდირებულ პრინციპებსა და სქემებში.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ადრეანტიკური ხანის კოლხური ევრაზიის აღწერილობითი ანალოზი დაფუძნებულია გარდენისეულ სამ ძირითად პრინციპზე⁸⁷:

ა) ორიენტაცია — ნივთის ბუნებრივი მდგომარეობა მისი ფუნქციის შესაბამისად;

ბ) სეგმენტაცია — ნივთის ძირითად შემადგენელ ნაწილებად დაყოფა მუდამ ერთი და იმავე თანმიმდევრობით (ზემოდან ქვემოთ); ვანის ნაქალაქარის მასალებით ჭურჭლის ძირითად სეგმენტებად გამოყოფილია პირი, ყელი, ტანი, ძირი, ყური, სახელური (სქემა იხ. სურ. 12-ზე). შესაძლებელი ხდება ზოგიერთი სეგმენტის დანაწევრება. მაგალითად, იმ ჭურჭელზე, რომლის ტანის უდიდესი დამატური მის ზედა ნაწილზე მოდის, გამოიყოფა მხარი. ძირზე ზოგჯერ ვახვდება ქუსლი, ან ფეხი (სეგმენტების შიდა დანაწევრების სქემა იხ. სურ. 13-ზე).

გ) დიფერენცია — თითოეული სეგმენტის აღწერა. ძირითადი მახასიათებლებია პროფილი — კონტური და დახრილობა — ერთი სეგმენტის მიმართება მეორესთან (პირის დახრილობა) ან სეგმენტის ერთი ბოლოს მიმართება მეორესთან (ყელისა და ტანის დახრილობა).

პირის დახრილობა (ანუ პირის მიმართება მომდევნო სეგმენტთან) ვანის მონაპოვრის მიხედვით შემდეგ ვარიანტებს იძლევა: სწორი, შიგნით გადახრილი, გარეთ გადახრილი, გარეთ გადაშლილი, შიგნით ჩაეცილი (სქემა იხ. სურ. 14-ზე). პროფილი არის გამობერული, სწორხაზოვანი, რთული (სქემა იხ. სურ. 15-ზე).

ყელი და ტანი ასევე ორი ძირითადი მახასიათებლით განისაზღვრება. ამ სეგმენტებზე დახრილობა ერთი ბოლოს მეორესთან მიმართებას განსაზღვრავს, და შეიძლება იყოს ქვემოთ დაიწროებული (ანუ ზემოთ გაფართოებული), ქვემოთ გაფართოებული (ანუ ზემოთ დაიწროებული

ლი), თანაბრად მიმართული. პროფილი სამი სახისაა: სწორხაზოვანი, შეზნეპილი, გამობერული⁸⁸.

ძირს მხოლოდ ერთი მახასიათებელი აქვს — პროფილი, რომელიც ვანის მასალებში ყოველთვის სწორხაზოვანია.

ყური და სახელური ხასიათდება პროფილით და განივევებით.

გარკვეულ შემთხვევებში დახასიათებულია სეგმენტების შეერთებაც. სახელდობრ, განსაზღვრულია პირის გვირგვინის გვერდების, აგრეთვე პირისა და ყელის (მხოლოდ ქვევრებზე), ყელისა და ტანის შეერთების ხასიათი. შეერთება შეიძლება იყოს ყუთხით, თანდათანობითა და პირდაპირ (სქემა იხ. სურ. 15-ზე).

პროფილისა და დახრილობის გარდა აღწერილობითი ანალოზი ითვლისწინებს ორნამენტს, ზომებსა და ექსს⁸⁹.

აღწერილობის ენის უნიფიკაციების მიზნით შემუშავებულია შემდეგი ტერმინოლოგია:

გარეთ გადახრილი, რთულპროფილიან პირის კიდეს, რომელსაც აქვს ზედა, გარეთა და ქვედა, ან ზედა და გარეთა გვერდები (სქემა იხ. სურ. 15-ზე); პირის გვირგვინს ვუწოდებთ; ღია ტანის ჭურჭლის (ჯამის, ბაღის, ხუფის) ტანს — „კალთას“; სწორხაზოვანპროფილიან და თანაბრად მიმართულ სეგმენტს — „ცილინდრულს“;

ტანის მოყვანილობა განსაზღვრულია ტერმინებით: „ბიკონუსური“, „ქილისებური“ (სქემა იხ. სურ. 16-ზე);

ტანის ფრაგმენტის მიმართ ვხმარობთ ტერმინს „ედილის ფრაგმენტი“; სწორხაზოვანპროფილიან ძირს „ბრტყელს“ ვუწოდებთ;

ტერმინები „ძირგამოზიდილი“, „ძირგამოყვანილი“ იხმარება ძირის ტანთან შეერთების ადგილის გაფორმების დასახასიათებლად (სქემა იხ. სურ. 16-ზე);

ყურის პროფილისათვის გამოყენებულია ტერმინები „ზემოთ მორკალული“, „თანაბრად მორკალული“, ხოლო განივევებისათვის — „რეკალურგანივევითიანი“, „ნახევაროვალურგანივევითიანი“ და „მრგვალგანივევითიანი“ (სქემა იხ. სურ. 17-ზე);

тоды в археологии, с. 25—33; Д. В. Леоппик. О. К. р. у. г. Эволюция светлоглиняных узкогорлых амфор с профилрованными ручками, СА. 1972. № 3; В. Ф. Генлиг. Программа статистической обработки керамики из археологических раскопок.

⁸⁷ J. G. Gardin, „Methods for the Descriptive Analysis of Archaeological Material“, American Antiquity, vol. 32, № 1.

⁸⁸ შტ. J. G. Gardin. დას. ნაშ.

⁸⁹ ყვეი განისაზღვრება მხოლოდ ფერით, ხოლო პერტიკულურად ანალოზის შედეგებს გამოქვეყნება ახლო მომავალში ივარაუდება.

შემუშავებულია ძირითადი ორნამენტული სახეების პირბოთი სახელწოდებებიც (სქემა იხ. სურ. 18-ზე).

ჯვალა შემთხვევაში „ეცის სისქე“ ტრადიციულად ნიშნავს კედლის სისქეს.

ჩვეულებრივ განისაზღვრება თიხის ფერი როგორც გადანატეხში. ასევე ზედაპირებზეც (მაგ. „რუხეკეიანი, შუახედაპირიანი“). როგორც გადანატეხი და ზედაპირი ერთი ფერისაა, მხოლოდ ეცის ფერია აღნიშნული (მაგ. „რუხეკეიანი“).

3. ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ადგილობრივი თიხის ნაწარმი წარმოდგენილია კურქლით, საოჯახო წარმოებისათვის განკუთვნილი ნივთებით (კვირისტავენი) და მცირე ქანდაკებებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაწარმში მოცემულია მხოლოდ კურქლის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცდა, ვინაიდან დღემდე გამოვლენილია ქანდაკებებმა და კვირისტავენიბმა მცირერიცხოვნებისა თუ სპეციფიკური დანიშნულების გამო არ მოგვცა ფორმათა ვარიაციების დადგენის საშუალება.

ქრამიული ფორმების ტიპოლოგიის ამოსავალია კურქლის მოყვანილობა.

ცალკეული კერამიული ფორმები ჩვეულებადია გეოგრაფიულად დანიშნულების მიხედვით, რადგანაც სწორედ ფუნქცია განაპირობებს კურქლის გარეგნულ სახეს⁹¹. ეს დაყოფა, ცხადია, პირობითია და ამა თუ იმ ჩუგუნის კურქელი სხვა დანიშნულებითაც შეიძლება ყოფილიყო თავის დროზე გამოყენებული. ასევე პირობითია ზოგჯერ თვით კერამიული ფორმის დაყოფა. კერძოდ, მეტრული პრისციპებიტის გამოყენებით ქვევრები დერგების იმ ტიპისაგან, რომლებსაც ქვევრების ანალოგიური მოყვანილობა აქვთ.

ქრამიული ფორმები აღნიშნულია რომაული ციფრებით, ხოლო ცალკეული ფორმის ტიპოლოგიური რიგი — არაბულით.

ა ბ რ ა ე ლ ი

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ადრეანტიკური ხანის კოლხური თიხის უქურქლო დანიშნულების მიხედვით ხუთ ჩუგუნად იყოფა: სამეურნეო, სამზარეულო, სეფრის, სამგზავრო და დეკორატიული.

⁹¹ შტრ. ლ. ბოკორიძე ი. ლ. კართლი და კახეთი, 1, თბ., 1949, გვ. 59.

სადღესოდ ჩვენს ხელ არსებული კერამიკული ფორმები ჩვეულებად შემდეგნაირად დანაწილდა: სამეურნეო კურქელში გაერთიანებულია ქვევრები (I) და დერგები (II); სამზარეულოში — ქოთნები (III), ქვაბები (IV), ხუფები (V) და საწურები (VI); სეფრისათ — დოქები (VII), სასმისები (VIII) და ჭამები (IX); დეკორატიულში — ლარნაკები (X); სამგზავროში — მათარები (XI). გარდა ამისა, ნაქალაქარზე წარმოდგენილია თიხის უქურქლის ისეთი ნიმუშებიც, რომელთა მიუთუნება ამა თუ იმ კერამიკული ფორმისათვის მათი ფრაგმენტულობის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა (XII). მომავალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა შეიძლება, ერთი მხრივ, მათში ახალი კერამიკული ფორმები გამოავლინოს, ხოლო, მეორე მხრივ, შეაყოს უკვე ცნობილი ფორმების ტიპოლოგიური რიგი.

სამეურნეო კურქელი

I. ქვევრები (კატ. №№ I—79, სურ. 19—37)

ქვევრის ძირითადი ფუნქცია მელვინობასთან არის დაკავშირებული (ღვინის დაყვანა, შენახვა)⁹². მაგრამ ზოგჯერ ქვევრის სხვა პროდუქტების (მარცვლეული, ზეთი, დამარილებული თევზი და სხვ.) შესანახავად⁹³ და ტრანსპორტირებისათვის (ტარად) გამოიყენებოდა⁹⁴. არ გამოირიც-

⁹¹ დაჭრ. იხ. ა. ბოხრაძე. შეენახვა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 114—149.

⁹² სომხარის ნაშთსაზარზე (ძვ. წ. VI ს. შუახანობა—ძვ. წ. V ს. შუახანობა) აღმოჩენილია ქვევრების ფრაგმენტები, რომლებზეც გამოყვად ნახევრებშია გაყოფილი. ფორმებზე, რომ ასეთი ქვევრები მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა—შტრ. ლ. ბოკორიძე, გვ. 55. უფრო გვიანდელი ხანისათვის (ძვ. წ. III—I სს.) ვანის ნაქალაქარზე ფიქსირებულა კიდევ მარცვლეულით სავსე ქვევრები—იხ. PAI в 1975 Г., გვ. 65.

⁹³ ამის მოწმობად მიჩნეულია კოლხური ქვევრების აღმოჩენა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებში (პანტიკაეონი, ნიმფეონი, შრამეონი, ტრიტაკი)—იხ. И. Б. Зетт И. Д. М а р ч е н к о. Тыны толстостенной керамики из Пантикалея, МИА, 103, 1962, с. 149—155, рис. 6—7; В. Д. Б л а в а т с к и й. Отчет о раскопках Пантикалея в 1945—1949, 1952 и 1953 гг., МИА, 103, с. 12, рис. 5—4 М. М. Худяк. Работы Нимфейской экспедиции

ხება თვით ქვევრების ექსპორტი⁹⁴. ხოლო ხმა-
რივიდან გამოსულ ქვევრებს, ზოგჯერ, ალბათ,
უხმარსა⁹⁵, დასაყრდენად ურნებად იყენებდნენ⁹⁶.

ქვევრების პროტიტიპებს ლიონის ინდუს-
ტრიის ადრეულ ეტაპზე გავრცელებულ დიდი ზო-
მის ქურქველში ხედავთ. ხოლო ბ. ეფთერინი ად-
რანტიკური ხანის ქვევრების წინაპრებად ეშე-
რის ისეთიოებებს მიიჩნევს⁹⁷. ქვევრების საბოლოო
ჩამოყალიბებას (როგორც ფორმით, ასევე დანი-
შნულებით) ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულს შა-
კუთვნებენ და მეურნეობის ახალი დარგის —
ქულებურული შეეწინააღმდეგების განვითარებას უკა-
შირებენ⁹⁸.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ქვე-
ვრი ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის
ერთ-ერთ წამყვან ფორმად გვევლინება. ჭერ კო-
ლდე 40-იანი წლების მიწურულისათვის დავრ-
ვილი მასალის საფუძველზე მივიღა ბ. ეფთერინი
იმ დასკვნამდე, რომ აქემენიდურსა და ადრეელი-
ნისტურ ხანაში ქვევრები ფართოდ იყო გავრცე-
ლებული დასავლეთ საქართველოში ჩიხბატუ-

რის ქედრიდან მოყოლებული აფხაზეთსა და ქუ-
რთისხანდ⁹⁹, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავ-
ლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევ-
ებამ კიდევ უფრო გააფართოვა და დააზუსტა
ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრების გავრ-
ცელების არეალი. ისინი აღმოჩენილია თითქმის
უკლებლოდ ყველა ძველზე, რომელიც შეიცავს
ძვ. წ. VI—IV საუკუნეების მასალებს (ბათუმის-
ციხე¹⁰⁰, ქობულეთ-ფიქნარის¹⁰¹, ფოთის მიდამო-
ების ნაოსახლარები¹⁰², ოჩამჩირა¹⁰³, სოხუმი და
მისი მიდამოები¹⁰⁴, გურჯაანა¹⁰⁵, ვანი¹⁰⁶, დაფ-
ნარის¹⁰⁷, დაბლაგომი¹⁰⁸, ქუთაისი და მისი მიდამო-
ები¹⁰⁹, ყვირილას ხეობის ნაოსახლარები¹¹⁰, ცხა-

⁹⁹ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. I, с. 68—70.

¹⁰⁰ ა. კ ა ხ ი ძ ე. მასალა აღმოსავლეთ შავიზღვის-
პირეთის ქაჯაქების ისტორიისათვის, გვ. 71—72; ნ. ვ ა შ ა
კ ი ძ ე. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. კოლხური ქვევრ-
ები, გვ. 96—97, ტაბ. XXIII, 7, 8, 9, 12; XXIV, 1, 8.

¹⁰¹ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთს..., გვ.
40—50.

¹⁰² თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძე-
ვა ჩოჩხის ქვეო წელზე, გვ. 55, ტაბ. XXIII, XXIV, LXVIII,
XLIX.

¹⁰³ თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. ანტიკური სამყარო
და ქვეიკოლხები, გვ. 58; Ю. Н. Воронцов. Гнезюс,
გვ. 15, სურ. 5; Д. Д. Кекава. Город Гнезюс в антич-
ную эпоху. Автореферат канд. дисс., Тб., 1972.

¹⁰⁴ ა. კ ა ლ ა დ ა ძ ე. სოხუმის მთის არქეოლოგი-
ური ძეგლები, გვ. 35—36, ტაბ. XIV, 16—23; Г. К. Ша-
н б а. Предварительные итоги работ на Эшерском го-
родище. КСИА, 151, с. 24.

¹⁰⁵ ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გურჯაანის ანტიკური ხანის არ-
ქეოლოგიური ძეგლები, გვ. 14.

¹⁰⁶ ანბ I, გვ. 104—105, 193, სურ. 69; ანბ III, გვ. 68,
სურ. 34, 35, 36, 37, 40, 42, 43; ანბ IV, გვ. 28, 30, 34,
36, კატ. №S 515—536, 585—612, 675, 680—681, 685—690,
709—712, 714—715, 717—719, 726—728, 741—759,
798—799, 827—838, 848—852, 868—871, 876—882, 903—
904, 907—908, სურ. 4, 6, 57, 115—119, 123—126, 130—
131, 152—153, 155—157, 163—165, 171—177, 181.

¹⁰⁷ Н. Ш. Кигурадзе. К истории населения
центральной Колхиды в античную эпоху, Авторсфе-
рат канд. дисс., Тб., 1972; Н. Ш. Кигурадзе,
Г. А. Лордкипанидзе. Дапнариское селение
и могильник, КСИА, 151, გვ. 59, 62—63, სურ. 1, 5.

¹⁰⁸ Б. А. Куфтин. Материалы к археологии
Колхиды, т. II, გვ. 20 და შეფ.

¹⁰⁹ თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. ანტიკური სამყარო
და ქვეიკოლხები, გვ. 42.

¹¹⁰ ქ. ნ ა ლ დ ა ძ ე. ყვირილას ხეობის არქეოლოგი-
ური ძეგლები, გვ. 21, ტაბ. VIII.

1939 г., СГЭ, 1940, с. 22—23; В. М. Скуднова.
Находки колхидских монет и пифосов в Нивцове, ВДИ,
1952, № 2, с. 240—241; В. Ф. Гайдукевич. Мир-
меский, Вршавца, 1959, с. 46—47; თალბა, რომ ქვევრ-
ებოთ კოლხეთიდან ვაქციონათ თაღლი, ცეცილი, სელის ზეთი,
დაჭერი, თბ. 2. ინახე, სავაჭრო ურთიერთობა ისტორიიდან
კოლხეთში, კავკასიურ-აზიურ-აღმოსავლურ კრებულ, II, თბ.
1962, გვ. 98—99; თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. ანტიკური
სამყარო და ქვეიკოლხები, თბ., 1966, გვ. 91; მისივე, არ-
ქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგადი
საკითხი, გვ. 113; Н. Н. Соколякский. Древнеоб-
рабатывающее ремесло в античных государствах Северо-
ного Причерноморья, МИА, 178, М., 1971, с. 37, прим.
239; О. Д. Лордкипанидзе. Древяная Кол-
хида, Тб., 1979, с. 10.

⁹⁴ თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და სა-
ქართველოს..., გვ. 113, შეფ. 10.

⁹⁵ ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე. კოლ-
ხური ქვევრები, გვ. 102, ტაბ. XXXI, 4.

⁹⁶ Н. В. Хостариа. Древнее поселение в
Даблагомни, с. 98—104; Б. А. Куфтин. Материалы
к археологии Колхиды, т. II, с. 1—148; М. М. Иващенко,
Кузшницкие погребения, Тб., 1945 (ხელნაწერი); ინახედა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არ-
ქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა-
ში).

⁹⁷ ა. ბ ო ხ ო ზ ა ძ ე. შეეწინააღმდეგებოდა ძველ
საქართველოს, გვ. 116 და შეფ.; Б. А. Куфтин.
Материалы к археологии Колхиды, т. II, с. 70, 71.

⁹⁸ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიგნები..., გვ. 62.

კია¹¹¹, საგვირიის დიხაგუძეები¹¹², გუგუქო-რი¹¹³ და სხვ.).

დაგროვილი მასალის საფუძველზე მეტნაკ-ლებად უკვე ცნობილია ადრენტიკური ხანის კოლხური ქვევრების სახე: მათთვის დამახასიათებელია ვარუთ ვადმოზირილი, მასური, ორნამენ-ტრული პირის გვირგვინი, მხრებგამოყვანილი ტანი, ბრტყელი ძირი და მთელი ზედაპირის და-ფრავა ორნამენტული სარტყლები¹¹⁴, რომლებ-ბიე ლარებისა და ქედების სხვადასხვაგვარი კომ-ბინაციებისაგან შედგება¹¹⁵. ზოგჯერ, როგორც ჩანს, უფრო გვიანდელ ეტაპზე გვხვდება ცხოველ-თა და ფრანტიკური არსებათა გამოსახულებანი, რომელთაც სტილისტურად უკავშირებენ კოლ-ხურ ბრინჯაოს ეტაპებზე გრავირებულ გამოსახუ-ლებებს¹¹⁶. ითვლება, რომ ასე მდიდრულად შემ-კული¹¹⁷ ქვევრებს ამ დროს მიწაში არა დგამდ-ნენ¹¹⁸.

ქვევრების დამზადების პროცესის შესახებ წარმოდგენას ეთნოგრაფიული მასალები გვიქმნი-ან¹¹⁹. თანამედროვე კერამიკულ წარმოებაში ქვევ-რის გაყვება ჩაჩხუბ იწყება — უფრო სწრაფად, ჩაჩხუბ მხოლოდ ქვევრის ძირი კეთდება, ქვევ-რის უღირესი ნაწილი კი უჩარხოდ შენდება ნა-

წილ-ნაწილ. ახლად ამოყვანილ კედლს სველ ჩუარს ჩამოუსვამენ და ხელისფიტორი ასუფთავე-ბენ როგორც შიდა, ასევე გარეთა მხრიდან. აღ-სანიშნავია, რომ ასეთი მოწოდების კვლი ადრე-ანტიკური ხანის ქვევრების კედლებზეც ჩანს (სურ. 37)¹²⁰. ქვევრის დამზადება რამდენიმე ღღეს გრძელდება და მასში რამდენიმე ოსტატი მონა-წილობით. კარგად გამოშრობილ ქვევრებს ყვრამი-კულ ქურში გამოწვავენ.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ფი-ცხელაურის მიერ ჩატარებული ლაბორატორიუ-ლი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ადრენტი-კური ხანის კოლხური ქვევრები 750—800° ტემ-პერატურაზეა გამოწვავილი. უკეთ შეიტაცეს კვარ-ცის, ქარსისა და პლაგიოკლასის მინარევებს¹²¹.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით მექვევრება წარმოვიღებდებოდა, როგორც სრულიად ჩამოყალიბებული და ცალკე დარგი ყვრამიკული ხელოსნობისა. ქვევრების ნატეხების არაჩვეუ-ლებრივი სიმრავლე ძე. წ. VI—IV სს. კოლხურ ნამოსახლარებზე იმის მოწმობადაა მიჩნეული, რომ ქვევრების დამზადებაში დასაქმებული იყე-ნენ სპეციალიზებული სახელოსნოები¹²².

ვანის ნაქალაქარზე სხვა კოლხური ნამოსახ-ლარების მსგავსად ქვევრები ძე. წ. VI—IV საუ-კუნეების ადგილობრივი ყვრამიკის ყველაზე მრავ-ალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან. ინვენტარიზირებუ-ლია 1000 ნიმუში. მათგან ჩვენს კატალოგში შე-სულია 210.

ვანის ნაქალაქარზე არ არის მოპოვებული ადრენტიკური ხანის ქვევრის არც ერთი მთელი ნიმუში. მასალა მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (პირის გვირგვინების, პირ-ყე-ლის, ყელის, ყელისა და მხრის, კედლების, ძირ-ტანის ფრაგმენტები). ამიტომაც შემუშავებულია ქვევრის მხოლოდ ცალკეული ნაწილების (სუგ-ნეტების) ტიპოლოგია. ამან კი, თავის მხრივ, გა-მოიწვია ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ მიერ შემუ-შავებული ტიპოლოგიის საერთო პრინციპის დარ-ღვევა. კერძოდ, როდესაც ტიპოლოგიის ამოსავალ-

¹¹¹ გ. გ რ ი ვ ი ლ ი ა, გ. ფ ს ა კ ა ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე. დასავლეთ საქართ-ვლის სასოფლო-აპროდუქტების ექსპედიციის 1966 წლის შემოკრბს შედეგები, მსკ, V, თბ., 1973, გვ. 32, ტაბ. XV, 1.

¹¹² ივევე, გვ. 34—35.

¹¹³ ივევე, გვ. 37.

¹¹⁴ სარტყლებად ორნამენტორება დამოწმებულია სხვა კერამიკულ ფორმებზე. დიჭერ. იხ. ქვემოთ, გვ. 26, 37, 43.

¹¹⁵ Б. А. К у ф т и н. М а т е р и а л ы к археологии К а х е т я н. II, გვ. 68—70; ვ. გ შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე, კოლხური ქვევრები, გვ. 96—100.

¹¹⁶ იხ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და სა-ქართველო ხანის ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 112.

¹¹⁷ თ. შ ი ვ ლ აძ ე. ადრენტიკური ხანის კოლხურ ქვევ-რებს ორნამენტის მიხედვით სამ ჩვეულებრივ ჯგუფს. დიჭერ. იხ. თ. შ ი ვ ლ აძ ე. ძიებანი..., გვ. 61—62.

¹¹⁸ დიჭერ. იხ. თ. შ ი ვ ლ აძ ე. ძიებანი..., გვ. 66; მსოფლ. არქეოლოგიური კვლევაძიება..., გვ. 55; ბ. ბ ს ო რ ა ძ ე. შევსახულობაძიებანი ძველ საქართველოში, გვ. 128; ვ. გ შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე, კოლხური ქვევრები, გვ. 100—101.

¹¹⁹ იხ. ბ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ე ლ ი. ქართული ყვრამიკა, I, გვ. 116—118; მ. წ ა თ ა რ ი ძ ე. ჭური და მისი დამზადების ტექნიკა აფრეთში, ქართული ხალხური შევ-სახულები და შეფერვების მიმდევრობის სამეცნიერო სე-სია, 1971, გვ. 15—16.

¹²⁰ დიჭერილები იხ. ქვემოთ

¹²¹ ანალიზის შედეგები თანხადა საქართველოს სსრ მეც-ნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნო-გრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტიკური არქეოლოგიის განყოფილებაში.

¹²² იხ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე, არქეოლოგია და საქართვე-ლის ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 112—119.

წერტილად ვერ გამოიყენება მოყვანილობა (პროფილი, დახრილობა) — ეს შეეხება ქვევრის ისეთ სეგმენტებს, როგორცაა ყელი, მხარი და კედლები — კლასიფიკაცია მხოლოდ ორნამენტზეა დაფუძნებული. რამდენადაც კლასური ქვევრი მდიდრულადაა ორნამენტირებული სხვადასხვა სახეების კომბინაციებით, ცხადია, რომ ერთი და იგივე ქვევრი შეიძლება შემკული იყოს ჩვენ მიერ გამოყოფილი რამდენიმე ტიპის ორნამენტით¹²³.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი აღრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, აღწერის წინაშეარ შეჩვენული პრინციპის შესაბამისად, ქვევრის ზედა სეგმენტით — პირის გვირგვინით ვიყუებთ.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ქვევრის პირის გვირგვინების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები განიკვეთის მიხედვით ორ ტიპად იყოფა; ხოლო თითოეულ მათგანში, მორფოლოგიური ნიშნების ცვლილებათა შესაბამისად, სხვადასხვა ვარიანტები გამოიყოფა.

I, 1. გვირგვინების პირველ ტიპში გავრთიანებულია ქვევრის პირის გვირგვინები, რომელთაც განიკვეთთ ოთხკუთხედი მოყვანილობა აქვთ. მათში გამოიყოფა ორი ვარიანტი:

I, 1A. ქვევრის პირის გვირგვინების პირველი ტიპის A ვარიანტის განსაზღვრული ნიშანია ის, რომ გარტა გვერდის სიგანე ყოველთვის აღემატება ზედა გვერდის სიგანეს¹²⁴, ამასთან, ამ ორ გვერდს შორის გადასვლა ბლაგვი კუთხით ხდება. ზედა გვერდის პროფილი ყოველთვის სწორხაზოვანია, გარეთასი — უმეტეს შემთხვევაში, გამომბერილი, ხოლო ქვედა გვერდისა — სწორხაზოვანი ან უმნიშვნელოდ შეზნევილი; ის ვიწროა¹²⁵ და კუთხით უერთდება ყელს, რომელიც ქვემოთ დავიწროებულია და შემკულია ირგვლივით ფართო ლარებით. ყელის შიდა მხარე ყველას გლუვი აქვს. გვირგვინის ცალკეული ნაწილების შემოჩამოთვლილი მახასიათებლები და გვერდ-

ბის ზომების თანფარდობა განაპირობებენ ამ ვარიანტის გვირგვინის სპეციფიკურ მონახულობას. ასეთია თერთმეტი ნიმუში (კატ. №№ 1—3, სურ. 19, 24). ამ ვარიანტის გვირგვინების უმრავლესობას ყვეისფერი კეცი აქვს; ამათგან ორი ნიმუში შევხვდებით ორიანი, ორი კი — რუხკეციანია, ყვეისფერზედაპირიანი.

განხილული ვარიანტის გვირგვინების (I, 1A) ერთიანობა მათს ორნამენტშიაც ეწინააღმდეგება: ამ ვარიანტის ყველა გვირგვინის გარტა გვერდი შემკულია ირიბი ლარებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დაკომპლექტი იარაღით არის დატანილი (კატ. № 1), ზოგჯერ ლარები სადაა (კატ. №№ 2—3). ლარები ზედაპირზე ღრმად არის ჩაქრული.

ვანის ნაქალაქარზე ეს გვირგვინები აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში (ბათქაშებიანი ნაქრისფერი ფენა“ ცენტრალურ ტერასაზე) და აგრეთვე ძვ. წ. V საუკუნის დაბრულ კომპლექსებში („თარიღის შენების“ მივინთ ცენტრალურ ტერასაზე და „ისის ბათქაშებიანი ნაგებობაში“ ზედა ტერასაზე)¹²⁶. ასე რომ დოკუმენტურად დასტურდება გვირგვინის ამ ვარიანტის არსებობა ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. V საუკუნეში.

კოლხების თანადროულ ძეგლებზე პირველი ტიპის A ვარიანტის ქვევრის პირის გვირგვინებს ზუსტი ანალოგია მოეძებნა ფანრალის გორაზე¹²⁷, აგრეთვე ტაშიშის ნამოსახლარზე¹²⁸.

ეს ვარიანტი ვარკვეულ სიახლოვეს ავლენს ყულანურხვას ოსურაიუმის გვირგვინთან, რომელსაც გამომქვეყნებლები ძვ. წ. VIII საუკუნის პირველი ნახევარი ათარიღებენ¹²⁹.

საერთო ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით. ყულანურხვას ტიპის ქურკლის გვირგვინი შეიძლება პირველი ტიპის A ვარიანტის გვირგვინების წინაპირბედ ფორმად მივიჩნიოთ: მათ მსგავსი აქვთ პროფილი, ყელი და ორნამენტი. პირის გვირგვინების ეს ვარიანტი ერთგვარ მსგავ-

¹²³ მაგალითად, დაბლაგოში აღმოჩენილ ქვევრის კედლის ერთ ფრაგმენტზე თანაარსებობენ ამოკურთხილი სამკუთხედი და ცხობელის თანასახულება—ზრდ. Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, ტაბ. 37, სურ. 29.

¹²⁴ ამ ვარიანტის გვირგვინების ზედა გვერდის სიგანე საშუალოდ 1,5—2 სმ-ია, გარეთასი—2, 5—3,5 სმ.

¹²⁵ მისი სიგანე საშუალოდ 0,8—1 სმ-ს ტოლია.

¹²⁶ ამ ფენის და კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 9, 10, 11.

¹²⁷ ინახება ქუთაისის ნ. ბერძენშვილის სახ. ისტორიულ-ენოგრაფიულ მუზეუმში, იხ. № 64—118.

¹²⁸ Ю. Н. Воронков. Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969, ტაბ. XXII, 3.

¹²⁹ Ю. Н. Воронков, А. С. Вознюк. Новые археологические находки в Гудаутском р-не Абхазской АССР, 1975, № 2, გვ. 270, სურ. 2.

გვაქვს ქვევრის პირის გვირგვინის მეორე ტიპის A ვარიანტის ორმოცდასამი ფრაგმენტი (ჯატ. №№ 8—14, სურ. 21—24). ზოგიერთი მათგანი რუცკეციანია; გვხვდება ყავისფერკეციანი ფრაგმენტებიც, რომელთაც ზედაპირზე შავი ლაქები აქვთ. მეორე ტიპის A ვარიანტის გვირგვინების დიდი ნაწილი ორნამენტირებულია: მათ ზედა გვერდს შემკული აქვთ დაბნელებული იარაღით დატანილი ტალღისებური ორნამენტით, ხოლო გარეთა გვერდი — ქვარედინი ხაზებით (ჯატ. №№ 8—9, სურ. 21). ზოგჯერ გარეთა გვერდზეა მხოლოდ ორნამენტი — ქვარედინი ხაზები (ჯატ. № 10, სურ. 21). შემკულობის ეს სახე — ქვარედინი ხაზები — ყველაზე დამახასიათებელი ორნამენტული სახეა განხილული ტიპის გვირგვინებისათვის. ამ პროფილის სამ გვირგვინზე გვხვდება განსაკუთრებული ორნამენტი — დაბნელებული იარაღით გამოყვანილი რომელიც ბადე, რომელიც გარეთა გვერდზეა დატანილი (ჯატ. №№ 11, 13, სურ. 22, 24). აღსანიშნავია, რომ მეორე ტიპის A ვარიანტის გვირგვინებს შორის გვხვდება სრულიად სავსე ფრაგმენტებიც. ამ უკანასკნელებს ყველის ზედაპირზე სწორად აქვთ მოსწორების შედეგად მიღებული ღარები, რომლებიც აქ შემკულობის ელემენტებად გვევლინება (ჯატ. № 14, სურ. 23).

ამ ვარიანტის პირის გვირგვინები ვანის ნაქალაქარზე მოიპოვებოდა ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებსა («ფხვიერი ნაცრისფერი» და «კირქვის ანატრეკეციანი» ფენები ზედა ტერასაზე)¹⁴⁰, ასევე ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ «მოშავო-რუხ» ფენაში ზედა ტერასაზე, ძვ. წ. V საუკუნის დასურთულ კომპლექსში, თეთრი შენობის შიგნით და ძვ. წ. V საუკუნითა და IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ხის ტრამპ-სამლოცველოში¹⁴¹. ასე რომ მათი არსებობა დოკუმენტურადაა ფიქსირებული ადრეანტიკური ხანის ყველა მონაკვეთზე. ასეთივე კურათი იქმნება კოლხეთის სხვა ძეგლებს მონაცემებითაც: გვირგვინების ზემოგანხილული ტიპის (I, 2) ანალოგიური მასალა ცნობილია დაბლაგომის ე. წ. ზედა კულტურული ფენიდან, რომელიც ადრეან-

ტიკურ ხანას განეკუთვნება¹⁴²; წყვეტილი გორას (დაფნარი) ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კულტურული ფენიდან¹⁴³; ქალაიდის საბაჟოს ტერიტორიიდან (ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი¹⁴⁴).

I, 2B. სამკუთხაგანიეკეთიანი გვირგვინების B ვარიანტის ნიმუშების გარეთა გვერდი მნიშვნელოვნად არის დაბნელებული, რაც ქნის გვირგვინის გამზოგად პროფილს. ასეთა მხოლოდ ორი გვირგვინი (ჯატ. №№ 15—16, სურ. 23); ერთი მათგანი რუცკეციანია, ყავისფერზედაპირიანი; მეორეს ყავისფერი კეცი აქვს. შიდა და გარეთა ზედაპირებზე მოსწორების კვალი შეიმჩნევა. გვირგვინის გარეთა გვერდს შემკულია დაბნელებული იარაღით დატანილი ქვარედინი ხაზებით. ამ გვირგვინების ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენის პირობები არ იძლევა საიმედო საფუძველს თარიღის ზუსტად განსაზღვრისათვის. ისინი ნაპოვნია პუმუსიტრებულ ფენაში (ზედა ტერასაზე)¹⁴⁵. პარალელური მასალების მოშეკვლიებით განხილული გვირგვინები ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. კერძოდ, ანალოგიური პირის გვირგვინები აღმოჩენილა გურიანთაში, ფენაში, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულსა და ძვ. წ. V საუკუნეს განეკუთვნება მასში აღმოჩენილი იმპორტული მასალის საფუძველზე¹⁴⁶; აგრეთვე სიმარგის ნამოსახლარზე, ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენებში¹⁴⁷.

ვანის ადრეანტიკური ხანის ქვევრის პირის გვირგვინების კლასიფიკაციის შედეგად გაიკრვა, რომ მხოლოდ მეორე ტიპის (I, 2) გვირგვინების

¹⁴⁰ Б. А. Кухтин. დასახ. ნაშრ., გვ. 94, სურ. 34
¹⁴¹ ი. ვ. ტაბ. 25.

¹⁴² Н. Ш. Кигурадзе. დასახ. ნაშრ., ტაბ. VII, 2; Н. Ш. Кигурадзе, Г. А. Лордкипანიძე. Длларское селище и могильник, КСИА, 151, გვ. 56, სურ. 1.

¹⁴³ თ. შიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., ტაბ. XVIII.

¹⁴⁴ ამ ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 12.

¹⁴⁵ ე. ვაშაძეძე. გურიანთის..., გ. 15, ტაბ. II, 2.

¹⁴⁶ თ. შიქელაძე. ძიებანი..., ტაბ. VII, 1. ამ ტიპის გვირგვინს თ. შიქელაძე ასე განსაზღვრავს: „პირი ზემოდან ბრტყელია და გარეთა გვერდით, კეთილად სმკუთხადანაკვეთიანია (შდრ. თ. შიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 61). ეს არის თ. შიქელაძის კლასიფიკაციის I ქვევრის ქვევრის გვირგვინი (იხ. იქვე, გვ. 59).“

¹⁴⁰ ამ კომპლექსის შესახებ ლაშქარ. იხ. აქვე, გვ. 8.
¹⁴¹ ამ ფენებისა და კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—9, 11.

ახლებობა ფიქსირებული დოკუმენტურად მთელი აღრეანტიკური ხანის მანძილზე. პირველი ტიპის A ვარიანტის (I, 1A) გვირგვინების გავრცელების ხანა იფარგლება ძვ. წ. V ს-ით, ხოლო პირველი ტიპის B ვარიანტისა (I, 1B) — ძვ. წ. V ს-ით და IV ს-ის პირველი ნახევარი. ამასთან, როგორც სხვადასხვა ვარიანტების აღმოჩენის პირობების შეფარება ცხადყოფს, გარკვეულ დროს ისინი თანაარსებობენ. სახელობარ, კრიტიკულ მოდელზე (ძვ. წ. VI—IV სს.) და ხის ტრამპა-სამლოკალიში (ძვ. წ. V ს. — IV ს. პირველი ნახევარი) ერთადაა წარმოდგენილი I, 1B და I, 2A ტიპის გვირგვინები, ხოლო თეთრი შენობის შიგნით (ძვ. წ. V ს.) ერთადაა ნაპოვნი I, 1A და I, 2A ნიმუშები.

ვანის ნაქალაქარზე ქვეყნის პირის გვირგვინის სამი ტიპოლოგიურად განსხვავებული სახეობა (I, 1A, I, 1B და I, 2) უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობს ერთდროულად. ამ სხვადასხვა ქველს აერთიანებს შემდეგი ნიშნები: კეცი, რომელიც, როგორც წესი, ყველა ნიმუშს ერთნაირი შემადგენლობისა აქვს; ორნამენტის დატანის ხერხი, რაც დაკბილული შტამპის გამოყენებაში გამოიხატება. საუკრადლებია, რომ გვირგვინების თითოეულ ვარიანტზე გარკვეული ორნამენტული მოტივი შეესაბამება: ღრმა ირიბი ლარები მხოლოდ პირველი ტიპის A ვარიანტის (I, 1A) გვირგვინებისთვისაა დამახასიათებელი (შდრ. კატ. №№1—3); პირველი ტიპის B ვარიანტის ნიმუშებს ყოველთვის ამკობს წიწვისებური ორნამენტისა და რომბული ბაღის სხვადასხვა კომბინაციები; ამასთან ყველად ხშირია წიწვისებური სახე (შდრ. კატ. №№4—7). რომბული ბაღი ახასიაღებს გვხვდება პირველი ტიპის A ვარიანტის (I, 1A) გვირგვინებზე; ასევე იშვიათისა მხოლოდ ტიპის გვირგვინებზე (ვაგონაქალისია ორი ნიმუში, შდრ. კატ. №№11, 13)¹⁴⁸. მეორე ტიპის გვირგვინებზე, როგორც წესი, გვხვდება ქვარდინი ხაზებისა და ტალღისებური ორნამენტის კომბინაცია (შდრ. კატ. №№ 8, 9). ამრიგად, დეკორი მორფოლოგიურ ნიშნებთან ერთად გვირგვინების ტიპოლოგიური გამოყენის საფუძვლად გვევლინება.

როგორც უკვე აღინიშნა, ვანის მონაპოვარში წარმოდგენილი ქვეყნის პირის გვირგვინების პირველი ტიპის A ვარიანტი (I, 1A) გენეტ. კურსი სი-ახლოვეს ავლენს წინარეანტიკურ ხანაში გავრცელებული პურტლების პირებთან. აღრეანტიკური ხანის ქვეყნის კავშირი წინავე ხანის პურტლებთან, სახელობარ, ეშერის ოსუაიუმებთან, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნულია¹⁴⁹. ვანის მასალების მიხედვით, წინამორბედი ეპოქიდან მიღებული მეჭვირდება პირველი რაგში ელინდება ქვეყნის პირველი ტიპის A ვარიანტის გვირგვინებში, რომლებიც ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსებშია ფიქსირებული. ამ ხანის შემდეგ ისინი ქვარდინით არ არის ცნობილი არც ვანის ნაქალაქარში და არც კოლხეთის სხვა პუნქტებში. ამდენად, შეიძლება მათი აღრეულ ფორმად მიჩნევა. რამდენადაც შეეცდებით სახით ამგვარი გვირგვინები ვანის ნაქალაქარზე ფიქსირებულია ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებში, სადაც მათ ახალი მორფოლოგიური ნიშნები უჩნდებათ: ზედა გვირგვინის სიკვანძობა, გარეთა — სწორხაზოვანპროფილიანი ხლები; განივკვეთი კვადრატის უახლოვდება.

ვანის აღრეანტიკური ხანის მასალაში წარმოდგენილი გვირგვინების პირველი ტიპის B ვარიანტის ნიმუშები გამოირჩევიან დახვეწილი ფორმით, რომელთაზეც ნატიფი დახვეწილი ორნამენტა შერწყმულია. როგორც თქვა, ამგვარი გვირგვინები მეტწილად წიწვისებური დეკორითაა შემუქვული (შდრ. კატ. №№6, 7); წიწვისებური ორნამენტი და მისი პურტლის გვირგვინზე დატანის ტრადიცია წინამორბედი ეპოქის გამოძახილია (ვაიხისეონა წინარეანტიკური ხანის მონობილი პურტლის პირები ნახუანულან¹⁵⁰ და დაბლაგომიდან¹⁵¹). ხოლო გვირგვინის ფორმა (ანუ განივკვეთი) და მისი რომბული ბაღით შემუქვა ამ ეპოქის სიახლად. ასეთნაირად არის შერწყმული პირველი ტიპის B ვარიანტის (I, 1B) გვირგვინში ახალი და წინარე ხანის ნიშნები.

რაც შეეხება მეორე ტიპის (I, 2) გვირგვინ-

¹⁴⁸ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II, с. 70—71; 6. ვანაქიძე, ვ. ლორთქიფანიძე, კოლხური კვანძი, გვ. 95.
¹⁴⁹ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II, с. 56, სურ. 48, 49.
¹⁵¹ ვ. თორდია და ვ. დამას. ნმრ., სურ 59 გ.
 № 10: 11: 12: : 60 1.

ნებს, ეს ჩვეუთი არავითარ კაცშიც არ აელენს წინაშეობდენ ხანის მასალასთან: ადრეანტიკური ხანის სიახლეა სამკუთხა განიკვეთილ და გვირგვინის შემკობა დაკბილული იარაღით გამოუვანიო ტალისებური ანდაზოდა და ქაჯარდინი ხაზებით. ის საკმაოდ მდგრადი ფორმაა და, როგორც ამას ეანის დახურული კომპლექსების მასალა მოწმობს, უცუელი სახით არსებობს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე.

საყურადღებოა, რომ ამ ტიპის გვირგვინები ფიქსირებულია ეანის ნაქალაქარის ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებშიც („ყვითელი თიარნარევი“ და „ნატიოსნური ყვითელნარევი“ ფენები ცენტრალურ ტერასაზე¹⁵²).

ეანის ადრეანტიკური ხანის ქვეერის პირის გვირგვინის მკვეთრი ტიპოლოგიური სხვაობა ახსნას მოითხოვს. ჩვენ გვიძნელდება თითოეული ეარიანტის ვაერცელების მკაცრად შემოფარგულად დროული ვაერცელი მონაკვეთით და ამის საფუძველზე მათი განვითარებისათვის თვალის გადევნება. ჩვენს ხელთ არსებული მონაკვეთებით ისინი ერთ კაოროლოგიურ სისტრეტზე არიან¹⁵³. არ არის საწარბოელო, რომ ეს ვაერცეობა ცალკეული ნაწარბოელო ცენტრების პროლექციის ურთიერთგაუენის შედეგი იყოს. ასევე დასაშვებია, რომ ტიპოლოგიური ნაირგვარობა ქვეერის სხვადასხვა დანიშნულებით აღსრულა. ამანვე უნდა მიუთითებდეს სხვაობა პირის დიამეტრებში.

მიმავალში, როცა სრულად გამოქვეყნდება ადრეანტიკური ხანის კოლხური ეერამბა მთელი კოლხების მასშტაბით, მისი ტიპოლოგიური შესწავლა მეტ შუქს მოაფენს ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური ქვეერების, მათ შორის პირის გვირგვინების, ეეოლოიის საკითხს.

ქვეერების დანარჩენი სეგმენტების შესწავლა ასეთ სურათს იძლევა:

1, 3. ქვეერის უელი ორი სასისა: სადა და ორნამენტირებული.

1, 3A. ეანის ნაქალაქარე მოპოვებული ქვეერების ურავალესობას სადა უელი უნდა ქრონოდა (შდრ. კატ. №№ 1—28, სურ. 19—26). სადა უელის სრული პროფილი მხოლოდ ორ ნიმუშზეა დაცული. ერთ მთავანს (კატ. № 14, სურ. 23) სამკუთხავანიკეთიანი პირის გვირგვინი აქვს (I, 2 ტიპი) შემორჩენილი: უელი ქვემთ დავიწროებული და შეზნექლოპროფილიანია, მხარს თანდათანობით უერთდება; შეერთების ადგილს ირველიეი ქელი ვასდება, რომელსაც ებჯინება მხარზე დაქრწილი მერიდიანული ქედები. განხილული ნიმუში აღმოჩენილია ცენტრალურ ტერასაზე „ეთერი შენობის“ შვიდნი დაფიქსირებულ დახურულ კომპლექსში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება¹⁵⁴. მეორე ნიმუშს ასევე სამკუთხავანიკეთიანი პირის გვირგვინი აქვს (კატ. № 15, სურ. 23), რომელიც შემკულია ორმაგი ქვარდინი ხაზებით (I, 2B ტიპი); უელი ქვემთ დავიწროებული და სწორხაზოვანპროფილიანია, მხარს კუთხით უერთდება; მხარი შემკულია მერიდიანული ქედებით. ფრაგმენტის აღმოჩენის პირობები მის თარიღს არ აზუსტებენ.

1, 3B. შედარებით იშვიათია უელის ორნამენტირება. ვეზდება შემდეგი ორნამენტული მოტივები: ირველიე ქედები, სადა (კატ. № 27, სურ. 26) ან ნაკვეთებიანი (კატ. № 28, სურ. 26); ირველიე ქედების, ნაკვეთებისა და ქვარდინი ხაზების კომბინაცია (კატ. №№ 17—19, სურ. 25). ნაკვეთები და ქვარდინი ხაზები გამოვყენილია დაკბილული იარაღით. ნაკვეთებიანი ქედებით შემკული უელის ფრაგმენტების აღმოჩენის პირობები არ იძლევა მათი ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დათარიღების საშუალებას. ისინი ზოგადად თარიღებიან ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით, რადგანაც ანალოგიურად შემკული ქვეერები აღმოჩენილია კოლხეთის ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ძეგლებზე (ბათუმისციხე¹⁵⁵, ფიქვენარის¹⁵⁶, სიმგარე¹⁵⁷, გურიანთს¹⁵⁸ და სხვ.). მდიდრულად

¹⁵² ამ ფენების შესახებ იხ. ПАИ в 1975 г., გვ. 67.
¹⁵³ აღსანიშნავია, რომ ეანის ადრეანტიკური ხანის ქვეერის პირის გვირგვინების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მონიშნა ჩარდა და სამუაო გამარტოებულ აღკარითის გამოყენებით უნებართვად გამოთვლად მანქანაზე; დავინდა რომ ოთხუთხაგანიკეთიანი გვირგვინების სამკუთხავანიკეთიანებით შეესაბ (გვირგვინის გამარტოება) დაწინაუდა ძვ. წ. V საუკუნეშიც. ვ. ლიჩელი, დასახ. ნაშრ., გვ. 79—83.

¹⁵⁴ ამ დახურული კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 13.
¹⁵⁵ ნ. ვაშაიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვეერი, გვ. 96, ტაბ. XXIII, 7, 8; XXIV, 1, 6, 8.
¹⁵⁶ ა. კახიძე, საქართველოს ზღუდისათვის... ტაბ. V, 2—3; ნ. ვაშაიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვეერი, გვ. 97.
¹⁵⁷ ტ. მიქვიტაძე, ძეგლიან..., ტაბ. VII, 1, 2; მისივე, არქეოლოგიური კვლევაძეგლიან..., ტაბ. XXIII, 05 S 1—74—377, 05 S 1—74—346.
¹⁵⁸ ნ. ვაშაიძე, გურიანთს..., გვ. 13, ტაბ. VII, 1.

ორნამენტებზე უკლის ფრაგმენტები, უკლებ-
ლიც ყველა. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია
ზედა ტერასაზე — „ნაშალი თირისა“ და „შავ.
ორგანული ნაშთების შემცველ“ ფენებში, რომ-
ლებიც ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თა-
რიღდება¹⁵⁹.

ქვეყრების ზოგიერთ ფრაგმენტზე შემორჩე-
ნილია ყუილიდან მხარზე გადასვლის ადგილი (I,
4). ორი სვეტების — ყუილისა და მხრის — შერ-
თება ხდება ყუთხით ან თანდათანობით (შღრ.
კატ. №№ 20—29, სურ. 25—27). შერთების ად-
გილი ან სადაა, ან შემეული (ირგველივი ქელით
ან ქელით). რომლებზეც ზოგიერთ ნაკვდევნა და-
ტანილი: ლლაკების რიგით, რომბული და ირიბი
ნაკვდევნით).

ვანის ნაქალაქარზე განსაკუთრებით მრავლა-
დაა აღმოჩენილი ქვეყრის ყელულების ფრაგმენტე-
ბი. 406 ინვენტარიზებული ნიმუშიდან ჩვენს კა-
ტალოგში შესულია 50. მათში შეიძლება გამოი-
ყოს ის ფრაგმენტები, რომლებიც მხრებს ეკუთვ-
ნოდნენ (I, 5). ყველა ეს ნიმუში ორნამენტებზე
ბეჭდება. ქვეყრის მხრის დეკორის ოთხი ვარიან-
ტი გამოიყოფა.

I, 5A. მხრების ფრაგმენტების უმრავლესობა
(18 ნიმუში) შემეულია მერიდიანული ქედებით
(შღრ. კატ. №№ 14—15, 27—28, სურ. 23, 26).
ზოგჯერ ქედების დასაწყისში ოლაკებია დამე-
რწილი (კატ. № 25, სურ. 26). მხრების სარტყლის
ქედებით ვაფორმება ხშირია კოლხეთის სხვა ძეგ-
ლების მასალებში¹⁶⁰. აღსანიშნავია, რომ ქვე-
ყრების მხრების მერიდიანული ქედებით შემეობა
დადასტურებულია უკვე ძვ. წ. VI საუკუნის მი-
წურულში (სიმავრის II ფენა)¹⁶¹. ვანის მასალები
თარღის დაზუსტების საშუალებას არ იძლევა.
ამგვარად შემეული მხრის ფრაგმენტები გვხვდე-
ბა ადრეანტიკური ხანის თითქმის ყველა ენობრ-
რულ ფენაში.

I, 5B. მხრების შემეულობის მეორე ვარიან-
ტი 6 ნიმუშითაა წარმოდგენილი. მისთვის დამა-

ხასიათებელია პორიზონტალური ქედები, რომ-
ლებზეც ირიბი ნაკვდევნა დატანილი დაკბილუ-
ლი იარაღით (კატ. №№ 30—31, სურ. 27). ქე-
დებს შორის დაიკლება 1,2—1,5 სმ-ია. ზოგჯერ
ირიბი ნაკვდევნო ქედებს შორის ზედაპირზე არის
გამოყვანილი (შღრ. კატ. № 31, სურ. 27); ხოლო
ერთ ნიმუშზე ნაკვდევნო წიწვისებურადაა გან-
ლაგებული (კატ. № 30, სურ. 27). ნაკვდევნო
პორიზონტალური ქედებით შემეული მხრების
ფრაგმენტი აღმოჩენილია ნაქალაქარის ზედა ტე-
რასაზე ხის ტაძარ-სამლოცველოს გარშემო და-
ფიქსირებულ ქვაყრილში¹⁶². ამდენად, დასტურ-
დება ამ ტიპის ორნამენტის არსებობა ძვ. წ. V
საუკუნის შუახანებამდე მაინც.

I, 5C. ქვეყრის ყელის ორი ფრაგმენტი პა-
რალელური მასლების მოშველებითაა განსაზღ-
ვრული მხრების ნაწილებად. მათზე წერტილზე ზე-
მოთ მიმართული ერთმანეთში ჩასმული რელიე-
ფური „სამეფოებლები“ ახის გამოსახული (სამ-
ეფოებლების ფუძის ხაზი არ არის შემორჩენი-
ლი — შღრ. კატ. № 32, სურ. 27). მსგავსად შემე-
ული ქვეყრის მხრები ცნობილია დაფნარის ნა-
მოსასარაიდან (ძვ. წ. V—IV საუკუნეები)¹⁶³, რე-
ლიეფური სამეფოებლების მოტივი ადრეელური-
ტურ ხანაშიც გვხვდება სამარხ ურნადად გამოყე-
ნებულ ქვეყრებზე (დაფნარი¹⁶⁴, წიფნარი¹⁶⁵), ძვ.
წ. III საუკუნიდან კი ქრება¹⁶⁶. ქვეყრის მხრის
შემეულობის წინა ტიპის მსგავსად, აღმოჩენის პი-
რობების საფუძველზე (ხის ტაძარ-სამლოცველოს
გარშემო ქვაყრილში) ამ ტიპის არსებობაც დას-
ტურდება ძვ. წ. V საუკუნის შუახანებიდან მაინც.

I, 5D. ქვეყრის მხრის შემეულობის მეოთხე
ვარიანტი განვითარებულია ქვეყრების ის ფრაგმენ-
ტები (კატ. №№ 33—37, სურ. 28), რომლებზეც
გამოწვამდია ამოკვეთილი შემეულობა — ცხო-
ველთა გამოსახულებები და სხვადასხვა გეომეტ-
რიული სახეები (სამეფოებლები, რომბები). ეს
ფრაგმენტები ერთ ვარიანტში გაერთიანებულია

¹⁵⁹ ამ ფენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

¹⁶⁰ იხ. მ. ი. ვ. დ. ძვ. ძეგლები... ტაბ. VII, 1, 2;
მ. ი. ვ. დ. ძვ. ძეგლები... ტაბ. XXI III, 05 5
1—74—346; XXI V, 05 5 1—74—348; 6. ე. შ. ა. კ. ძვ.
გ. ლ. ო. რ. თ. მ. ა. ნ. ი. ძვ. კოლხური ქვეყრები, ტაბ. XXIV,
1.

¹⁶¹ იხ. მ. ი. ვ. დ. ძვ. ძეგლები... არქეოლოგიური კვლევა-ძე-
ბა... გვ. 70.

¹⁶² იხ. მ. ი. ვ. დ. ძვ. ძეგლები... არქეოლოგიური კვლევა-ძე-
ბა... გვ. 100—101.

პარალელური მასალების მოშველებით, რომლებზეც ზემოთ მითითებული ორამენტიული სახეები ერთდროულადაა წარმოდგენილი ქვეყრის მხრის სარტყელზე¹⁵⁷. ვანის ნიმუშებზე გეომეტრიულორნამენტიანი სარტყელი ქვემოდან მოჩარჩობებულია რელიეფური ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით ნაკვეთებია დატანილი; გეომეტრიული სახეები შეესხებულია მოლუ ნაკვეთებითა და ლარებით (კატ. №№ 35—37, სურ. 28). ორი ფრაგმენტი ცხოველების გამოსახულებითაა შემკული (კატ. №№ 33—34, სურ. 28). გამოსახულება სრულად არც ერთ მთგანზე არ აჩის შემორჩენილი. № 33-ზე ცხოველის წინა კიდურები და ტანის ნაწილი, აგრეთვე ფრთხის ქვედა ჩარჩოს ქედებია მოცემული. № 34-ზე კი მხოლოდ ცხოველის უკანა კიდურები და უკლია. ეს გამოსახულებები სხვადასხვა ტექნიკით არის შესრულებული. ერთზე ცხოველის კონტურები უწყვეტი ხაზითაა გამოყვანილი, ბეწვი — ირიბი ნაკვეთებით; ფონი დატანილია. მეორეზე კონტური პუნქტირითაა დატანილი შეგნარია ზედაპირზე. აღმოჩენის პირობები ვერ განსაზღვრავენ ამ სახის ორნამენტთა შემკული ფრაგმენტების თარიღს. პარალელური მასალებით ისინი ადრენატორიუი ხანის მოგვიანო ეტაპს უნდა მიეკუთვნებოდნენ. პარალელური მასალები მომდინარეობენ დაფნარიდან¹⁵⁸, დაბლაგომიდან¹⁵⁹ და ნიმფეიონიდან¹⁷⁰. აღსანიშნავია, რომ ქვევრებზე გამოსახულ ცხოველებს (ცხენი, მგელი-ძალი, ირემი, ლომი, ღარი-კონისებური არსება) კოლხთა რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებენ. სიმბოლური მნიშვნელობები გეომეტრიულ სახეებსაც ენიჭება¹⁷¹.

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრენატორიუი ხანის კოლხური ქვევრების მხრის შემკულობის ოთხი ვარიანტი გვაქვს დამოწმებული, რომლებიც ანალოგებს პოულობენ კოლხეთის სხვა ძეგლებზეც.

1, 6. ქვეყრის კედლების დანარჩენი ფრაგმენტებიდან ცალკე ჩგუფს ქმნიან პორიზონტალური ტარებისაგან შემდგარი სარტყელი შემკული ნიმუშები (მათზე ლარების რაოდენობა 3-დან 5-მდე შერევაობს: უფრო ხშირია სამლარიანი სარტყელი); ლარებიანი სარტყლის ორივე მხარეს მერაიდიანული ან ირიბი ქედებია (კატ. №№ 38, 40—41, სურ. 29). ამგვარად, ვანის მასალებშიც დასტურდება კოლხური ქვეყრის ტანის დეკორირების სპეციფიკური ნიშანი — ტანის შემკობა ორნამენტული სარტყლებით, რომელთაგან ერთი, პორიზონტალური ლარებისაგან შემდგარი, მაქსიმალური დიამეტრის ადგილზეა გამოყვანილი¹⁷². ვანის მასალებში ლარებიანი სარტყლის ორივე მხარეზე ქედების განლაგების მიხედვით ტანის დეკორირების სამი ვარიანტი გამოიყოფა:

1, 6A. ლარებიანი სარტყლის ერთ მხარეზე ირიბი ქედებია, მეორე მხარეზე კი — მერიდიანული (კატ. № 38, სურ. 29). ერთ ფრაგმენტზე ირიბქედებიან სარტყელში ქედები ერთიმეორის საწინააღმდეგოდაა მიმართული და მათ შორის ერთი მერიდიანული ქედია (კატ. № 39, სურ. 29). ირიბი ქედები, ჩვეულებრივ, ღილაკებით ბოლოვდება (შდრ. კატ. №№ 38—39, სურ. 29). ირიბი ქედებისაგან შემდგარი სარტყელი შემკული ქვევრები აღმოჩენილია დაბლაგომისა¹⁷³ და დაფნარის¹⁷⁴ სამაროვნებზე, და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ასე ორნამენტირებული ნიმუშები აღმოჩენილია ნიმფეიონში ძვ. წ. V საუკუნით და-თარიღებული საეკლტო ნაგებობის ნანგრევებს შორის¹⁷⁵.

¹⁵⁷ B. A. К у ф т и и. დასახ. ნაწრ., გვ. 103—107, სურ. 28—29, ტაბ. 37.

¹⁵⁸ H. Ш. К и г у р а д з е. დასახ. ნაწრ., გვ. 35, ტაბ. XXXIX. 10; 6. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გ. ლ ი რ თ ქ ი ე ა ნ ი ძ ე. კ ო ლ ხ უ რ ი ქ ე ე რ ი, გვ. 90—100. ტაბ. XXVIII, 6; XXIV, 9.

¹⁵⁹ B. A. К у ф т и и. დასახ. ნაწრ., გვ. 102—107, სურ. 27—29, ტაბ. 33, 37; ით. ლ ი რ თ ქ ი ე ა ნ ი ძ ე, ანტიკური სასაფარი... ტაბ. VIII.

¹⁷⁰ ნიმფეონში აღმოჩენილი კოლხური ქვეყრის ფრაგმენტებს თანხლებს არქეოლოგიური მასალა ბლოო ხანაზე მდებარე ძვ. წ. VI საუკუნის მთავრ ნახევრით თარიღდება (შდრ. B. M. С к у д н о в а. Находки колхидских монет и пифосов в Нимфе. В. II, 1952, გვ. 241, სურ. 3). უკანასკნელი გამოკვლევების სფერაზე ქვეყრების ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩენილი ორი კოლხური თუარი ძვ. წ. 420—375 წწ. დათარიღდა (შდრ. К. В. Г о л я н к о. Монеты из раскопки Нимфея 1939—1970 гг., НЭ, XI, 1974, გვ. 67).

¹⁷¹ 6. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გ. ლ ი რ თ ქ ი ე ა ნ ი ძ ე. კ ო ლ ხ უ რ ი ქ ე ე რ ი, გვ. 99.

¹⁷² შდრ. B. A. К у ф т и и. დასახ. ნაწრ., გვ. 70, ტაბ. 24.

¹⁷³ B. A. К у ф т и и. დასახ. ნაწრ. ტაბ. 23.

¹⁷⁴ H. Ш. К и г у р а д з е. დასახ. ნაწრ., ტაბ. XXXIII, 2.

¹⁷⁵ B. M. С к у д н о в а. დასახ. ნაწრ., გვ. 240, სურ. 2.

I, 6B. ქვეყნების ტანის ორნამენტების მეორე ვარიანტისთვის დამახასიათებელია ლარეზიანი სარტყლის ორივე მხარეზე მერიდიანული ქედების არსებობა (კატ. №№ 40—41, სურ. 29).

განხილული ვარიანტის ქვეყნების კვლევის ფრაგმენტები აღმოჩენის ადგილების მიხედვით (ზედა ტერასაზე — ე. წ. „მოშავო-რუხი ფერის“ ფენა, „ძოყითალო თიხნარი“, რიტუალური მოედანი, ხის ტაძარ-სამლოცველო)¹⁷⁶ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ასე შემჯეული ქვეყნის კვლის ფრაგმენტები ფაქსირებულია ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებულ დახურულ კომპლექსში (ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ. კარიბჟესთან ახლოს, სტერილული თიხნარით გადახურულ ორმოში)¹⁷⁷.

I, 6C. ქვეყრების ტანის შემჯეულობის მესამე ვარიანტი ორნამენტული მორტივების მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება: პირიზონტალურ ლარეზსა და მერიდიანულ ქედებს შებტება ერთმანეთში ჩასმული ნალისებური მოყვანილობის ქედები (კატ. №№ 48—56, სურ. 31—32). ერთი ფრაგმენტი შემჯეულია ორი ნალისებური ქედით, რომელთა შორის მერიდიანული ქედია (კატ. № 57), ერთ ნიმუშზე დადსტურებულია ტალისებური ქედი (კატ. № 58, სურ. 31). ნალისებური ქედები, ჩვეულებრივ, ლარეზიანი სარტყლის ერთ მხარეზეა დაძერწილი. როგორც ჩანს, მათ გარშემო და ქვემოთაყ მერიდიანული ქედები უნდა ყოფილიყო (შდრ. კატ. №№ 53—54, 56, სურ. 32). ნალისებურ ქედებზე, როგორც წესი, ირიბი ნაქდევებია დატანილი დაქბილული იარაღით (კატ. №№ 48—54, სურ. 31—32). გვხვდება საღაბუდაპირიანი ქედებიც. ნაქდევებიანი ნალისებურქედებიანი ქვეყნების კვლის ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარზე ძირითადად ზედა ტერასაზეა დადსტურებული („ნაშალი თიხის“, „მოშავო-რუხი ფერისა“ და „შავ, ორგანული ნაშობების შემჯეული“ ფენებში, აგრეთვე ხის ტაძარ-სამლოცველოში). მსგავსი ნიმუშები აღმოჩენილია მთისძირში ადრეანტიკური ხანის კულ-

ტურულ ფენაში¹⁷⁸, ჰალადის ნაშოსახლარზე¹⁷⁹. ამრიგად, ეს ორნამენტული საბე ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. აღმოჩენის პირობების (ზედა ტერასაზე „ნაშალი თიხის“, „ნაშავო, კირქვის ანატექტიანი“ და „კორღოვანი“ ფენები; ცენტრალურ ტერასაზე — „მათქაშებიანი ნაქრისფერი“ ფენა)¹⁸⁰ საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სადა, ნალისებური ქედლები ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდება ზოგადად. როგორც ჩანს, სადა ნალისებური ქედები უფრო გვიანაყ იყო გავრცელებული — ისინი გვხვდება ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დათარიღებულ ფენაშიც (ცენტრალური ტერასა, ნაკეთი 119, „ნაქრისფერი თიხნარი“ ფენა)¹⁸¹.

I, 7. ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ქვეყრების ისეთი ფრაგმენტები, რომელთა მიყუთვნება კონკრეტულად ტანის შემჯეულობის რომელიმე ვარიანტისთვის ძნელია (I, 7 — კატ. №№ 42—72, სურ. 30, 33—34). ზოგიერთ მათგანზე შერჩენილია როგორც ლარეზიანი, ასევე ქედებიანი სარტყლების ნაწილები (შდრ. კატ. №№ 42—46, სურ. 30), ზოგიერთზე — მწოლოდ ქედებიანი (კატ. №№ 61—72, სურ. 33—34), ან მწოლოდ ლარეზიანი სარტყლის ნაწილი (კატ. № 47, სურ. 30). კატალოგიზირებული ნიმუშები შერჩეულია ქედების მოყვანილობის, ქედებს შორის ზედაპირის დამუშავებისა და კეცის ვარიაციების მიხედვით. ქედები სხვადასხვაგვარი გვხვდება: დაბალი (0,2 სმ მაღალის), წაწვეტებულზედაპირიანი; მაღალი (0,3—0,5 სმ მაღალის), წაწვეტებულზედაპირიანი; მაღალი (0,3—0,6 სმ სიმაღლის), მომრგვალებულზედაპირიანი. ქედების ამ ჩამოთვლილი სახეობების მქონეოლოგიური გამოიჭნა არ ხერხდება. კიდევ ერთი, დოყუმენტრად დასტურდება, ერთი მხრივ, დაბალი და მაღალი წაწვეტებულზედაპირიანი ქედების (შდრ. კატ. №№ 38—40, სურ. 29), მეორე მხრივ, მაღალი წაწვეტებულ- და მომრგვალებულზედაპირიანი ქე-

¹⁷⁶ გ. გ ა მ ყ რ ე ი ძ ე მ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, სურ. 36.

¹⁷⁷ თ. მ ა ქ ე ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., ტაბ. XLVIII, გ—63—99.

¹⁷⁸ ამ ფენების შესახებ იხ. აკვე. გვ. 7—8, 10.

¹⁸¹ ამ ფენის შედგენილობის, სტრუქტურისა და სიმაღლის შესახებ იხ. ПАН № 1975 г., გვ. 67, ტაბ. XLIII.

¹⁷⁶ ამ ფენებსა და კომპლექსებს შესახებ იხ. აკვე. გვ. 7—9.

¹⁷⁷ კომპლექსის შესახებ დეჟრ. იხ. თბ. ლ ი რ თ ე მ ფ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და სპარტოლოგია ძველი მტრათის ზოგერთი საყთბი, გვ. 116, შენ. 36.

ღების თანაარსებობა (ხის ტამარ-სამოციველოში, ე. ი. ძვ. წ. V საუკუნესა და IV საუკუნის პირველ ნახევარში)¹⁸². ქედებს შორის ზედაპირი სადაა ან დაღარული. ღარები წვრილია, ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი. მათ სხვადასხვა მიმართულება აქვთ — პორიზონტალური, ვერტიკალური, ირიბი. გვხვდება აგრეთვე პორიზონტალური და ირიბი (კატ. №№ 44, 66, 69—71, სურ. 30, 34), ან პორიზონტალური და ვერტიკალური ღარების მონაცვლეობა (შდრ. კატ. №№ 68, 72, სურ. 34—35). ზოგჯერ არის უსისტემოდ განლაგებული ღარებიც. ერთ ფრაგმენტზე ღარებს ზემოთ ტალიბებური ხაზია ამოკვეთილი (კატ. № 72, სურ. 35). ღარები, როგორც ჩანს, მოსწორების კვალია — ხელფიკრის ანაბეჭდი, მაგრამ ღარების მონაცვლეობაში ისეთი კანონზომიერებაა, რომ ისინი დეკორის ორგანულ ნაწილს შეადგენს. ქედების დაბერწვა, როგორც ირკვევა, ბლებოდა ზედაპირის მოსწორების შემდეგ, ამის მოწმობაა დაზიანებული, ატეცილქედებიანი ნიმუშები (შდრ. კატ. № 32, სურ. 27).

ქვევრების კედლებს შორის აღსანიშნავია სამი. ორი მათგანი კონცენტრული წრეებითაა შემოკული, რომლებიც ქედებითაა გამოყვანილი (კატ. № 59, სურ. 31). ხოლო ერთ ფრაგმენტზე დაბინდული იარაღით წიწვივებურად განლაგებული ნაკვდევებია დატანილი (კატ. № 60, სურ. 31).

1, 8, ქვევრების ძირი (კატ. №№ 74—79, სურ. 42) ბრტყელია, ტანს ყუთხით უერთდება. შეერთების ადგილის გაფორმების მიხედვით ორი ვარიანტი გამოიყოფა:

1, 8A. ძირი ტანისაგან არ არის გამოყოფილი (კატ. №№ 74—76, სურ. 42);

1, 8B. ძირი ტანისგან გამოყოფილია — გამოზიდულია (კატ. №№ 77—79, სურ. 42); გამოზიდული კიდე ან მომარგვალეებულია, ან სწორხაზოვნადაა ჩამოჭრილი.

შესაძლებელია, მეორე ვარიანტის ძირები დიდი ზომის ქვევრებისა — გამოზიდვით გაზრდილია საყრდენი ფართობი. როგორც წესი, ქვევრის ტანზე დამტრწილი მერიდიანული ქედები ძირამდე არ ჩამოიღის, გამინაკლისია მხოლოდ ორი ნიმუში (კატ. №№ 78—79, სურ. 42). ზოგჯერ ქედები ძირთან ნახევაროვალისებური რკალებითაა

გადამბული (კატ. № 74, სურ. 42). ვანის ნაქალაქარზე დაფიქსირებულია ორივე ვარიანტის ძირების თანაარსებობა („თეთრი შენობის“ შიგნით გათხრილ ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსში¹⁸³ — იხ. სურ. 11). გამოზიდულძირიანი ქვევრები კოლხეთში ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. VI—IV სს. ძეგლებზე (დაფნარი¹⁸⁴, წიფნარი¹⁸⁵, გურიანთა¹⁸⁶).

ქვევრების ფრაგმენტების შიდა ზედაპირზე ჩვეულებრივ შემორჩენილია მოსწორების კვალი — ვერტიკალური, პორიზონტალური, ირიბი, აგრეთვე უსისტემოდ განლაგებული ღარები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთმანეთთან ახლოსაა მიჭრილი. გვხვდება არათანაბარი სივანის ფართო ღარებიც (შდრ. სურ. 37). ყელისა და მხრის ფრაგმენტებისთვის უფრო გლუვი შიდა ზედაპირი არის დამახასიათებელი, თუმცა გვხვდება ღარებისა ნიმუშებიც.

ქვევრების კეცი რუხია ან ყავისფერი. ზოგჯერ მათ შვიი ზედაპირი აქვთ. ანდენად, ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი ქვევრები ვანის მასალების მიხედვით აღტანტურად ხანისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი¹⁸⁷.

ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტების მიხედვით ქვევრის პირის დიამეტრი 25—45 სმ-ს შორის შეიკევოს, ძირის დიამეტრი 17—30 სმ-ა, ხოლო კეცის სისქე 1,1 სმ-დან 2,5 სმ-მდეა.

11. დ ე რ გ ე ბ ი (კატ. №№ 80—97, სურ. 38—45)

ღერგები ადრეანტიკური ხანის კოლხური თიხის ტურპლის ნაკლებად შესწავლილი ფორმაა. სპეციალური ლიტერატურაში არ არის შემოწმებული მათი არც ტიპოლოგიური, არც ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. გამოკვლევებულია მხოლოდ მკირე რაოდენობის ნიმუშები სხვადასხვა ძეგ-

¹⁸² ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 11.

¹⁸³ Н. Ш. Кни г р а д з е. Д а с а б. ნ ა რ . . ტ ა ბ. XVI, 2; XXI, XXII, 3; XXIV, 2; XXV, 3; XXXIII, 2; XXXVI, 1; XL, 4; XLII, 3.

¹⁸⁴ ნ. ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე. ს უ ნ ჯ ა ნ ა უ ზ მ . . . , გვ. 75.

¹⁸⁵ ნ. ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გ უ რ ა ნ თ ი . . . , გვ. 14—15, ტაბ. 11, გვ. 6. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გ. ლ ო რ თ ე ჲ ა ნ ი ძ ე. კ ო ლ ხ რ ი ქ ვ ე რ ი . ტ ა ბ. XXV, XXXI, 1.

¹⁸⁷ შ დ რ . თ . მ ი ძ ე ლ ა ძ ე . ძ თ ბ ა ნ ი . . . , გვ. 66.

ლებიდან (ფიქენარია¹⁸⁸, გურიანთა¹⁸⁹, სიმბაგრა¹⁹⁰, ვანი¹⁹¹ და სხვ.).

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ ღერებში 7 ტიპის გამოყოფა შესაძლებელია.

11. 1. პირველ ტიპში ვაერთიანებული ღერებები მოყვანილობითა და ორნამენტითაც ქვევრებს იმეორებენ¹⁹² და მათგან მხოლოდ ზომებით განიჩნევიან: ქვევრისებური ღერებები საყოველთაო ქვევრებსაგან მეტრული პრინციპითა გამოიხეცე — ეკრძოდ. 19—28 სმ დიამეტრის მქონე პირებისა და 1 სმ-ზე ნაკლები სისქის ყელლების ფრაგმენტები ღერავებულადაა განსაზღვრული.

ამ ტიპის ღერავების მხოლოდ პირ-ყელისა და ყელლების ფრაგმენტები არის შემორჩენილი. როგორც წესი, პირის გვირგვინები ოთხკუთხაგანი ფორმისაა, ეკრძოდ, პირველი ტიპის B ვარიანტის ქვევრის პირის გვირგვინების ანალოგიურია და, მამასადასე, აქვს ზედა, გარეთა და ქვედა გვერდები (შტრ. კატ. №№ 80—81, სურ. 38—39). ზოგჯერ გვირგვინის ზედა გვერდი ყელისგან გამოყოფილი არ არის (კატ. № 81, სურ. 39). გვირგვინის შემეკულობის დამახასიათებელი სახეებია რომბული ბაღ და წიწყისებური ორნამენტი. ყელი სრულად მხოლოდ ერთ ნიმუშზეა წარმოდგენილი (კატ. № 81, სურ. 39). ის შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ დაეწირობებული, მხარზე თანდათანობით გადაღის. სეგმენტების შეერთების ადგილს ირგვლივ ქელი გასდევს. მხარეც მხოლოდ ერთი ნიმუშითაა შემორჩენილი (კატ. № 82, სურ. 39—40). მასზე ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილი ირგვლივ ქედიანაა შემეკული, ხოლო მხარზე პორნოზიტალური ლარებიცაა. ქედებსა და ლარებზე ირიბი ნაქდევებია დატანილი. ქვევრების მსგავსად. ღერებზეც დასტურდება ტანის უდიდესი დიამეტრის ადგილზე ირგვლივ ღარისა თუ ლარებისაგან შემდგარი სატკეპის არსებობა (კატ. № 82—84, სურ. 39—40). ლარები სწორად ურ-

თიერთ საწინააღმდეგოდ მიმართული ირიბი ნაქდევეების რაგებითაა დაფარული (შტრ. კატ. №№ 82, 85, სურ. 38—40), ხოლო № 85-ზე ლარებსა და ნაქდევეებს კიდევ ერთი ორნამენტული სახე ემატება — ზენური ხეივნი (სურ. 38). როგორც ჩანს, ლარებიანი სატკეპის ორივე მხარეს მერიდიანული ქედები იყო (შტრ. კატ. №№ 82—83, სურ. 39—40). მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა ღერავების ყელლების ფრაგმენტები, რომლებზეც მხოლოდ მერიდიანული ქედებითაა შერჩენილი (14 ნიმუში). ქვევრებისგან განსხვავებით ღერებების ყელლების ზედაპირი, როგორც წესი, ქედებს შორის გლუვია (შტრ. კატ. № 87, სურ. 40). დალარვა მხოლოდ სამ ფრაგმენტზე ჩანს (კატ. 86, სურ. 40).

ვანის ნაქალაქარზე ქვევრისებური ღერებები აღმოჩენილია ზოგადად ადრენატურული ხანით დათარიღებულ კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში (ე. წ. „ნაშალი თირის“, „შავი ფერის“ კულტურული ფენები და სხვ.)¹⁹³. ვახსილული ტიპის ღერავები ცნობილია გურიანთას ნამოსახლარიდანაც¹⁹⁴.

11, 2. ცალკე ტიპს ქმნიან ორყუდა ეწიროპირიანი ღერებები, რომლებიც ერთი მთელი, ერთმანეთის იდენტური ნიმუშით არის წარმოდგენილი (კატ. № 88, სურ. 41, 42). ორივე ღერავი № 11 სამახრისიდან მომდინარეობს¹⁹⁵, რომელიც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში მიეკუთვნება¹⁹⁶. მათ აქვთ ოთხკუთხაგანი ფორმის პირის გვირგვინი, რომლის ზედა გვერდი ყელისგან გამოყოფილი არ არის; ცილინდრული ყელი, ბიკონუსურ ფორმას მიახლოებული ტანი; ბრტყელი ძირი; თხელი, ოვალურგანვეკვითიანი, ზემოთ მორკალული ყურები. ღერავების შემეკულობა ამ ხანის კოლხური ეკრამიკის ტიპის რაგებითაა წარმოდგენილი. ტანი ორნამენტურებულია წნეხებით გამოყვანილი ირგვლივ და მერიდიანული პრილა ზოლებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მერიდიანული და ირგვლივი პრილა ზოლების განლაგება იმეორებს ქვევრების ტანზე ორნამენტის განლაგების პრინციპს: ირგვლივი ზოლები მოთავსებულია უდიდესი დიამეტ-

¹⁸⁸ ა. ე ა ბ ძ ე. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის... გვ. 85, ტაბ. 8, 1.

¹⁸⁹ ბ. ე ა ბ ძ ე ძ ე. გურიანთა..., გვ. 15, ტაბ. 11, 7.

¹⁹⁰ ბ. ე ბ ე ლ ა ბ ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 55, ტაბ. XXIV, ფ—61—83, გ—61—93.

¹⁹¹ ვანი IV. კატ. №№ 760—764, 800—803, 853—859, 885—887, 895, 905, 909.

¹⁹² სულხან-საბა ორბელიანის განმარტებოვან ღერავების რეზუმე-ქვეყანა-ქვერთქვეყნისი¹⁹³—იხ. ს უ ლ ა ნ ა ნ ა ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, თბილელისი, ტ. IV, 1, თბ., 1945, გვ. 221.

¹⁹³ ამ ფენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

¹⁹⁴ ბ. ე ა ბ ძ ე ძ ე. გურიანთა..., გვ. 16, ტაბ. II, 9, 10.

¹⁹⁵ ვანი I, გვ. 237, სურ. 221.

¹⁹⁶ სმარხოს შესახებ იხ. აქვე, გვ. 10—11.

რის ადგილზე, ხოლო მერიდიანული ზოლები — მხარსა და ტანის ქვედა ნაწილზე. ორნამენტირებულია დერგების ყელიცა და ყურიც: ყელზე ირველივი ღარები შეიმჩნევა, ხოლო ყურებთან ღილაკებია დაძაწილი; ყურების ზედა ბოლოზე ნაქვედები.

დერგების სიმაღლე 44 სმ-ს აღწევს, პირის დიამეტრი — 15,5 სმ-ა, ძირის დმ — 14 სმ. კე-ლი რუხია. ზედაპირზე შეიმჩნევა შავი ფერის ლაქები.

დერგების ამ ტიპის ანალოგიის მოძებნა ჭერჭერობით ვერ მოხერხდა.

II, 3. დერგების მესამე ტიპისთვის — ფართობირიანი ორყურა დერგები — დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ფართო, სწორი პირი; სწორხაზოვანპროფილიანი, ქვემოთ დაეწროებული ყელი, რომელიც ტანს ქუთხით უერთდება; თითქმის ბიკონუსური მოყვანილობის ტანი; ბრტყელი ძირი; ორი, თანაბრად მორკალული, მრგვალგანიკვეთიანი ყური, რომლებიც თარაზულადაა მიმაგრებული ტანის ზედა ნაწილზე (კატ. № 89, სურ. 41, 42). ამ ტიპის დერგების ტანი, წინა ტიპის მსგავსად, წნეხვით გამოყვანილი პრიონა ზოლებით არის შემუშავებული: ტანის უდიდესი ნაწილი მერიდიანული ზოლებითაა დაფარული, ყელთან ირგვლივი ზოლები ან ღარებია, ხოლო ძირთან — ირგვლივი ზოლები. ყურების ბოლოებზე ირიბი ნაქვედებია. მთელი ნიმუშის სიმაღლე — 27 სმ, პირის დმ — 24 სმ, ძირის — 13,5 სმ.

ფართობირიანი ორყურა დერგები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ძვ. წ. V საუკუნის დახბურულ კომპლექსში (ე. წ. ბათუმშიან ნაგებობასა და № 11 სამარხში¹⁹⁷ — ამ კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულები იხ. სურ. 5, 8-ზე) და წარმოდგენილია ერთი მთელი¹⁹⁸ და ერთი დეფორმირებული, ფრაგმენტირებული ნიმუშები¹⁹⁹. გარდა ამისა, ვანის ნაქალაქარის ადრანტიკური ხანის კულტურულ ფენებში მოპოვებული კურტლის პირ-ყელის ფრაგმენტების ერთი ნაწილი მოყვანილობითა და ზომებით განსილული ტიპის დერგებს უნდა ეკუთვნოდეს.

II, 4. ამ ტიპში გაერთიანებულია დერგების პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტები, რომლებიც

ხასიათდებიან ფართო (34—39 სმ), გარეთ გადახრილი პირით, შესწევქილპროფილიანი ყელით, რომელიც თანდათანობით უერთდება ტანს. ტანის პროფილი მასალის ფრაგმენტულობის გამო ვერ ისახლებრება. დერგების პირი ან სადაა, ან ირიბი ნაქვედებითაა ორნამენტირებული. ზედაპირი ჩვეულებრივ გაპრიალებულია: ყელზე ირგვლივი, ხოლო ტანის ფრაგმენტზე მერიდიანული პრიალა ზოლები ჩანს. ზოგჯერ ტანზე არსებული მერიდიანული ზოლები შეკვეთისა და ორნამენტის სახეს იღებს (ქანელურას უახლოვდება). განხილული ტიპის დერგები რუხყეიანია და შეგუდამირიანი (კატ. №№ 91—92, სურ. 39, 44). ისინი აღმოჩენილია ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე ე. წ. ნაყრისფერ თიხნარ კულტურულ ფენაში (ძვ. წ. VI ს. — V ს. უახანებამდე) და „თეთრი შენობის“ შიგნით დაფიქსირებულ დახბურულ კომპლექსში (ძვ. წ. V ს.)²⁰⁰. ამდენად, ეს ტიპი უკვე ადრეანტიკური ხანის ადრეულ ეტაპზე არის გავრცელებული. თუმცა, როგორც ჩანს, ის უფრო გვიანვე განავრცობს არსებობას, რასაც მოწმობს ამ ტიპის დერგების ნიმუშების აღმოჩენა ძვ. წ. IV—III საუკუნეებში დათარიღებულ კულტურულ ფენაში²⁰¹. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე დერგებს პირი ორნამენტირებული აქვთ, ხოლო ზედაპირი — წითლად არის გაპრიალებული.

II, 5. დერგების ამ ტიპში გაერთიანებულია პირ-ყელის სამი ფრაგმენტი. მათ აქვთ გარეთ გადახრილი პირი, შესწევქილპროფილიანი, ქვემოთ დაეწროებული ყელი, რომელიც ტანს ქუთხით უერთდება. ფრაგმენტულობის გამო ტანის მახასიათებლების განსაზღვრა ვერ ხერხდება. ერთ ნიმუშზე ორივე ყურია შემორჩენილი (ერთი ყურის მხოლოდ ზედა ბოლოა). დანარჩენ ფრაგმენტებზე თითო ყურია. ყურები ოვალურგანრიკვეთიანია, თანაბრად მორკალული, მიმაგრებულია ტანის ზედა ნაწილისა და ყელზე; ზედა ბოლო ყოველთვის ორნამენტირებულია: ჭვარედინი ხაზებით (კატ. № 95, სურ. 43, 44), ან ნაქვედებით (კატ. №№ 93—94, სურ. 43—44). ერთ შემთხვევაში (№ 93-ზე) ნაქვედები პორიზონტალურ რიგადაა განლაგებული, ხოლო № 94-ზე ნაქვედების ორი ვერტიკალური რიგია. ყელი მხო-

¹⁹⁷ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 9, 10—11.

¹⁹⁸ ვანი I, გვ. 237, სურ. 221.

¹⁹⁹ ვანი IV, კატ. № 803, სურ. 164.

²⁰⁰ ამ ფენისა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 10—11.

²⁰¹ ამ ფენის შესახებ იხ. Папи в 1975 г., გვ. 67.

ლოდ ერთ დერგასა აქვს ორამენტირებული ირგვლივი ლარებით (ჯატ. № 95, სურ. 43—44). ამ ტიპის დერგები ყაიხფერაკეციათა, ან რუხეცეციათი. მათი ზომები ასეთია: პირის დმ — 13,3 სმ; 20 სმ; 26 სმ. კეცის სისქე 0,8 სმ-დან 0,9 სმ-მდე.

II, 6. ცალკე ტიპად გამოყოფთ ჭურჭლის პირ-ყელის ერთ ფრაგმენტს (ჯატ. № 96, სურ. 44—45), რომელსაც ვაგით ვადახარლი, მოძრავალბული პირი, შეზნექილპროფილიანი, ქვევით დაეწროებული ყელი აქვს. ყელი ტანს თანდათანობით უერთდება. ამ შემთხვევაში ტანის მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩენილი. ფრაგმენტი რუხეცეციათი, შეზნადპირიანი. ყელს ირგვლივი პრიალა ზოლები გასდევს, ტანი კი შემკულია პრიალა ზოლებით გამოყვანილი რომბული ბადით და ლიჯავით. შიდა ზედაპირზე ჩაჩხის ცეკალი (ირგვლივი, ერთმანეთთან ახლოს მოჭრილი ლარები) ჩანს. დერგი პირფართოა (დმ. — 36 სმ-ა).

II, 7. დერგებს ვაუთენებთ კიდევ ერთ ნიმუშს (ჯატ. № 97, სურ. 44—45), რომელსაც სწორი პირი აქვს. ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვევით დაეწროებული, ტანს კუთხით უერთდება. ტანის შემორჩენილი ზედა ნაწილი შეკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი ირიბი ხაზების სატყელითა და ირგვლივი ლარებით. ფრაგმენტი ყაიხფერაკეციათი. პირის დმ 32 სმ-ა, კეცის სისქე — 0,6 სმ.

დერგების ეს უკანასკნელი სამი ტიპი აღმოჩენილია პირის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასზე ზოგადდ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებში. კოლხეთის თანადროულ ძეგლებზე მათ ზუსტი ანალოგიები გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არ მოეებებათ.

ამრიგად, დერგების გამოყოფილი ტიპების ქრონოლოგია არსებული მასალების მიხედვით ასე წარმოგვიდგება: მეოთხე ტიპის დერგები (II, 4) გავრცელებული ჩანს უკვე ადრეანტიკური ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. VI—V ს. შუახანები) და არსებობს განავრძობს ძვ. წ. IV—III საუკუნის პირველ ნახევარში. მეორე და მესამე ტიპის (II, 2, 3) დერგები თანაარსებობენ ძვ. წ. V საუკუნეში, ხოლო პირველი, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტიპის დერგები (II, 1, 5, 6, 7) მხოლოდ ზოგადადა დათარიღებული ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით.

სამზარეულო ჭურჭელი

III. ქოთნები (ჯატ. №№ 98—111, სურ. 46—49)

ქოთნები ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკული ჭურჭლის ფართოდ გავრცელებული ფორმაა. ისინი მრავალადა ფიქსირებული კოლხების ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ძეგლებზე²²². ქოთნები ვანის ნაქალაქარის მონაპოვარშიც ერთერთ მრავალრიცხოვან წგუფსა ქმნიან და სამზარეულო კერამიკის სხვა ფორმებთან შედარებით მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. კერძოდ, მათში 6 ტიპი გამოიყო.

III, 1. პირველი ტიპის (ქილისებური — ჯატ. №№ 98—99, სურ. 46—47) ქოთნებისათვის დამახასიათებელია ვარეთ ვადახარლი პირი; შეზნექილპროფილიანი, ქვევით დაეწროებული ყელი, რომელიც ტანს თანდათანობით უერთდება; გამოზბერილმუცლიანი, პირისკენ ოდნავ დაეწროებული ტანი, რომელსაც მხრები არა აქვს გამოკვეთილი (ქილისებური მოყვანილობისა); ბრტყელი ძირი; ზემოთ მორკალული, ნახევაროვალურგანივკეთიანი, ტანის ზედა ნაწილზე მიმართებული ყური. ყელი შემკულია ირგვლივი ლარებით, ტანი — პრიალა მერიდიანული ზოლებით. პრიალა ზოლები ძირზეც შეიშენევა (ზედაპირის მოსწორების კვალ). ყურზე დაძერილია ირიბხაზუვებიანი, ბოლოებშიმორგვალული ქედი (ჯატ. № 8, სურ. 46). ორ ნიმუშზე პირს შიდა მხრიდან ლარი გასდევს. ზოგჯერ ტანზე პრიალა ზოლები რომბულ ბადაც ქმნიან, ხოლო ყელზე ირგვლივ ლარებთან ერთად ტალისებური ლარიცაა ამოკვეთილი (ჯატ. № 99, სურ. 47). ქილისებური ქოთნები წარმოდგენილია ერთი მთელი ნიმუშითა და პირ-ყელისა და ტანის რვა ფრაგმენტით. ქოთნების ჭიბადე 16,5 სმ-ა, პირის დმ 13-დან 22 სმ-მდე მეტრეობს; ძირის დმ 10,6 სმ-ა, ხოლო კეცის სისქე — 0,3—0,5 სმ. კეცი რუხია, ზოგჯერ შავი ზედაპირი აქვს. ხშირად ზედაპირზე შავი ლაქები შეიშენევა (უეცსლის კვალ).

²²² ა. ქ ა ხ ი ძ ე. მასალები აღმოსავლეთ შუიხილეს-პირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, გვ. 72; მისივე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 44; ნ. ე ა შ ა მ ი ძ ე. გურიანთის..., გვ. 16; თ. შ ი ქ ე-ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 55.

ქილისებური ქოთნები დაფიქსირებულია ეანის ნაქალაქარის ზოგადდ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებსა და კომპლექსებში (მაგ. თირში ნაკვეთ არხში, თიხის ჭურჭლის გროვაში და სხვა)²⁰². აღსანიშნავია, რომ მოყვანილობით განხილული ტიპის ქოთნების მსგავსი თიხის ჭურჭელი ცნობილია კოლხეთის ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით დათარიღებული ძეგლებიდანაც (ნიგუზანი²⁰¹, „წითელი შუქრია“²⁰³).

III, 2. მეორე ტიპის ქოთნები (ჯაბ. №№ 100—101, სურ. 47—48) მხოლოდ პირაყელისა და ტანის ზედა ნაწილის ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, რომელთა მიხედვით ტიპის ვანმასაღერელი ნიმუშებია: სწორი პირი; სწორხაზოვანპროფილიანი. ქვემოთ დაეწროებული ყელი, რომელიც ტანს კუთხით უერთდება; ტანის პროფილი არ ისაზღვრება. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ტანს მხრები უნდა ჰქონოდა გამოკვეთილი. მხრები შემკულია ირგვლივ ღარებითა და პრიალა მერიდანიული ზოლებით. ერთ ნიმუშზე ირგვლივ ღარების ქვეშ ირგვლივ პრიალა ზოლიც არის (შდრ. კაბ. № 100, სურ. 47). ამრიგად, განხილული ტიპის ქოთნები იმეორებენ პირველი ტიპის ქოთნების ორნამენტულ მოტივებს. კეცი ჩვეულებრივ რუხია. ზედაპირზე ხშირად შეიმჩნევა შავი ლაქები (ცეცხლის კვალი). ქოთნების პირის დიამეტრი 12 სმ-ა, კეცის სისქე — 0,4—0,5 სმ. ამავე ტიპის ქოთნებს უნდა ეკუთვნოდეს ეანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი თხლკეციანი (0,3—0,4 სმ სისქის) ჭურჭლის მხრის ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია ირგვლივ ღარებით (ჯაბ. № 101).

მეორე ტიპის ქოთნების ეანის ნაქალაქარზე აღმოჩენის პირობები მათი მხოლოდ ზოგადდ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღების საშუალებას იძლევა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ამ ტიპის ქოთნის ფრაგმენტი დაფიქსირებულია კარგად დათარიღებულ დახურულ კომპლექსში — ხის ტაძარ-სამლოცველოში²⁰⁶, რაც მოწმობს ამ ტიპის ქოთნების არსებობას ძვ. წ. V საუკუნესა

და IV საუკუნის პირველ ნახევარში (ამ დახურული კომპლექსის შემადგენელი თიხის ჭურჭლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 4-ზე).

ეანის ნაქალაქარზე განხილული ტიპის ქოთნები უფრო გვიანაც, ელინისტურ ხანაშიც განაგრძობენ არსებობას. ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებით, ელინისტური ხანის²⁰⁷ კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ქოთნების ტანის არათანაბრად დამტრინული ზედაპირი დაფარულია წყნებით გამოყვანილი პრიალა მერიდანიული ზოლებით.

III, 3. მესამე ტიპის ქოთნებიც მხოლოდ პირაყელისა და ტანის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. მათ აქვთ ვარვთ ვადახრილი პირი, შუზნე-ქალპროფილიანი, ქვემოთ გაფართოებული ყელი, რომელიც ტანზე თანდათანობით გადადის, გამოკვეთილი მხრები, ამ ნიმუშებზე ყველა ორნამენტებულია ირგვლივით ფართო ღარებით, ხოლო მხრები — პრიალა ზოლებით, რომლებიც ხან მერიდიანულია. ხან ირიბი (ჯაბ. №№ 102—104, სურ. 47, 49), ხან კი ზოლებისაგან კომპლექსი ბაღდა შედგენილი (ჯაბ. № 103, სურ. 49). ორ ფრაგმენტზე (ჯაბ. № 102, სურ. 47, 49) ყელი ირგვლივ ღარების გარდა ტალღისებური ორნამენტითაც არის შემკული. მესამე ტიპის ქოთნების უმეტესობა რუხკეციანია, ზოგს შავი ზედაპირი აქვს. ზედაპირზე, როგორც წესი, შავი ლაქებია (ცეცხლის კვალი). მათი პირის დიამეტრი მერიდანიულია 12-დან 16 სმ-მდე, კეცის სისქე — 0,5—0,6 სმ-ა. ანალოგიები ამ ტიპის ქოთნებს ჭერჭერიობით არ ეძებნება.

ეანის ნაქალაქარზე ზემოგანხილული ტიპის ქოთნები აღმოჩენილია ცენტრალური ტერასის „ნაღისფერ თიხნარა“²⁰⁸ ფენაში, რაც მოწმობს მათ ვაერცელემას აღრეულ ეტაზე (ძვ. წ. VI—V ს. შუახანებში). აღმდგენი ხანის კულტურულ ფენებში მესამე ტიპის ქოთნები ჭერ არ არის ფიქსირებული.

ეანის ნაქალაქარზე მრავლადაა ფიქსირებული თხლკეციანი, 0,3—0,5 სმ სისქის ჭურჭლის კედლისა და ძირ-ტანის ფრაგმენტები. ამ უკანასკნელებზე შემორჩენილია ტანის მხოლოდ ქვედა ნაწილი, რომელიც იბრისკენ ვიწროვდება და სწორხაზოვანი პროფილი აქვს. ისინი შემკულია

²⁰² ამ კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 9, 10.

²⁰³ Т. К. Микеладзе. М. В. Барамидзе. Колхский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигузани, КСЧА, 151, с. 36—37, рис. 21а.

²⁰⁵ М. М. Трапш. Труды. т. 2. Сухуми, 1969, табл. XVIII, 11, 19.

²⁰⁶ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8—9.

²⁰⁷ ამ ფენების შესახებ დოქრ. იხ. ПАИ в 1977 г.

²⁰⁸ ამ ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 10.

პრილა მერიდიანული ზოლებით, რომლებიც უშუალოდ ძირამდე არ ჩამოდის (კატ. № 105); ზოგჯერ ძირთან მათ ირგვლივ ზოლები ენაკელებიან (კატ. № 106. სურ. 48). ძირი ბრტყელია, მასზე შეიძინევა პრილა ზოლები (ზედაპირის მონსორების კვალი). ძირების ღიაშეგრი 6.5—16 სმ-ა (იხ. კატ. №№ 106, 107, სურ. 47, 48). კედლებს ფრაგმენტებზე პრილა მერიდიანული ზოლები. იშვიათია რომელიმე პადე. ჩამუნდალ კედლებისა და ძირ-ტანის ამ ფრაგმენტებზე არსებული შემკვლეობა ერთნაირად დამახასიათებელია ქოთნების სამივე ზემოგანხილული ტიპისათვის მათი მიკეთვნიება რომელიმე ერთი ტიპისათვის არ ხერხდება.

III. 4. მეოთხე ტიპი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნიმუშით. ესაა ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე თიხის ქვიშკლის გარკვეულ აღმოჩენილი მცირე ზომის ქოთანი — კოკობი²⁰⁹ (ამ კომპლექსის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 7). კოკობს²¹⁰ გარეთ გადახრილი პირი, შეზენევილი ფორმისაა. ქვემოთ დაეწროებული ყელი აქვს. რომელიც ტანს თანდათანობით უერთდება. ტანი ქილისებური მოყვანილობისაა, ძირი ბრტყელია. ტანის ზედა ნაწილში ყელთან ირგვლივ ღრებიან გამოყვანილი. ღრების ქვეშ სამი კოხია დაძვრული (ისინი ნაწილობრივ ფარავენ ღრებში). კოკობი შეადაა გამოწყვარი, ზედაპირი გამრიალებული აქვს. — მისი სიმაღლე 10 სმ-ა, პირის ღიაშეგრი — 9,5 სმ, ძირის ღიაშეგრი — 6,7 სმ (კატ. № 108, სურ. 46, 48). აღმოჩენის პირობები მხოლოდ იმაზე მონიშნულია, რომ ასეთი კოკობები თანაბარსებობდნენ პირველი ტიპის (ქილისებური — III, 1) ქოთნებთან, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ხანს მაინც.

III. 5. მეხუთე ტიპის ქოთნების პირი გარეთაა გადახრილი, რთულპროფილიანია; ყელი ქვემოთ დაეწროებულია, შეზენევილი პროფილი აქვს. ტანს ყელი თანდათანობით უერთდება. შერთების ადგილს გასდევს ლილაკების რიგი. ტანის მოყვანილობა ბიკონუსურს უახლოვდება. ძირი ბრტყელია. ტანის მასპიმაღური ღიაშეგრის ადგილი შემკვლეობა ირიბი ნაქდეების რიგებით

(კატ. №№ 109, 110, სურ. 48). მეული ქოთნის ზომებია: სიმაღლე — 13 სმ, პირის ღიაშეგრი — 10 სმ, ძირის ღიაშეგრი — 7 სმ. ფრაგმენტული ნიმუშების პირის ღიაშეგრი 16 სმ-მდე აღწევს, ხოლო ყელის სისქე — 0,4 სმ-დან 0,8 სმ-მდე მერყევობს. მეული ნიმუში ერთია; ის № 11 სამარხში აღმოჩენილი²¹¹, პირ-ყელის ფრაგმენტები კი (კატ. № 110, სურ. 48) დაფიქსირებულია ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ხის ტაძარ-სამლოცველოში²¹² და ე. წ. ბათქაშებთან ნაგებობაში²¹³, აგრეთვე ცენტრალური ტერასის დასურულ კომპლექსში ე. წ. თეთრი შენობის შიგნით²¹⁴. ამრიგად, უპირველი ხდება ამ ტიპის (III, 5) ქოთნების გავრცელება ძე. წ. V საუკუნესა და IV საუკუნის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია, რომ მეხუთე ტიპის ქოთნების ძე. წ. IV—III ს. პირველი ნახევრის კულტურულ ფენაში აღმოჩენის ფაქტიც არის ნაქალაქარზე დადასტურებული²¹⁵.

III, 6. მეექვსე ტიპის ქოთნებში ვაერთიანებთ მცირე ზომის ბიკონუსურტანის კურკულს, რომელსაც სწორი პირი, სწორხაზოგანპროფილიანია, ქვემოთ დაეწროებული ყელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელი ტანს კუთხით უერთდება. ტანის ზედა ნაწილზე დაძვრულია მრგვალგანიკვეთიანი, ზეაწეული ყური. ქოთნის ზედაპირი გამრიალებულია. მეექვსე ტიპის ქოთნები ერთი მთელი და ერთი ფრაგმენტული ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. № 111, სურ. 49). მეული ნიმუშის სიმაღლე 10 სმ-ა, ყელის სიმაღლე — 2,5 სმ, პირის ღიაშეგრი — 7,5 სმ, ძირის ღიაშეგრი — 5,8 სმ.

ნაქალაქარზე ამ ქვიშკლის აღმოჩენის პირობები მთი დათარიღების საშუალებას არ გვაძლევს. ვინაიდან მეექვსე ტიპის ქოთნების (III, 6) განმსაზღვრელი მორფოლოგიური ნიშნები (ბიკონუსური მოყვანილობის ტანი, დაბალი ყელი, ბრტყელი ძირი) ტიპურია აღრეანტიკური ხანის კლასური ეკრამიკისათვის, ხოლო ანალოგიური ქურკული ნაპოვნია ფიქვენარის სამარხოვანზე ძე. წ. V საუკუნის სამარხში²¹⁶, მათ აღრეანტიკურ ხანს ვაყუთებთ.

²¹¹ გან I, გვ. 237.

²¹² გან IV, კატ. № 764, სურ. 157.

²¹³ გან IV, კატ. № 800, სურ. 162, 163.

²¹⁴ ამ კომპლექსის შესახებ დაწერა. იხ. აქვე, გვ. 10-11.

²¹⁵ ამ ფენის შესახებ იხ. ПАИ V 1975 г., გვ. 67.

²¹⁶ А. Ю. К а х и д з е. Раскопки могильника Пичваши, КСИИ, 151, გვ. 6, სურ. 1, 2.

²⁰⁹ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 10.

²¹⁰ იხ. ზედა ნაწილზე ორბუჯის გუმბარებთან, კოკობი მცირე ზომის ქოთანია. სურ. 46, 48. ო რ ბ ე ლ ა ნ ო. დავისიანი ქართული, თხზულებათა კ. IV, 1, გვ. 391.

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქოთნების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ასეთ სურათს იძლევა: მეოთხე (III, 4) და მეექვსე (III, 6) ტიპების ქოთნები ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით აარიკლებს; ამავე დროს დოკუმენტურად დასტურდება მათი თანაარსებობა; პირველი ტიპის (III, 1) ქოთნებს პროტოტიპი წინაარსებისაა მასალებში ეძებნება; მეორე (III, 2) და მესამე (III, 5) ტიპები თანაარსებობენ ძვ. წ. V საუკუნესა და IV საუკუნის პირველ ნახევარში და უფრო გვიანაც — ელინისტურ ხანაში; მესამე (III, 3) ტიპის ქოთნები მხოლოდ ადრეანტიკური ხანის ადრეული ეტაპისთვის (ძვ. წ. VI—V ს. უხახანები) არის დამახასიათებელი.

IV. ქვაბები (კატ. №№ 112—114, სურ. 50)

სამხარეთლო კერამიკის ეს ჯგუფი ქვაბებდად პირობითად არის განსაზღვრული²¹⁷. ამ ქურქულში მთლიან ფორმის აღდგენა ჩერქეზობით არ ხერხდება.

ვანის ნაქალაქარზე, კოლხეთის სხვა ძეგლების მსგავსად, აღმოჩენილია მხოლოდ პირისა და ტანის, აგრეთვე ყურის ფრაგმენტები. უკეთ დატყლი ნიმუშების (14 ფრაგმენტი) მიხედვით ქვაბებისთვის დამახასიათებელია სწორი პირი, გამოპერიპროფილიანი ტანი, პორიზონტალური ყური, რომელიც ოვალურგანივეკეთიანია, თანაბრად და შორეალური და პირიდან ზეაწეულია. ყური გამოყვანილია ტანის ფორმირების პროცესში და, როგორც წესი, სადაა (კატ. №№ 112, სურ. 50). ორნამენტირებულია მხოლოდ ორი ნიმუში. ერთზე ყურის შუა ნაწილზე დაკბილული იარაღით დატანილია ჩვარედინი ხაზები (კატ. № 113, სურ. 50), მეორეზე — შემორჩენილი ბოლოზე წიწვი-სებურად ვანლაგებული ნაწილებია (კატ. № 114, სურ. 50). ტანის დახრილობა და ძირი მასალის ფრაგმენტულობის გამო არ ისაზღვრება. ქვაბების კეცი რუხია, ზედაპირზე შავი ლაქები ჩანს (ცეცხლის ყვავი). კეცის სისქე საშუალოდ 0,6 სმ-ა. ნაქალაქარზე ქვაბების აღმოჩენის პირობები არ

²¹⁷ ამ სახის ქურქულს ბ. კუფტინი «шайки»-ს უწოდებს (იხ. Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., გვ. 101), ა. კახიძე — ტუბაგებურ ქურქულს (იხ. ა. კახიძე. საქართველოს ზღვის პირეთის..., გვ. 50), ე. იორდანიოვი, сосуды с вертикальными ручками-ს (იხ. Ю. Н. Воронов. დასახ. ნაშრ., გვ. 52).

იძლევა მათი თარიღის განსაზღვრის საშუალებას და განხილული ნიმუშები ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება მხოლოდ პარალელური მასალების მიხედვით.

ანალოგიური ქურქლის ფრაგმენტები აღმოჩენილია ფეკენარში (ძვ. წ. V ს. მასალების თანხლებით)²¹⁸, ოჩაჩირეში (ძვ. წ. V—IV სს. კულტურულ ფენაში)²¹⁹, დაბლაგომის ე. წ. ზედა კულტურულ ფენაში (რომელიც ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება)²²⁰ და ნაიალაშუს ბორცვზე (ადრეანტიკური ხანის მასალებთან ერთად)²²¹.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ქურქული ჩერქეზობით არა ჩანს სიმავრის ნამოსახლარზე.

ვანის მონაპოვრის მიხედვით განხილულ ტიპის ქვაბები ელინისტურ ხანაშიც ვანაჭრობენ არსებობს, თუმცა ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებით მათ შიგნით გადახრილი პირი აქვთ²²².

V. საწურები (კატ. №№ 115—117, სურ. 50—51)

სამხარეთლო კერამიკის ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის ნახვრეტებიანი ქურქული, რომელიც პირ-ყელისა ერთი, ყელლისა და ძირის ორ-ორი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ქურქლის პირი სწორხაზოვანპროფილიანია. ყელი დაბალია (მისი სიმაღლე 1 სმ-ა), ელინდრული მოყვანილობის, ტანს კუთხით უფრობდება; ტანი გამოპერიპროფილიანია (დახრილობა ფრაგმენტულობის გამო არ ისაზღვრება) — შდრ. კატ. №№ 115, სურ. 51. ყელის ფრაგმენტები სწორხაზოვანპროფილიანია (კატ. №№ 116, სურ. 50). ნახვრეტებია ქურქულს ბრტყელი ძირი უნდა ჰქონოდა (შდრ. კატ. № 117, სურ. 50). გამოკლი ნახვრეტები არის როგორც ტანის, ასევე ძირის ფრაგმენტებზე. ძირების დიამეტრი 7,5 სმ და 12 სმ-ა. კეცის სისქე 0,5 სმ-დან 1 სმ-მდე მერყეობს.

²¹⁸ ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 50, ტაბ. V, 7.

²¹⁹ Ю. Н. Воронов. დასახ. ნაშრ., გვ. 52, სურ. 5; Д. Д. Качарова. Город Гизнос в античную эпоху. გვ. 17.

²²⁰ Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., გვ. 101, ტაბ. 35.

²²¹ Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., გვ. 185, სურ. 47.

²²² შდრ. საგ. №№ 07:1—47/258, 07:1—58/261, 07:1—60/55, 07:1—62/228, 07:1—66/430.

ნახერტებიანი ქუჩების კეცი რუხია ან ყაყისფერი. ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული. ჩვენს ხელთ არსებული მასალების ფრაგმენტულობის გამო ნახერტებიანი ქუჩების მთლიანი სახით წარმოდგენა არ ხერხდება (ამის საშუალებას არც კოლხეთის სხვა ძეგლებზე მოპოვებული მასალები იძლევიან). ამგვარი ქუჩკულური პირველ რიგში საწარღო უნდა ყოფილიყო გამოყენებული²²¹. არ გამოირიყხება მიწის (ყოველ შემთხვევაში ერთი ნაწილის მაინც) საკულტო დანიშნულება²²². ვანის ნიმუშებით საწურებადაა განსაზღვრული, რადგანაც მათ უხეშად დამუშავებული ზედაპირი აქვთ. ზოლო პირ-ყელის ფრაგმენტი ღია ტიპის ქუჩკულს ეკუთვნის.

ვანის ნაქალაქარზე განხილული ტიპის ქუჩკულს ფრაგმენტები ფიქსირებულია მხოლოდ ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში დათარიღებულ კულტურულ ფენებში და ამდენად აღმოჩენის პირობების გამო მათ ეწერია ქრონოლოგიური ჩარჩოებით ვერ ვათარიღებთ. აღსანიშნავია, რომ საწურების ფრაგმენტები თავს იჩენენ ძვ. წ. IV—III საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენებშიც²²³.

ნახერტებიანი ქუჩკული აღმოჩენილია კოლხეთის სხვა ძეგლებზეც ძვ. წ. VI—V საუკუნეების კულტურულ ფენებში (სიმაგრის ნაშოსასლარის II ფენა²²⁴, საგვიჩიოს დიხაგუძებ²²⁵, მუხურჩას ნაშოსასლარი²²⁶).

VI. ხ ე ფ ი ბ ი (კატ. №№ 118—125, სურ. 51—52)

სამხარეთლო კერამიკის ცალკე ჯგუფს შეადგენენ ხეფები, რომლებშიც ორი ტიპი გამოიყოფა.

²²¹ შდრ. რ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევამოხა... გვ. 56.

²²² სასაქველადა მიჩნეული საგვიჩიოს დიხაგუძებაზე აღმოჩენილ ნახერტებიანი ქუჩკულ... გ. გრიგოლიძე. ხ ე ფ ი ბ ი. შ. ბ. ბ. ბ. გ. ლორთქიფანიძე. დსახ. ნაწრ., გვ. 35.

²²³ ამ ფენის შესახებ იხ. ПАИ в 1975 г., გვ. 67.

²²⁴ რ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევამოხა... გვ. 56, ტბ. XXVII, 05 S 1—15—235.

²²⁵ გ. გრიგოლიძე. გ. ფხაკაძე, შ. ბ. ბ. რაძიძე, გ. ლორთქიფანიძე. დსახ. ნაწრ., გვ. 35, ტბ. XIX, 2.

²²⁶ გ. М. Гогадзе, Л. Н. Панцхавა, М. В. Дариспанашвили Работы Носкри-Мухурчской археологической экспедиции в 1974—1975 гг., სმავ., V, თბ., 1977, გვ. 66, ტბ. X, 10.

VI, 1. ამ ტიპში გაერთიანებულია ჩამოსებური ფორმის ხეფები (კატ. №№ 118—124, სურ. 51—52). პირის მოყვანილობის მიხედვით მათში ორი ქვეტიპი განირჩევა: VI, 1A. პირგადაბლირი (კატ. №№ 118, სურ. 51—52) და VI, 1B. გარეთ პირგადაშლილი (კატ. №№ 119—121, სურ. 51—52). ორივე შემთხვევაში ტანს სწორხაზოვანი პროფილი აქვს, ქვემოთ დაფიქსირებულია; ძირი ბრტყელია, ცენტრში სახელური აქვს, რომელიც სხვადასხვაგვარად გაფორმებულ მრგვალან ოვალურგანვიკვეთიან ღეროს წარმოადგენს. მრგვალგანვიკვეთიან სახელურებს უპირატესად შეხვედკილი პროფილი, ჩაზნექილი, გამობერილი ან ბრტყელი თავი აქვთ (შდრ. კატ. №№ 118, სურ. 51—52). მხოლოდ ორ ნიმუშზე გვხვდება სწორხაზოვანპროფილიანი სახელური (შდრ. კატ. № 120, 122, სურ. 52). მრგვალგანვიკვეთიანი სახელურები დამახასიათებელია ჩამოსებური ხეფების ორივე ქვეტიპისათვის. ოვალურგანვიკვეთიანი სახელურები ჩვეულებრივ შეერტიკებით ბოლოვდება (კატ. №№ 122, 123, სურ. 52). ფრაგმენტულობის გამო ოვალურგანვიკვეთიანი სახელურების შქონე ნიმუშების მიკუთვნება რომელიმე ქვეტიპისათვის ვერ ხერხდება.

ჩამოსებური ხეფები, როგორც წესი, საღაა. გამოჩაყოსია მხოლოდ ერთი ნიმუში, რომელსაც კალთა შიდა მხრიდან შემკული აქვს დაკბილული იარაღით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტით (კატ. № 121, სურ. 52).

განხილული ტიპის ხეფებს შორის გვხვდება როგორც რუსკეციანი, ასევე შვე- და ყაყისფერიკეციანი ნიმუშები, მაგრამ სჭარბობენ რუსკეციანები. ზომებში საკმაოდ დიდი სხვაობა შეინიშნება. სიმაღლე მერყეობს 3-დან 5 სმ-მდე, ძირის დიამეტრი კი — 3,5—7 სმ-ს შორის. შესაძლებელია, მცირე ზომის ხეფები დოქებისათვის იყო განკუთვნილი. მაგარი, როგორც ჩანს, ჩამოსებური ხეფები ძირითადად მაინც ქოთნებს უკავშირდებიან (ყერძოდ, პირველი ტიპის — III, 1 — ქოთნებს). აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება დოქუმენტურადაც არის დადასტურებული ვანის ნაქალაქარზე (თიხის ქუჩკულის გროვაში ცენტრალურ ტერასაზე²²⁷; ამ გროვის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 7-ზე).

ჩამოსებური ხეფები (15 ნიმუში) აღმოჩენი-

²²⁷ ვანი II, გვ. 30, სურ. 48.

ლია ცენტრალურ ტერასაზე როგორც ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა („შავი“ ფენა, „ნატრისფერი თიხნარი“) და კომპლექსში (ზემოთ ნახსენებ თიხის ჭურჭლის გროვავში), ასევე ნაყარ, ნარევე ფენებში („მოყვითალო თიხნარი“ ფენა), აგრეთვე ზედა ტერასაზე ბათქაშებიან ნაგებობა-წიგ²³⁰. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ტიპის ზუფების აღმოჩენა „ნატრისფერი თიხნარ“ ფენაში, რომელიც, როგორც აღინიშნა, ძვ. წ. V საუკუნის შუახანებამდე წარმოქმნილი, და. ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ ბათქაშებიან ნაგებობაში. ეს ნაგებობა იმის მაჩვენებელია, რომ ქამისებური ზუფები უკვე ადრეანტიკური ხანის დარღვეული ეტაპისთვის დამახასიათებელი კერამიკული ფორმაა. ამასვე მოწმობს მათი აღმოჩენა სიმაგრისა (ძვ. წ. VI ს. შუახანები — ძვ. წ. V ს. შუახანები) და ჩოონის მარცხენა ტერასის ნაშოსხარაზე (ძვ. წ. V ს.)²³¹. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით სიმაგრისა და ჩოონის მარცხენა ტერასის ნაშოსხარაების ქამისებური ზუფები ვანის ნიმუშებისგან პირის მოყვანილობით განსხვავდებიან. კერძოდ, მათ სწორი პირი აქვთ²³².

როგორც ჩანს, ქამისებური ზუფები უფრო გვიანაც იყო გავრცელებული. ვანში ისინი დაფიქსირებულია ძვ. წ. IV—III საუკუნეების ფენაშიც (ცენტრალური ტერასა, ნაკვეთი 119, „მონასტრისფერ-ყვითელი თიხნარი“ ფენა)²³³.

VI, 2 ზუფების მეორე ტიპი — დისკოსებური — მხოლოდ ერთი, მთელი ნიმუშით არის წარმოდგენილი (კატ. № 125, სურ. 51—52). როგორც შემოთავაზებული სახელწოდებიდან ჩანს, ამ ტიპის ზუფს დისკოსებური მოყვანილობა აქვს — ბრტყელია და მრგვალი. ზუფის დიამეტრი 9 სმ-ა, ხოლო სისქე — 0,6 სმ. მის გარეთა ზედაპირზე ცენტრში ღლიაკისებური სახეღერია დაძაწილი, ხოლო შიდა ზედაპირზე წრიული ქუსლია. ზუფი შეაკეციანია, ზედაპირზე ყავისფერი ლაქები აქვს (ცეცხლის კვალი). დისკოსებური ზუფი ეკუთვნის მცირე ზომის ქოთანს — კოქობს (კატ. № 108, სურ. 46, 48), რომელიც ცენტრალურ ტერასაზე

დაფიქსირებულ თიხის ჭურჭლის გროვავში აღმოჩნდა (ამ გროვის შემადგენელი ჭურჭლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 7-ზე). დისკოსებური და ქამისებური ზუფების აღმოჩენა ერთსა და იგივე კომპლექსში მათ თანდარბოვობას მოწმობს. დისკოსებური ზუფების ანალოგიები სპეციალურ ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ვანში ზუფების ტიპების ქრონოლოგიური რიგი ასე გამოიყურება: ძვ. წ. VI—V სს. პირველ ნახევარში გავრცელებულია ქამისებური და დისკოსებური ზუფები; ხოლო ძვ. წ. IV—III სს. პირველ ნახევარში არსებობს განავრცობის მხოლოდ ქამისებური ზუფი.

სუფრის ჭურჭელი

VII. ღოქები (კატ. №№ 126—143, სურ. 53—57)

ღოქები ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ელემენტია. მაგრამ, მოხუცდალ მათი მზირი აღმოჩენებისა კოლხების სხვადასხვა ძეგლებზე, ჭერ-ჭერიბით არც ღოქების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციაა შემუშავებული. ვანის ნაქალაქარის მონაპოვარში ღოქების

სამი ტიპი გამოიყო:

VII, 1 — ყურშილიანი ღოქები (კატ. №№ 126—134, სურ. 53—54), რომელიც განმსაზღვრელი ნიშანია, როგორც ეს სახელწოდებიდან ჩანს²³⁴; თავისებური ყური ის ორი ნაწილისაგან შედგება: სწორხაზოვანპროფილიანი მრგვალ-განიკვეთიანი მილისა და ოვალურგანიკვეთიანი

²³⁴ სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის ღოქებს სხვადასხვა სახელწოდებითა შესულ: „ყურშილიანი ღოქები“ (მდრ. ა. კახიძე, მასალები... გვ. 72; თ. შიქველიძე, ძეგ-ბანი... გვ. 63; მისივე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება... გვ. 74; ფ. ნაღარაძე, ყურის ზეობის... გვ. 31), „ყურშილიანი ხელადა“ (მდრ. ფ. ნაღარაძე, ყურის ზეობის... გვ. 30; თ. შიქველიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება... გვ. 57; მ. ბარამიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება... თბ., 1977, გვ. 28—31); „საქრუბიანი ღოქი“ (მდრ. თ. შიქველიძე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ, 1964 წლის საფუძვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების აღმნიშვნელი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965, გვ. 50).

²³⁰ ამ ფენებსა და კომპლექსებს შინაგან დაწვრილ. იხ. აქვე, გვ. 9—10.
²³¹ თ. შიქველიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 57—58, ტაბ. XXXVI.
²³² თ. შიქველიძე, ა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 57—58, ტაბ. XXXVI.
²³³ ამ ფენის შესახებ დაწვრილ. იხ. ПАИ в 1975 г., გვ. 67.

კაქისიანს. რომლითაც მილი ყელს უფრთხვებდა. ვანის ნაქალაქარზე უფრთხვობა დოქმები ძირითადად უფრთხვა. ან უფრთხვა და ყელის ფრთხვებზე-ბითაც წარმოდგენილი. სრული სახით მხოლოდ ერთი ნიმუში არის შემორჩენილი. ეს გარემოება არ იძლევა ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული უფრთხვობის დოქმების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობას. ტიპის დახასიათებას მთელი ნიმუშის მიხედვით ვიძლევი: დოქმ. აქვს სწორი. გამობერტილია პირი: სწორხაზოვანპროფილიანი. ქვეშით დაიწროებული ყელი: ბიკონუსური მოყვანილობის ტანი: ბრტყელი, გამოყვანილი ძირი: ყელსა და ტანის ზედა ნაწილზე მიმდებარებული შილიანი ყური: სადა. გაპრიალებული ზედაპირი (კატ. №№ 126, სურ. 53). ზედაპირის გაპრიალების კვალ ჩანს უფრთხვობის დოქმების სხვა ფრთხვებზე. ჩვეულებრივ, ყურები სადაა. მხოლოდ სამი ნიმუშია ორნამენტირებული ირიბი ნაკვდევებით (კატ. № 131—132, სურ. 54). ზოგჯერ ყელიდან ტანზე გადასვლის ადგილი შემეყვანილია ირგვლივ ღრუბითა და ირიბი ნაკვდევებით (კატ. № 127, სურ. 54). კე(კ)რები ან ყაყისფერი. ნიმუშებს უმრავლესობა შეუქვედობიანია.

ვანის ნაქალაქარზე უფრთხვობის დოქმების ფრთხვებზე ადგილობრივი ზოგადად ძე. წ. VI—IV საუკუნეებით. აგრეთვე ძე. წ. VI—V საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებში (სანაშობო ოთარისა და მონაშობო-რუბი ფენები) თენები ნაქალაქარის ზედა ტერასებზე²³⁵. უფრთხვობის დოქმების ფრთხვებზე დახურულმა კომპლექსებმა მოგვცა — ოთარში ნაყეთმა არხმა ზედა ტერასაზე (ზოგადად ძე. წ. VI—IV სს.)²³⁶, აგრეთვე ძე. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებულმა ორმომ ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ²³⁷. მთელი ნიმუში ძე. წ. V საუკუნის შუახანების № 11 სმარხბო ადგილობრივი²³⁸ (იხ. კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა სურ. 8-ზე).

არსებული მასალების მიხედვით უფრთხვობის ნაწილის სიმაღლე 5,5 სმ-დან 9 სმ-მდე

²³⁵ ვ. ი. IV, კატ. №№ 557, 558, 625, სურ. 120, 129.
²³⁶ ვ. ი. IV, კატ. № 918.
²³⁷ ამ კომპლექსის შესახებ იხ. ი. თ. ლ. ო. თ. კ. ი. თ. ა. ნიჭი. არქეოლოგი და სკვრული მუშაობის რეპორტი ზოგადი სკვრის, გვ. 116, შუბ. 36.
²³⁸ ვან I, გვ. 236—237, სურ. 220.

მერყეობს²³⁹ (იხ. სურ. 53). როგორც ჩანს, უფრთხვობის დოქმები სხვადასხვა სიმაღლისა იყო.

უფრთხვობის დოქმები ქვეყრებზე და სასმის-სებთან ერთად ადრანტიკური ხანის კოლხური კერამიკული ქერქის წამყვან სახეობად გვევლინება. კოლხეთში ძნელად თუ მოიძებნება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლი, სადაც არაა ფიქსირებული ამ ტიპის დოქმები. ისინი აღმოჩენილია ბათუმისციხეზე²⁴⁰, ფიქნარში²⁴¹, კოხში²⁴², სიმაგრეზე²⁴³ და რიონის მარცხენა ტერასის დასახლებებზე²⁴⁴, ოჩამჩირეში²⁴⁵, ერგვეტში²⁴⁶, შუამთაში²⁴⁷, მთისძირში²⁴⁸, დაბლაგოში²⁴⁹, დაფნარში²⁵⁰, მარტოში²⁵¹, ქუთაისში²⁵², მორინახეზე²⁵³, ოხვისში²⁵⁴, ყუღუბაში²⁵⁵, ნაქალაქარ-ნაქალა-

²³⁹ უფრთხვობის დოქმების ზომების მრავალფეროვნება და დასტურებულია სიმაგრისა და რიონის მარცხენა ტერასის ნაშობობის მასალებითა—შ. რ. თ. ი. კ. ე. ლ. ა. ძე. შ. ა. ე. ა. ნ. ა. გვ. 63; მისივე, არქეოლოგიური კვლევები... გვ. 57, ტაბ. XXXV.
²⁴⁰ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 45.
²⁴¹ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 45—46, ტაბ. VI, 6; მისივე, მასალები... გვ. 72.
²⁴² ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴³ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁴ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁵ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁶ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁷ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁸ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁴⁹ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵⁰ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵¹ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵² ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵³ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵⁴ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.
²⁵⁵ ა. კ. ა. ი. ძე. ს. ა. კ. ო. თ. ა. ნ. ა. გვ. 46.

მუს ბორცეხ²⁵⁶. ციხურაზე²⁵⁷, მუხურჩაში²⁵⁸, მერხეულში²⁵⁹, ბროლიში²⁶⁰. აღმოჩენილია ისინი სამხრეთ ოსეთშიც, თლის სამაროვანზე ძვ. წ. V—IV საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში²⁶¹. აკადე ამისა, ყურმილიანი ღოჭები ცნობილია იმ ძველებიდანც, რომელთა თარიღი წინარე-ანტიკური და ადრეანტიკური ხანების მიყნით განისაზღვრება. ესენია: საზანოს²⁶², მუხურჩაში²⁶³, პალურისა²⁶⁴ და ნიგეზიანის²⁶⁵ სამაროვნები, ვერ-ნების ვანსი²⁶⁶, აგრეთვე ფიქვენარის დიუნური სა-მოსახლო, რომლის ზედა ქრონოლოგიურ საზღვ-რად აღ. რამიშვილი ძვ. წ. VII საუკუნის მიწურ-ულს მიიჩნევს, მაგრამ არ გამოიციხავს ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისსაც, კვდა ქრონოლოგიურ საზღვარს კი ძვ. წ. VIII საუკუნით ვანსაზ-

ღვრავს²⁶⁷. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ყურმილიანი ღოჭების წარმოშობა წინარეან-ტიკურ ხანაში ეივარაუდოთ²⁶⁸. განხილული ტიპის ღოჭები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ძვ. წ. IV—III საუკუნეების კომპლექსებშიც (დაბლა-ვომის²⁶⁹, დაფნარისა²⁷⁰ და ფიქვენარის²⁷¹ სამა-როვნებზე). ვანის ნაქალაქარზე ისინი დამოწმებუ-ლია ძვ. წ. IV საუკუნის შესაბამისად მეოთხედით და-თარიღებულ კომპლექსში (სტერილური თიხა-რით ვადახურული ორმო ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ, კარიბჭესთან ახლოს)²⁷². აგრეთვე ძვ. წ. IV—III საუკუნის პირველი ნახევრის კულტუ-

²⁵⁶ Б. А. Купчанин. Д.с.х. ნაშრ., გვ. 185, სურ. 47.

²⁵⁷ ტ. ჩუბინაშვილი. არქეოლოგიური ძეგ-ლები „ციხურას“ მდამოებლან, სსმპ, XVII—B, თბ., 1953, გვ. 174—175, ტბ. IV, 4.

²⁵⁸ Э. М. Гогодзе. Л. Н. Панцхавა, М. В. Дариспанашвили. დასხ. ნაშრ., გვ. 66.

²⁵⁹ შ. ბარამიძე. მერხეულის სამაროვანი, გვ. 28, 74, 49, ტბ. III, 49.

²⁶⁰ გ. ვოხეჯიშვილი. ბრინჯოს ქართული უღ-ველური ბალები, თბ., 1942, ტბ. 30.

²⁶¹ В. В. Тихов. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971, с. 224—225, табл. 79, 80.

²⁶² ით. ღამბაშიძე. შემოხვეული აღმოჩენილი არ-ქეოლოგიური ძეგლები სოფ. საზანოსად, 1962 წლის საველ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი საკენცნო სესიის მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 46.

²⁶³ Э. М. Гогодзе, Л. Н. Панцхавა, М. В. Дариспанашвили. დასხ. ნაშრ., გვ. 62, ტბ. X, 23—26.

²⁶⁴ შ. ბარამიძე. მერხეულის სამაროვანი, გვ. 29—30.

²⁶⁵ Т. К. Михеладзе, М. В. Барамидзе. Колхский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигизлиани, КСИА, 151, გვ. 34, სურ. 2, 1; 12; 13; შ. ბარამიძე. მერხეულის სამაროვანი, გვ. 30.

²⁶⁶ ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 46, ტბ. IV, 9; ა. ივანიშვილი. დღევანდის ვანში და კოლხური ნეთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სსმპ, V, გვ. 29, ტბ. XI. ამ უკანასკნელ ხანებში შემოთავა-ზებულია ვანის ახალი სახეობის—ფურბეკული კომ-პლექსი—დაურე. იხ. შ. შამუღლიძე. აჭარის სახელ-მწიფო მუზეუმში დაცული სოფელ ფურბეკულში შემოხვე-ული აღმოჩენილი არქეოლოგიური ქსალები, სსმპ-ით საქარ-თველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, IX, ბათუ-მი, 1978, გვ. 162—172.

²⁶⁷ А. Т. Рамншвили. Раскопки приморских стоянок в Пичванри (Кобулет) в 1960—1964 гг. и 1967 г., СА, 1975, № 1, გვ. 147, სურ. 7, 1; როგორც ზემოთა აღნიშნულა, აღ. რამიშვილი ამ ნაშრომში ფიქვენარის ღოჭე-რი სამოსახლოს ზედა ქრონოლოგიური შიქის დათარიღე-ბისას უფრო ძვ. წ. VII სს დასასრულსაკენ იხიზნა იმიტომ, რომ ფიქვენარის ღოჭეზე არაა წარმოდგენილი ანტიკური მშ-პირტი, რომელიც ფიქვენარის ნაქალაქარზე თითქმის ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისიდან ვხვდებოდა; მაგრამ, როგორც ირ-კვეთა, ფიქვენარის მშპირტი უფრო ძვ. წ. VI საუკუნის მეო-რე ნახევარს შეეუფლებოდა (ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნა-ხევრის შემოგნანი ნაწილები ერთდროულად ფრამგებებოთა მშობლად წარმოდგენილი—შარ. ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 73—115, ტბ. VIII—XII).

²⁶⁸ ყურმილიანი ღოჭები საქართველოში უკვე დრე-ბრინჯაო-შეხანისწინის ხანის ბეღენისა და გრავალის ვარა-სამარხებში ვხვდებოდა, მაგრამ დღი ქრონოლოგიური წყვე-ტილის გამო, ჩვენი აზრით, საესებო ხანათებულად მკვლეა-რები გამოიციხავენ ადრეანტიკური ხანის ყურმილიანი ღო-ჭების აკვირის შიათთან (შარ. შ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი, გვ. 31). არის მოსახლოება, რომ ყურმილიანი ღო-ჭების ფორმა მოღირსებებს იტანული კულტურის წარდღ-ს (შარ. ით. ღამბაშიძე ვანი, გვ. 21, შენ. 71), სადაც ამ ტიპის ღოჭები ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისშია ვაგრეკლებულ (R. Ghirshman. Iran. Protoiranien, Medec, Achameniden, München, 1964, 1964 გვ. 128, სურ. 170; R. H. Dyson, Problems of Protohistoric Iran, JNES, XXIV, 3, 1965, გვ. 200, სურ. 7.

²⁶⁹ გ. თოდუაძე. არქეოლოგიური ვახხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში, ვანი II, გვ. 56.

²⁷⁰ Н. Ш. Кягурадзе. დასხ. ნაშრ., გვ. 33, ტბ. LXI, 2.

²⁷¹ ნ. ვაშაქიძე. ა. კახიძე. ფიქვენარის ისტორიის ხანის სამაროვანი 1975 წლის ჩატარებულ საველ კვლევა-ძიების შედეგები, სსმპ, VII, თბ., 1978, გვ. 43, 46, 47, ტბ. XVI, 2; XVII, 5, 7; XX, 6.

²⁷² ამ კომპლექსის შესახებ იხ. ით. ღამბაშიძე ვანი. აქილოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 116, შენ. 36.

რულ ფენებში (ნაკვეთი 119)²⁷³. უფრო გვიან ყურმილიანი დოქები კოლხეთის ძეგლებზე აღარა ჩანან. როგორც ჩანს, ამ დროიდან მოყოლებული დოქების ეს ტიპი თანდათანობით ქრება.

აღსანიშნავია, რომ ყურმილიანი დოქები აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება. ისინი დამრეზებულია რიგ სამარხებში და ცალკეულ კომპლექსებში (გოსტიბა²⁷⁴, უფლისციხე²⁷⁵), რომელთაც ზოგადად ადრეანტიკური ხანით ათარქვებენ²⁷⁶. გვხვდება ისინი რამდენიმე უფრო გვიანდელი ხანით დათარიღებულ სამარხებშიც (ციხიბურა²⁷⁷, სამთავრო²⁷⁸ და სხვ.²⁷⁹).

კოლხეთის სხვადასხვა ძეგლებსა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული მასალების მიხედვით შეიძლება თვლით გავადევნოთ ყურმილიანი დოქების განვითარებას. წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანების მიჯნაზე გვხვდება როგორც ბიკონუსტრანიანი, ასევე სფერულტანიანი და მრგვალამოყვანილი დოქები; დამახასიათებელი ორნამენტული სახეებია ირიბი ნაქდევები, ღარები, ტალისებური ორნამენტი, აგრეთვე შეერონები²⁸⁰. ძვ. წ. VI საუკუნის ყურმილიანი

²⁷³ ამ ფენის შესახებ იხ. П.И. В 1978 г.

²⁷⁴ ტ. ჩ უ ბ ი ნ შ ე ი ლ ი. გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიის ძეგლები, სმპ, ტ. XVI—B, თბ., 1950, გვ. 27, სურ. 5.

²⁷⁵ ზ. ხ ა ხ ე ბ ა ი შ ე ი ლ ი. უფლისციხე, II, თბ., 1970, გვ. 72, ტბ. II, 7.

²⁷⁶ რამდენადაც აქა რეალად ამჟამა ხდება აუცილებლობა აღმოსავლეთ საქართველოს რიგი ადრე აღმოჩენილი ძეგლების (ბაზილიკა, ყანაშეთი, კამარხხვევი) ერთობლად დაქრებულად თარიღების გადასინჯვისა, აღბრუნ. საგანგებო მუშაველს სავსაი უნდა გახდეს ზემოთაღსაზრებელი კომპლექსის თარიღის დასტურების საკითხიც.

²⁷⁷ ცნობა მოკვეთილად ტ. მეცნ. კანდ. გ. ციკლიძეზე.

²⁷⁸ გ. თ ი ლ ი რ დ ა ვ ა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I საუკუნეებში, თბ., III, 1963, გვ. 144.

²⁷⁹ უკლებლიანი დოქები, ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებული ტიპოლოგიური ნიმუშით, გავრცელებულია უფრო გვიანად (წელთაღრიცხვითა მიწნაზე) ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში) აჭარისა და საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიაში (დარქურ. იხ. გ. თ ი ლ ი რ დ ა ვ ა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის..., გვ. 144; М. П. Абрамова. К вопросу о связях населения Северного Кавказа сарматского времени, СА, 1979, № 2, გვ. 35—39, სურ. 4).

²⁸⁰ ა კ ა ხ ი ძ ე. საქართველის ზღვისპირეთის..., გვ. 45—46, ტბ. IV, 8, 9; А. Т. Рамшишвили. Раскопки... გვ. 147, სურ. 7; —: Э. М. Гогодзе, Л. Н. Папичава, М. В. Даринская-Швиц. დასახ. ნმრ., გვ. 62, ტბ. X, 23—26; Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, დასახ. ნმრ., გვ. 36, სურ. 24, 25, 26.

დოქები მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა მოწვეული (სიმაგრე)²⁸¹. ძვ. წ. V საუკუნეში გაბატონებული ჩანს ყურმილიანი დოქის ტანის ბიკონუსტური მოყვანილობა. ასეთებია ფიქვანარის. იოხიისის, მოდინახესა და საყუთრიო ვანის სამარხებში აღმოჩენილი დოქები²⁸². ბიკონუსტური ტანი აქვს აღმოსავლეთ საქართველოში (გოსტიბა) დამრეზებულ ყურმილიან დოქას. ყველა ჩამოთვლილი დოქი ერთგვლიანია. ვანის ყურმილიანი დოქი სხეებისაგან გამოირჩევა გამოყვანილი ძირით. ძვ. წ. V საუკუნეში ბიკონუსტრანიანი ყურმილიან დოქებთან თანაარსებობენ სფერულტანიანიებიც. ეს უწყასწინელი სადასტურადამოწიანებია²⁸³. ბიკონუსტრანიანი დოქები კი ორნამენტირებულია. მათი ტანის შექცეულობის ყველაზე გავრცელებული სახე ტალისებური ორნამენტიანია. გვხვდება აგრეთვე ნაქდევები, ყურმეტი კი ნაქდევები და ლილაკებია. ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ყურმილიანი დოქები ტანის ბიკონუსტური მოყვანილობის კარგაგან; ისინი როგორც წესი, სფერულტანიანებია; ორნამენტირებულია ირიბი ნაქდევებიც, ტალისებური და წიწვისებური სახეებით²⁸⁴. ფორმის ცვლილებასთან ერთად ზოგჯერ ამ ხანის ყურმილიან დოქებზე ასახო მორფოლოგიური ნიშანი იჩენს თავს — მავალითად, კოლხეთის ზღვისპირა ზოლში — ფიქვანარის სამარხთანზე აღმოჩენილ ერთ-ერთ ყურმილიან დოქს სამტრეხა პირი უჩნდება, რაც ბერძნული კერამიკის გავლენადაა მიჩნეული²⁸⁵.

VII, 2. დოქების მეორე ტიპი წარმოდგენილია ორი მთელი ნიმუშით. ამ ტიპისთვის დამახასიათებელია: დაბალი, ქვემოთ დაეწიწიებული ყელი, რომელიც ტანს კუთხით უერთდება; ბი-

²⁸¹ თ. შ ი ქ ე ლ ი ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., ტბ. XXXV.

²⁸² ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 45—46, ტბ. VI, 6; ი. ვ ა გ ა ო შ ი ძ ე. იოხიისის სამარხი, გვ. 41, ქ. ნ ა ი რ ა ძ ე. ყურმილის ხეობის..., გვ. 30, ტბ. XI, 12; ვანი I, გვ. 236, სურ. 220.

²⁸³ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 46.

²⁸⁴ გ. თ ი ლ ი რ დ ა ვ ა. არქეოლოგიური გათხრები დაზღვევაში..., გვ. 56; Н. Ш. Кнурадзе. Дагнарский могильник, гв. 33, ტბ. X, 1, 2; Н. Ш. Кнурадзе, Г. А. Лордкипанидзе. Дагнарское селище в могильник. გვ. 62, სურ. 7.

²⁸⁵ გ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ა. კ ა ხ ი ძ ე. ფიქვანარის ელინისტური ხანის..., გვ. 46—47.

კონუსური ტანი, ბრტყელი ძირი, ტანის ზედა ნაწილის შემკობა სარტყლებად განლაგებული ტალისებური ორნამენტით; პირს ზემოთ აზიდული, ზემოთ მორკალული, ნახევაროვალურგანივკეთიანი ყური, რომელიც ერთი ბოლოთი უშუალოდ პირზეა მიძერწილი, მეორეთი — ტანის ზედა ნაწილზე; გაპრიალებული ზედაპირი. ჩვენს ხელთ არსებული დოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პირით, ყელის პროფილით, ტანზე ორნამენტული სარტყლების რაოდენობითა და ზომებით. ყერძოდ, ერთ დოქს (ჯატ. № 135, სურ. 55) სწორი პირი, სწორხაზოვანპროფილიანი ყელი, ტანზე სამი ორნამენტული სარტყელი აქვს. მისი სიმაღლე 17,5 სმ-ა, პირის დიამეტრი — 8,5 სმ, ძირის დიამეტრი — 10,8 სმ, ტანის უდიდესი დიამეტრი — 25 სმ. მეორე დოქის (ჯატ. № 136, სურ. 53, 55) პირი გარეთაა დახრილი, გამობერტილპროფილიანია; ყელი შეზნექილპროფილიანია; ტანზე ორი ორნამენტული სარტყელი აქვს. მისი სიმაღლე 11 სმ-ა, პირის დიამეტრი — 8 სმ, ძირის დიამეტრი — 7,5 სმ. ორივე დოქი მორუხო-ყავისფერკეციანია.

განხილული ტიპის დოქების ანალოგიები კოლხეთის ძეგლებზე ჩერჩვრებით ვერ მოიძიეთ. ვანის დოქები აღმოჩენის პირობების მიხედვით (№ 11 სამარხი)²⁸⁶ ძვ. წ. V საუკუნის შუახანებას მიეკუთვნებიან (№ 11 სამარხის თიხის კურკლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 8-ზე).

VII, 3. მესამე ტიპში გაერთიანებულია ერთი მთელი და ერთი ნაკლები დოქი (ჯატ. №№ 137—138, სურ. 56). მთელი ნიმუშის მიხედვით ამ ტიპის დოქების მოყვანილობა ასე წარმოგვიდგება: სწორი პირი, სწორხაზოვანპროფილიანი, კვეშით დაეწროებული ყელი, რომელიც ტანს კუთხით უერთდება; ბიკონუსური ტანი; ბრტყელი ძირი; ოვალურგანივკეთიანი, თანაბრად მორკალული ყური, რომლის ზედა ბოლო მიმდგრებულია ყელის შუა ადგილზე, ხოლო ქვედა — ტანის ზედა ნაწილზე. ყელის ქვედა ნაწილს სამი ღარი უელის გარშემო, ყურის ორივე ბოლო კი შემქლანა ნაქდევებით. დოქების ზედაპირი გაპრიალებულია (შდრ. კატ. № 137, სურ. 56). ნაკლებ დოქზე შემორჩენილია მხოლოდ ტანი და ყურის ქვედა ბოლო (კატ. № 138, სურ. 56). მთე-

ლი დოქის სიმაღლე 23 სმ-ს აღწევს, პირის დიამეტრი — 8 სმ, ხოლო ძირის დიამეტრი — 11,5 სმ. ტანის უდიდესი დიამეტრი 20 სმ-ა. ნაკლები დოქი მისგან მხოლოდ ტანის უდიდესი დიამეტრით განსხვავდება, რაც ამჯერად 24 სმ-ა.

მთელი დოქი აღმოჩენილია № 11 სამარხში (ძვ. წ. V საუკუნის შუახანები)²⁸⁷, ხოლო ნაკლები დოქი № 6 სამარხში (ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი)²⁸⁸. მამასადავმე, ვანის ნაქალაქარზე დოქმენტურადა ჩანს დადსტურებული განხილული ტიპის დოქების გაერცელება ძვ. წ. V საუკუნის შუახანებიდან ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ანალოგიური დოქები ცნობილია მოდინახეს ძვ. წ. V საუკუნის სამარხიდან²⁸⁹; ამ ტიპის დოქების ძვ. წ. IV—III საუკუნეების კომპლექსში აღმოჩენის ჩერჩვრებით ერთი შემთხვევა დაფიქსირებული — დაბლაგომის ქვეერსამარხში²⁹⁰.

ზემოვანხილული დოქების გარდა ვანის ნაქალაქარზე მრავალადა ფიქსირებული დოქების კვლეობის ფრაგმენტები, მთ შორის ორნამენტურ ორნამენტულ სარტყელს ქმნის — შდრ. კატ. №№ 142—146, სურ. 57). ღარები არა ჩანს მხოლოდ ერთ ნიმუშზე (კატ. № 147, სურ. 57). გვხვდება აგრეთვე ტალური ხაზები (კატ. № 141, სურ. 57), ირგვლივი ღარები (კატ. № 139, სურ. 57) და ირიბი ნაქდევების რაგები (კატ. № 140, სურ. 57). ფრაგმენტების კვი რუხია ამ ყავისფერი. ზოგჯერ მათ შავი ზედაპირი აქვთ. ფრაგმენტულობის გამო ამ ნიმუშების მიკუთვნება ჩვენ მიერ გამოყოფილი რომელიმე ტიპის დოქისადმი ვერ ხერხდება. ისინი აღმოჩენილია ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ძვ. წ. VI—V საუკუნეების კულტურულ ფენაში („მოშავო-რუხი ფენის“ კულტურული ფენა), ძვ. წ. V საუკუნითა და ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით და-

²⁸⁶ ამ კომპლექსის შესახებ იხ. ავე, გვ. 10.

²⁸⁷ ამ სამარხის შესახებ იხ. ავე, გვ. 12.

²⁸⁸ ფ. ნ ა დ ი ა ძ ე. უეოროლს ზეობის..., გვ. 28, ტაბ. XI, 9.

²⁸⁹ ვ. თ ო ლ რ დ ა ვ ა. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში, გვ. 55—56, 62, სურ. 78.

²⁸⁵ ამ კომპლექსის შესახებ იხ. ავე, გვ. 10.

თარღებულ ხის ტაძარ-სამლოცველოში და აგრეთვე ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში („ნაშალი თირის“ ფენა)²⁹¹.

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე დოკუმენტურად დასტურდება ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში დოქების სამივე ტიპის თანარსებობა. მეორე ტიპის დოქები ჭრჭყრობით მხოლოდ ვანის ნაქალაქარისთვის ჩანს და ახასიათებელი, დანარჩენი ორი ტიპი კი კოლხეთის ამავე ხანის სხვა ძეგლებიდანაცაა ცნობილი. პირველი და მესამე ტიპის დოქები ძვ. წ. IV—III საუკუნეებში განაგრძობენ არსებობას, თუმცა ამ დროს გაბატონებული ჩანს დოქების ახალი ტიპი. კერძოდ, ვანის ნაქალაქარზე გათხრილი ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის (უფრო მისი მიწურულის) კომპლექსის — № 10 საძირაში²⁹² — მიხედვით დოქები ავლენენ ტენდენციას წაგრძელებული პროპორციებისკენ: ყელი მაღლდება და ვიწროვდება, ტანი სფერულია; ქრება პირიდან ზეწვეული ყურები. ამასთან ერთად თვალსაჩინოა გუნტაკური კაშვირი აღჩრდილ ნიშებთან — აკვე გვხვდება ღარების შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტის სარტყელი. ერთ-ერთი დოქის ტანის მოყვანილობა ბიკონუსურს უახლოვდება²⁹³.

VIII. სასამისეები (ჯატ. №№ 148—172, სურ. 58—63)

სასამისეები ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკული კურკლის წამყვანი ფორმაა. მათ ფართო გავრცელებას ამ ხანაში მევენახეობა-მევენახეობის განვითარებას უკავშირებენ²⁹⁴. შემოღწევაზედელია კოლხეთის ცალკეულ ძეგლებზე (კობულეთ-ფიჭვნარა²⁹⁵, სიმაგრე²⁹⁶, რიონის მარცხენა ტერასის ნაშოსახლარები²⁹⁷ მოპოვებული სასამისეების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. სპეციალურ კლერატურაში აღინიშნება სასამისეების მრავალფეროვნება, რაც ვანის მასალებითაც დას-

ტურდება. ეკრბოდ, ვანში აღმოჩენილ სასამისეებში 5 ტიპი გამოიყოფა:

VIII, 1. პირველი ტიპის სასამისეს (ჯატ. №№ 148—152, სურ. 58) ტრადიციულად ჰქვია სეპურს ვუწოდებენ²⁹⁸. ისინი ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით: სწორი პირით; დაბალი, სწორხაზოვანმარფილიანი, კვემით დაფორმებული ყელით, რომელიც ტანს ყუთხით უერთდება; გამობერილობრივფილიანი, კვემით დაფორმებული ტანით, რომლის ზედა ნაწილშია უდიდესი დიამეტრი; ბრტყელი ძირით; ტანის ზედა ნაწილზე დაძვრული მრგვალგანიცეეთიანი ყურით. გვხვდება როგორც თანაბრად მორკალული (ჯატ. № 148, სურ. 58), ასევე ზემოთ მორკალული ყურები (ჯატ. № 152, სურ. 58). როგორც წესი, სასამისეების ზედაპირი მოსწორებულია, სადაა. მხოლოდ ერთი ნიმუშია გაპრიალებული. რამდენიმე სასამისე ტანი შემოკლებული ირგვლივ ღარებით (ჯატ. №№ 149—151, სურ. 58). ყურადღებას იქცევს ერთი ფრაგმენტი, რომლის ტანის ქვედა ნაწილი ძირთან ცილინდრულია, ხოლო ტანი შემოკლებული გაპრიალებული ზოლებით (ჯატ. № 152, სურ. 58). ჰქვია სეპურს სასამისის მხოლოდ ერთი ნიმუში მოიპოვებულა (ჯატ. № 148, სურ. 58). მისი სიმაღლე 9 სმ-ა, პირის დიამეტრი — 8 სმ, ტანის უდიდესი დიამეტრი — 8 სმ, ძირის დიამეტრი — 3,5 სმ. დანარჩენი ნიმუშები მხოლოდ ტანის ქვედა ნაწილითა და ძირით არის წარმოდგენილი. ძირების დიამეტრი 2,8 სმ-დან 4 სმ-მდე მერყეობს. სასამისეები თხელკედლიანია (0,3—0,4 სმ).

განხილული ტიპის სასამისეები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებსა („ნაშალი თირის“, „მოყვითალო თიხნარი“ და სხვ. ფენები) და კომპლექსებში (რიტუალური მოედანი²⁹⁹, აგრეთვე ძვ. წ. V—IV საუკუნის პირველი ნახევრის ხის ტაძარ-სამლოცველოში და ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ დახურულ კომ-

²⁹¹ ამ ფენებშია და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8—9.

²⁹² ვანი I, გვ. 211—213, სურ. 183.

²⁹³ ვანი I, გვ. 212.

²⁹⁴ თ. შ ი ჯ ლ ა ე. ნიხანი... გვ. 62.

²⁹⁵ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 46—48, ტბ. VI, 7—10, 13.

²⁹⁶ თ. შ ი ჯ ლ ა ე. ნიხანი... გვ. 62—63, ტბ. IX, 1—3; 6—7, 10, 12, 16.

²⁹⁷ თ. შ ი ჯ ლ ა ე. არქეოლოგიური კვლევები... გვ. 56, ტბ. XXXI—XXXIV.

²⁹⁸ დასავლეთში აღმოჩენილ აგვარს სასამისეს ბ. ეფთხინი „ქვისებურს“ — сѣрашисѣрѣшисѣს უწოდებს (მდრ. ნ. ა. К у ф т и и. დასა. ნაშრ., გვ. 98). ამავე სახელწოდებას იძიოებს ა. კახიძე ფიჭვნარის არქეოლოგიის სასამისეების მონათხრობის (მდრ. ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 48).

²⁹⁹ ამ ფენებისა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

პლექსში „თეთრი შენობის“ შიგნით³⁰⁰. ვანის ნაქალაქარს გარდა ამ ტიპის სასმისები დიფიქსირებულია ბათუმისციხეზე³⁰¹, ქობულეთ-ფიჭვნარში³⁰², სიმაგრაზე³⁰³, დაბლაგომში³⁰⁴, შთისძირში³⁰⁵. ამგვარად. ვანის ნაქალაქარის სტრატეგრაფიული მონაცემებისა და პარალელური მასალების მოშველიებით ჭიქისებური სასმისების გავრცელება ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ვანში ამგვარი სასმისები ძვ. წ. IV—III საუკუნეების კულტურულ ფენებშიც არის ფიქსირებული³⁰⁶.

VIII, 2. მეორე ტიპში გავრთიანებულია ე. წ. კონუსურტრანანი³⁰⁷ სასმისი (ჯატ. №№ 153 — 158, სურ. 59, 62). ვანის ნაქალაქარზე არ არის ფიქსირებული ამ ტიპის სასმისის მთელი ნიმუში და პირისა და ტანის ზედა ნაწილის მოყვანილობა ჩვეულების უღრნობა. უკეთ დატული სასმისის მიხედვით ტანის ზედა ნაწილი ცილინდრული უნდა ყოფილიყო. ტანის ქვედა ნაწილი კი კონუსური მოყვანილობისა (სწორხაზოვანბროფილიანი, ქვემოთ გაფართოებული). ძირი ბრტყელია. სასმისის ტანი შემკულია დაბეზილი იარაღით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტით, ძირთან ირიბი ნაქლებების რიგია (ჯატ. № 153, სურ. 59, 62). ზოგიერთ ნიმუშზე ტანზე ტალღისებური ორნამენტის ქვეშ, ძირთან ირგვლივ ღარებია. გამოწყლისია ორი ნიმუში, რომლებსაც სადა ზედაპირი აქვთ (ჯატ. № 157, სურ. 59). სასმისების ეკრუბი ან ყავისფერი. ძირის დიამეტრი 8 სმ-დან 11 სმ-მდეა.

ვანის ნაქალაქარზე კონუსურტრანიან სასმისების ფრაგმენტები აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში

³⁰⁰ ამ კომპლექსის შესახებ. იხ. აქვე. გვ. 8—9, 11.
³⁰¹ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 48.
³⁰² ა. კ ა ხ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 48.
³⁰³ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიებანი..., გვ. 63, ტაბ. IX.
³⁰⁴ მ. ბ. ა. კ უ ფ ტ ი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 98, ტაბ. 31
³⁰⁵ 131, სურ. 22; 24; 27, 22; 30; 31.
³⁰⁶ ა. კ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 67, სურ. 44.
³⁰⁷ ამ ფენის შესახებ იხ. ПАН в 1975 г., გვ. 67.
³⁰⁸ ამ ტიპის სასმისებს ჩვეულებრივ კონუსურტრანიანებს უწოდებენ (ძირ. ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 10; ით. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და საქართველოს..., გვ. 116). რამდენადაც კონუსისებური ტანის ქვედა ნაწილი, ეპოპონინებთ ტერმინს „კონუსურტრანიანი“.

და კომპლექსებში, როგორცაა „ნაშალი თირის“, „მოყვითალო თიხნარი“ და სხვა ფენები, რიტუალური მემოდანი³⁰⁸. აღსანიშნავია, რომ ერთი კონუსურტრანიანი სასმისის ფრაგმენტი დიფიქსირებულია ძვ. წ. IV—III საუკუნეების მასალების თანხლებით³⁰⁹. ეს ფრაგმენტი ხასიათდება ახალი მორფოლოგიური ნიშნებით — ძირს კიდე სწორხაზოვნად აქვს ჩამოკრებილი, ტანის შემორჩენილი ნაწილი შემკულია ტეხილი ღარით³¹⁰.

კონუსურტანიან სასმისებს პარალელები მოეძებნებათ ფიჭვნარში³¹¹, კობში³¹², სიმაგრასა და კალადიდეში³¹³, ოჩამჩირაში³¹⁴, დაბლაგომში³¹⁵, სავერიოსს დასავუძეებზე³¹⁶, საირხეში (ადგილი სასოველი)³¹⁷.

სასმისების ეს ტიპი უკვე ჩამოყალიბებული სახით (ტანის ქვედა ნაწილის კონუსური მოყვანილობა. ტალღისებური ორნამენტი) წარმოდგენილია ფიჭვნარის დიუნურ მრავალფენიან სამოსახლოზე³¹⁸, რომლის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარად. როგორც უკვე აღინიშნა, ალ. რამიძის ფიჭვნარში³¹⁹. VII საუკუნის დასასრულს მიიჩნევენ, მაგრამ არ გამოირცხავენ ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისსაც³²⁰. ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი კი ძვ. წ. VIII საუკუნითაა განსაზღვრული. საფიქრებელია, რომ სასმისების ეს ტიპი ჩნდება და ვრცელდება ყურმილიან დოქებთან. პირველი ტიპის ქოთნებსა და ჯამებთან ერთად. რომელნიც ფიჭვნარის დიუნურ სამოსახლოზე პირველად უნდა იქნა ფიქსირებული და, ისევე როგორც ურეკისა³²⁰

³⁰⁸ ამ ფენებისა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე. გვ. 7—8.
³⁰⁹ ნაგეშო 119, ავერთელი ფენა.
³¹⁰ სავ. № 07:1 — 72/455.
³¹¹ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 46—47, ტაბ. VI, 8—10.
³¹² ა. კ ა ხ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 47; ტაბ. VI, 7.
³¹³ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიებანი..., გვ. 62, ტაბ. IX, 1—3; მსოფ. არქეოლოგიური ცენტრ-ბუბა..., ტაბ. XXVII, 66, 106; XLI, X, გვ. 63—21.
³¹⁴ Д. Д. К а в ч а р а в а и, Горы Гнеисс..., გვ. 17; Ю. Н. В о р о н о в. Гнеисс, სურ. 5, 2, 3.
³¹⁵ Б. А. К у ф т и и. დასახ. ნაშრ., სურ. 22, 23.
³¹⁶ გ. გ რ ი ლ ი დ ი. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე. ბ ბ ა რ ა მ ი ძ ე. გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 35.
³¹⁷ ჯ. ნ ა ღ ი რ ა ძ ე. ყვირლოს ხეობის..., გვ. 118—119.
³¹⁸ ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ფიჭვნარის ზღვისპირა..., გვ. 147, სურ. 74, 3.
³¹⁹ ფიჭვნარის დიუნური სამოსახლოს ზედა ქრონოლოგიური საზღვრის შესახებ იხ. აქვე. უნ. 267.
³²⁰ ПАН в 1977 г.,

და ნიკეზიანის²²¹ სამართლებზე. უფრო ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

VIII, 3. ცილინდრულტანიანი სასმისები (კატ. №№ 159—165, სურ. 60, 62) — პირი მთლიანად არც ერთ ნიმუშზე არ არის შეტანილი, უკეთ დაკული სასმისის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პირი ვარეთ იყო გადახრილი (კატ. № 159, სურ. 60, 62); ტანი მალეა (15—16 სმ), ცილინდრული მოყვანილობის. ძირი ბრტყელია და გამოზიდული (საღვარისებურია), ზოგჯერ სწორ-ხაზოვნად აქვს კიდე ჩამოპირი. ტანის ზედა ნაწილზე დამაგრებულია ოვალურგანოვცეთიანი, თანაბრად მორკალული ყური. ტანი შემულია სხვადასხვა ორნამენტული სახეებით — ტალღისებური ორნამენტები (კატ. № 159, 160, 162, 165, სურ. 60, 62), რიბი ნაკვეთები (კატ. №№ 161—163, სურ. 60, 62). ჩაქდული წერტილები (კატ. № 164, სურ. 60, 62). კეცი რუხია ან ყავისფერი. ზედაპირი ჩვეულებრივ გლუვია, ერთ სასმისზე კი — დაღარულია (კატ. № 160, სურ. 60, 62). ძირის დიამეტრი 7 სმ-დან 10 სმ-მდეა, ტანის დიამეტრი — 4,5 სმ-დან 6 სმ-მდე.

ვანის ნაქალაქარზე ცილინდრულტანიანი სასმისები დაფიქსირებულია იმ კულტურულ ფენებში, რომლებიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით არის ზოგადად დათარიღებული („მოყვითალო თიხნარი“, „ნაშალი თირი“ და სხვ.)²²². მათ ფართო ანალოგიები ეძებნებათ შიოსძირის²²³, დაბლაგომისა²²⁴ და დაფნარის²²⁵ ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ფენებში მოპოვებულ მასალებს შორის. გვხვდება ისინი სომავრის ნაოსისაბრეტც²²⁶. სასმისების ეს ტიპი კოლხეთში ელინისტურ ხანაშიც განაგრძობს არსებობას²²⁷.

ვანის ნაქალაქარზე ცილინდრულტანიანი სასმისები აღმოჩენილია ძვ. წ. IV—II საუკუნეების

²²¹ Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, Колхский могильник, 35—37, სურ. 2.

²²² ამ ფენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

²²³ ა. ვაშაყელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67, სურ. 44 ე.

²²⁴ თ. თოლორაძე, არქეოლოგიური გათხრების დაბლაგომში 1970—1971 წლებში, სურ. 88.

²²⁵ Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრ., ტბ. XLVI.

²²⁶ თ. შიქელაძე, ძეგლები..., ტბ. IX, 11.

²²⁷ ა. ვაშაყელიძე, უკრაინის..., გვ. 22, ტბ. III, 12, 15, 17.

კულტურულ ფენაში²²⁸. ამ გვიანდელ ნიმუშებზე თავს იჩენს ახალი ნიშნები როგორც მოყვანილობაში, ასევე ორნამენტში (ტანის გაფართოება ძირთან, დაშორებულ ზედაპირზე წნეხით გამოყვანილი პრილა ზოლების დატანა და სხვ.)

VIII, 4. ფეხიანი სასმისები, ასე ვაგრტყლებული რომაა ადრეანტიკური ხანის კოლხეთში (კოხტულეთ-ფიკენარი²²⁹, სიმავრე²³⁰, გურბანთა²³¹, მუსურჩა²³², შიოსძირი²³³, დაბლაგომი²³⁴, მალაკი²³⁵), ვანის ნაქალაქარის მასალებში შედარებით მცირერიცხოვან წაჭუფს ქმნის (კატ. №№ 166—169, სურ. 61—62). ხელთა გვაქვს ორი ნაკლები სასმისი. ერთი მათგანი (VIII, 4A — კატ. № 166, სურ. 61—62) მცირე ზომისაა (შემორჩენილი სიმაღლე 7,5 სმ-ა, ტანის უდიდესი დიამეტრი — 4,8 სმ, ფეხის სიგრძე 1,5 სმ, ფეხის დიამეტრი — 1,6 სმ). ის პირნაკლებია. ტანი გამოებრილპროფილიანი და ქვემოთ მკვეთრად დაიწროებულია, თანდათანობით გადაღის ცილინდრულ ფეხში. ფეხის ძირი შეზნევილია. შუბტანზე დამაგრებულია ნახევაროვალურგანოვცეთიანი ყური. სასმისის ტანი (ყურის დონეზე) შემკულია ირგვლივ ღარებით. ზედაპირი ვაკრიანებულია. განხილული ტანისი აღმოჩენილია ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე „ნაკრისფერ თიხნარ“ ფენაში²³⁶. მისი უშუალო ანალოგია კოლხეთის სხვა ძეგლებზე ჩერჯერობით ვერ მოიძებნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეხიანი სასმისები კოლხეთში უფრო ადრეულ ძეგლებზედაც გვხვდება²³⁷.

²²⁸ ამ ფენის შესახებ იხ. ПАИ в 1976 г.

²²⁹ ა. ვაშაყელიძე, საქართველოს ზღვისპირეთის..., გვ. 48.

²³⁰ თ. შიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება, გვ. 56, ტბ. XXXI, ფ—63—17, ფ—68—605, ფ—62—612, ფ—62—604, ფ—62—608, OS S 38—74—153.

²³¹ ნ. ვაშაყელიძე, გურბანთა..., გვ. 17, ტბ. III, 21.

²³² Э. М. Гоголдзе, Л. Н. Панцхавა, М. В. Дарсепанашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

²³³ ა. ვაშაყელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67, სურ. 44.

²³⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 98, ტბ. 31; ე. თოლორაძე, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში, სურ. 79, 80, 88.

²³⁵ ინახება ქუთაისის აკად. ბ. მერტენსვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

²³⁶ ამ ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 10.

²³⁷ ყერძო, ფეხიანი სასმისები აღმოჩენილია ძვ. წ. VII—VI სს. მიწით დათარიღებულ ნიგეზიანის სამართავან-

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მეორე ფენიანი სასმისი (VIII, 4B — კატ. № 167, სურ. 61—62) ნაკლულია. არ არის შემორჩენილი პირი, ტანისა და ფეხის ნაწილები. სავარაუდებელია, პარალელურ მასალაზე დაყრდნობით, რომ ტანის ზედა ნაწილი თასისებური მოყვანილობისაა, გამობერილობრივლიანი, ქვემოთ დაეწროებულა; ქვედა კი — ცილინდრულია, ფეხთან ვიწროვდება. ტანის ზედა და ქვედა ნაწილები ერთმანეთს კუთხით უერთდებიან. შემორჩენილია ცილინდრული ფეხის მცირე ნაწილი. ტანის ქვედა ნაწილი დაღარულხედაპირიანია. მასზე დამაგრებულია მრგვალგანივიკეთიანი, ზემოთ მორაკალული ყური. სასმისის შემორჩენილი სიმაღლე 9,3 სმ-ა, ტანის ცილინდრული ნაწილის დიამეტრი — 6,5 სმ, ფეხისა — 2,5 სმ. ეს სასმისი ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა „მოშპირო-რუხ“ ფენაში, რომელიც ზოგადად ძვ. წ. VI—V საუკუნეებით თარიღდება³²⁸. ასეთი შედგენილტანიანი (VIII, 4B ტიპი) სასმისები დადასტურებულია დაბლაგომში ქვევრისაპარხებთან დაკავშირებულ კომპლექსებში³²⁹. განხილული ტიპის სასმისები ტიპოლოგიურად უკავშირდებიან ვანის № 10 სამარხში (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული) აღმოჩენილ შედგენილტანიან სასმისს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო დიდი ზომისაა და უფრო მდიდრულადაა ორნამენტირებული³³⁰. ამრიგად, არსებული მასალების მიხედვით შედგენილტანიანი სასმისები გაბატონებული ჩანს ძვ. წ. IV—III საუკუნეებში, თუმცა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნიმუში დადასტურებს მის არსებობას უკვე ადრეატიკურ ხანაში (უფრო მის მიწურულში).

სასმისების ამავე მომთხვე, ტრას უნდა მიეკუთვნოთ სასმისების ფეხების ფრაგმენტები, რომლებიც ვანის ნაქალაქარზე ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. №№ 168—169, სურ. 61). ერთ

ზე(მდრ. Т. К. Микеладзе. М. В. Барамидзе, Колхский... გვ. 37, სურ. 2_ა) და წითელი შეჭერას № 90 სასმისები, რომლებს ტრანსპორტი უარღობს. წ. IX—VI სს. (მდრ. М. М. Трапун, Труды, т. II, გვ. 141, ტაბ. XVIII, 1) ამგაოდ დაუსტებულია კ. კარაკვლის მორე, რომელიც ამ სამარხს ძვ. წ. VIII—VII სს. აკუთვნებს.

³²⁸ ვანი IV, კატ. № 633, სურ. 124, 129. ამ ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

³²⁹ ვ. თ. ო. ო. რ. დ. ა. ე. არქეოლოგიური გათხრები დაბალტანიანი 1970—1971 წლებში, გვ. 63, სურ. 88; Б. А. Куфтин. Д. ა. ბ. ნ. რ. ს. ს. რ. 22_ა, ტაბ. 33_ა.

³³⁰ ვანი I, გვ. 213, სურ. 181.

მათვანს სწორხაზოვანი პროფილი და ბრტყელი გამოზიდილი ძირი აქვს (კატ. № 168, სურ. 61), მეორე შეზნეკილობრივლიანია, ბრტყელი ძირის კიდე სწორხაზოვანად აქვს ჩამოჭრილი (კატ. № 169, სურ. 61). ორივე ნიმუში აღმოჩენის პირობების მიხედვით ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდება.

VIII, 5. ბოლო ტიპში გაერთიანებულია დიდი ზომის სასმისები — კათხები, რომლებიც ვანის ნაქალაქარზე მხოლოდ სამი ფრაგმენტული ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. №№ 170—172, სურ. 61, 63). ძირი არც ერთ მათგანზე არ არის შერჩენილი. ხელთა გვაქვს მხოლოდ ტანის ნაწილები, ერთ შემთხვევაში — პირიც (სწორი). მასალის ფრაგმენტულობის უამო ისაზღვრება მხოლოდ ტანის პროფილი, რომელიც ან სწორხაზოვანია (VIII, 5A — იხ. კატ. № 170), ან რთული — ზედა ნაწილში შეზნეკილია, ქვედა ნაწილი — გამობერილი (VIII, 5B — კატ. № 172). ორ ნიმუშში ტანი დაღარული აქვს. სამივე სასმისზე შერჩენილია ყური, რომლის ზედა ბოლოზე სტილიზებული ზომორთული გამოსახულებაა დაპერწკლი: ჩქისებური შევირლები (კატ. № 171), ხარის (?) თავი (კატ. № 170, 172). აღმოჩენის პირობების მიხედვით განხილული სასმისები ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდება.

მსგავსი სასმისები, რომელთაც ყურები სტილიზებული ზომორთული გამოსახულებებით აქვთ შემტული, დადასტურებულია სიმავრის ნაწილსაზღვრის მეორე ფენაში და რიონის მარცხენა ტერასის ნასახლარზე³³¹, აგრეთვე დაბალკომის ნაწილსაზღვრზე³³². ისინი ვანის ნიმუშებს ემსგავსებიან ტანის პროფილითაც (განკუთხვევებით დგას № 172, რომლის რთულპროფილიან ტანს უშუალო ანალოგია ჭერჭერობით არ მოეძებნა).

ზომორთულგამოსახულებიანი ყურები არ არის სპეციფიკური ადრეატიკური ხანის კოლხური კერამიკული ჭურჭლისთვის. მათ წინარეანტიკური ხანის კულტურის მემკვიდრეობად მიიჩნევა³³³.

³³¹ თ. მ. ი. ე. ლ. ა. ძ. ე. არქეოლოგიური კვლევები... გვ. 56—57, ტაბ. XXXI, 05 S 38—74—153, XXXIII, 141, 246.

³³² Б. А. Куфтин. დასახ. ნაწი, ტაბ. 33_ა.

³³³ თ. მ. ი. ე. ლ. ა. ძ. ე. არქეოლოგიური კვლევები... გვ. 57. მდრ. აგრეთვე А. Т. Рамшвиц. П. Раскопки приморских... სურ. 7_ა.

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სასმისების ტიპებს შორის ყველაზე ადრეულად გვესახება ე. წ. კონსტანტინიანი (VIII, 2 ტიპი) და ყაიხისხეიანი (VIII, 5 ტიპი) სასმისები, რომელნიც გენეტიკურ კავშირს აქვნიან ადრეულ წინაბანტიკურ ხანაში ჩამოყალიბებულ ტიპებთან. ნიშანდობლივია, რომ ისინი არ არის დაფიქსირებული ძვ. წ. VI—IV საუკუნეების შემდგომი ხანის ძეგლებზე. ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღდა ე. წ. კიქისებური (VIII, 1 ტიპი), ცლნდრულტანიანი (VIII, 3 ტიპი) და ფეხიანი (VIII, 4 ტიპი) სასმისები; დოკუმენტურად დასაბუთებულია კიქისებური სასმისების არსებობა ძვ. წ. V—IV საუკუნის პირველ ნახევარში და კიქისებური და კონსტანტინიანი სასმისების თანაარსებობა (შდრ. „რიტუალური მოედნის“ კერამიკული კომპლექსის კრებითი ბოლოლოგიური ტაბულა — სურ. 4). სასმისების პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტიპები ვანის ნაქალაქარსა და კოლხეთის სხვა ძეგლებზე არსებობას განაჯანსობენ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში. ფეხიანი, შედგენილტანიანი სასმისები ტიპიური ჩანს. ძვ. წ. IV—III საუკუნეებისთვის, ისინი არა გვხვდება არც სიმაგრეებში და არც ჩოინის მარცხენა ტერასის ნაშთსაგარეშებზე, რის საფუძველზეც ეს ტიპი (VIII, 4) ადრეანტიკური ხანის გვიანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

IX. ჭამები (ჯატ №№ 173—178. სურ. 64)

ქვეყრებთან, ყურმილიან ღოქებსა და სასმისებთან ერთად ჭამები კოლხური კერამიკის წამყვანი ელემენტია. ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში დადასტურებული ჭამები იშვიათებენ კოლხეთში ფართოდ გავრცელებულ ტანს (იხევენარაზებულია 33 ნიმუში. რომელთაგან მხოლოდ ექვსია მთელი). სახელდობრ, მათთვის დამახასიათებელია სწორი ან შიგნით გადახრილი პირი, ქვემოთ დაეწროებული კალთა, რომელსაც სწორხაზოვანი ან გამოზეერილი პროფილი აქვს; ზრტყელი ძირი; ყავისფერი ან რუხი ყეცი (ყავისფერყეციან ნიმუშებს სწორად შუვი ზედაპირი აქვთ); ვაპირული ზედაპირი. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. V საუკუნის შესაწინებთ დათარიღებულ დახურულ კომპლექსში (№ 11 სამარხი) ერთად გვხვდება როგორც სწორპირიანი, ასევე შიგ-

ნით პირგადახრილი, სწორ-და გამოზეერილი ფილიანი ტანის მქონე ნიმუშები (ჯატ. №№ 173—178, სურ. 64). ჭამები სხვადასხვა ზომისაა³⁴⁴. მათ პირის დიამეტრი 10-დან 14 სმ-მდე მერყეობს, ძირის დიამეტრი — 6 სმ-დან 10 სმ-მდე. ხოლო სიმაღლე — 2,8 სმ-დან 6,5 სმ-მდე. ფრაგმენტული ნიმუშები აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში („ნაშალი თირისი“, „მოყვითალო თიხნარის“ და სხვ. კულტურული ფენები, თირში ნაკვეთი არხი). აგრეთვე ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსებში — № 11 სამარხსა და დასავლურ კომპლექსში „თეთრი შენონის“ შიგნით და ძვ. წ. V—IV საუკუნის პირველი ნახევრის სის ტაძარ-სამლოცველოში³⁴⁵.

განსივლილი ტიპის ჭამებს მრავალრიცხოვანი ანალოგიები მოეპოვება კოლხეთის ადრეანტიკური ხანის ნაშთსაგარეშებში და სამაროვნებზე (ქობულეთ-ფიქვენარის³⁴⁶, მათუბისციხე, გურჯაანის³⁴⁷, სიმაგრე³⁴⁸, ოჩამჩირა³⁴⁹, მოღინახე³⁵⁰, ქუშაიძისა და საბაღურის გორებში³⁵¹, ოთხბისი³⁵², ემთიანის³⁵³, დაფნარი³⁵⁴, დაბლაგომი³⁵⁵ და სხვ.³⁵⁶). დაფიქსირებულია ისინი ფიქვენარის დიუნური სამოსახ-

³⁴⁴ სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს სხვადასხვა დასახელების ჭამებს, რომელთაც ერთმანეთისგან ზომების მიხედვით განარჩევს: „ლოდაკი არს ჭამი ერთთაჲსა ცუცთაჲსად მისარტოლნი...“. „პიჩაჭი არს ჭამი ლოდაკისა უდღესის; ორთაჲსა ცუცთაჲსად“ — შდრ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. ტ. IV, გვ. 249.

³⁴⁵ ამ ფენების და კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—11.

³⁴⁶ ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთს..., გვ. 49, ტაბ. VI, 12, 14.

³⁴⁷ ნ. ვ ა შ ა ი ძ ე. გურჯაანის..., გვ. 22.

³⁴⁸ მ. შ ი ჯ ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 58, ტაბ. XXVI, ფ—61—172, ფ—61—169.

³⁴⁹ ი. დ. К а ч а р а ნ ი. Горняк Гнзос, გვ. 17.

³⁵⁰ გ. ნ დ ი რ ა ძ ე. ყვირილის..., გვ. 103, ტაბ. XXIX, 1, 2.

³⁵¹ გ. ნ დ ი რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 22, 30, ტაბ. XI, 2, 3.

³⁵² ი. გ ა ვ ა შ ი ძ ე. თხილისის სამარხი, გვ. 40.

³⁵³ იხანებია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში—იხე. № 1—64—152, 154, 207.

³⁵⁴ Н. Ш. К и г у р а д а с, Г. А. Л о р д а к и ნ ი. II д а с. დასახ. ნაშრ., გვ. 55.

³⁵⁵ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრ., გვ. 97, ტაბ. 32, სურ. 24, 15, 17, 20, 21.

³⁵⁶ გ. გოზეჩიშვილის ცნობით, ისინი აღმოჩენილია რაკშიც.

ლოს პირველ ფენაში³⁵⁷, რომლის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. VII საუკუნის მიწურული ან VI საუკუნის დასაწყისია³⁵⁸.

განხილული ტიპის ქაშები ვანის ნაქალაქარზე მრავლადაა ფიქსირებული ძვ. წ. IV—III საუკუნეების კულტურულ ფენებშიც. ამ დროს ტრადიციულ ბრტყელძირა ქაშებთან თანაარსებობენ ქუსლიანებიც, ასე დამახასიათებელი რომაა ელინისტური ხანისთვის³⁵⁹. უადრესი ნიმუში დაბალი, წრიულქუსლიანი ქაშისა დაფიქსირებულია ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებულ № 9 სამარხში³⁶⁰. ქუსლის გაჩენასთან ერთად ამ ქაშზე სხვა მორფოლოგიური ნიშნებიცა ჩანს — პირი დაბრტყელებულია, კალთას პირთან სამი ირგვლივი ღარი შემოუყვება.

ყურბანი ქაშები, რომლებიც ცნობილია სიმაგრის ნაშთსაღარიდან (ძვ. წ. VI საუკუნის შუახანები — ძვ. წ. V საუკუნის შუახანები)³⁶¹, ვანის ნაქალაქარის ადრენტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებზე ჩერჭერობით არ არის დაფიქსირებული. რამდენადაც ისინი აღმოჩენილია მხოლოდ ნარეუ, ადრენტიკური და ელინისტური ხანების მასალების შემცველ და ძვ. წ. III—I საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში³⁶², ამ ტიპის ქაშებს არ განეიხილებოდა ადრენტიკური ხანის კერამიკული კუბუკლის ფორმების გვერდით.

დეკორატიული ქურჭელი

X. ლარნაკები (ჯატ. №№ 179—181, სურ. 86—87)

ქურჭლის ამ სახეობაში გაერთიანებულია ლარნაკები, რომელთა სრული ფორმა ცნობილია № 11 სამარხში (ძვ. წ. V საუკუნის შუახანები)

³⁵⁷ A. T. P. И И И И И И И. დასახ. ნაშრ., გვ. 147, სურ. 3.

³⁵⁸ ფიქნარის დიენური ნაშთსაღარის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის შესახებ იხ. აქვე, შენ. 267.

³⁵⁹ 6. ვ ა კ ი ძ ე. ბერძნობის... გვ. 22; 6. მ ა თ ი ა შ ე ი ლ ი. ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანლავ, მსკა, V. თბ., 1973, გვ. 61, ტაბ. II, V.

³⁶⁰ ვანი I, გვ. 208, სურ. 178.

³⁶¹ თ. შ ი კ ე ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-მოძიება..., გვ. 58, ტაბ. X XIX, ფ—62—347.

³⁶² საკ. №№ 07:1—57/131, 07:1—58/250, 07:1—58/343, 543, 07:1—62/22, 177, 07:1—66/317, 07:1—66/519, 07:1—70/80, 07:1—75/60.

აღმოჩენილი ორი ნიმუშის მიხედვით³⁶³. მათ აქვთ გარეთ გადახრილი, რთულპროფილიანი. ორნამენტირებული პირი; ცილინდრული ყელი; ბიკონუსური ტანი; ბრტყელი ძირი. ტანი ორნამენტირებულია ირიბი ნაკვეთებისაგან შემდგარი სარტყლებით, ხოლო კერძ ერთ შემთხვევაში რომელიმე ბადა დატანილი (ჯატ. № 179), მეორეში ირიბი ნაკვეთები (ჯატ. № 180, სურ. 65). ორივე ლარნაკი ერთი სიმაღლისაა — 12 სმ. ერთს პირის დიამეტრი 13 სმ-ა, ტანის უდიდესი დიამეტრი — 18 სმ, ძირის დიამეტრი — 7 სმ. ყელის სიმაღლე — 2,3 სმ. მეორე ლარნაკის პირის დიამეტრი 11,5 სმ-ა, ტანის უდიდესი დიამეტრი — 16 სმ, ძირის დიამეტრი 6,5 სმ, ხოლო ყელის სიმაღლე — 3,5 სმ.

ამავე სახეობის კუბუკის — ლარნაკების — ყუთნილად შეიძლება მივიჩნიოთ მცირე ზომის კუბუკის პირ-ყელის ფრაგმენტები (ჯატ. № 181, სურ. 65), რომელთაც ლარნაკების მსგავსად აქვთ გარეთ გადახრილი, რთულპროფილიანი პირი. რომელიც ყოველთვის ორნამენტირებულია (ტალმეხური ორნამენტი, რომელზეც ახლად): ქვემოთ დაიწროებული ყელი, რომელსაც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით სწორბაზოეანი ან შეზენეილი პროფილი აქვს. ერთ ნიმუშზე (ჯატ. № 181) ყელიცაა შემეხური ტალმეხური ორნამენტით. ლარნაკების კეცი ყავისფერი ან რუხია.

ლარნაკების განხილული ნიმუშები აღმოჩენილია ნაქალაქარის ზედა ტერასზე ე. წ. ნაშლი თორის, მოზაუკო-რუხი ფერის³⁶⁴ და სხვა კულტურულ ფენებში, ამდენად მათ ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს ვაკუთვნებთ.

კოლხეთის ადრენტიკური ხანის ძეგლების მასალებში ლარნაკებს უშუალო ანალოგიები არ ეძებნებათ. ამდენად, ისინი, ყოველ შემთხვევაში ჩერჭერობით მაინც, ვანისთვის სპეციფიკურ ქურჭლად გვევლინება. დოკუმენტურად დასტურდება მათი არსებობა ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში. განხილული ნიმუშების განსაზღვრა დეკორატიულ ქურჭლად განპირობებულია ფორმის თავისებურებით, აგრეთვე ორნამენტაციის სიუხვით და ზედაპირის საველდაველო დამუშავებით.

³⁶³ ვანი I, გვ. 236, სურ. 217, 218.
³⁶⁴ ამ ფენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

XI. მათარები (ჯტ. №№ 182—183, სურ. 65)

ვანის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში მათარების მხოლოდ ტანის ორი ფრაგმენტია ფიქსირებული. ერთ მათგანზე (ჯტ. № 182, სურ. 65) შერჩენილია ცენტრალური ბურცობი, რომლის გარეშეში ორი წყვა ამოღარული; წრეებს შორის არე უშვებულა დაქბილული იარაღით გამოყენილი ტალისებური ორნამენტით, რომელზეც ზემოდან სხივისებურად გაშლილი ხაზებია დატანილი. მათარის ეს ფრაგმენტი აღმოჩნდა რიტუალურ მოედანზე, რომელიც როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდება³⁶⁵. მათარის მეორე ფრაგმენტზე მხოლოდ დაქბილული იარაღით გამოყენილი სხივებია შერჩენილი. რომლებიც გარედან შემოსაზღვრულია ამოღარული წრეებით (ჯტ. № 183, სურ. 65). ეს ფრაგმენტი ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენაშია აღმოჩენილი ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე („შავი ფერის კულტურული ფენა“)³⁶⁶.

განსაკუთრებით ნიშნებს აერთიანებს ორნამენტის ერთგვაროვანი ვანლაგება: ამოღარულ წრეში ჩასმულია ორნამენტი — სხივისებურად გაშლილი ღარები. რომლებსაც ერთ შემთხვევაში ტალეები ემატება. პარალელური მასლების მიხედვით აშკარაა, რომ ეს ფრაგმენტები მათარების ტანის ცენტრალურ ნაწილს ეკუთვნის.

როგორც ირკვევა, მათარები ატყთ ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადრეანტიკური ხანის კლხეთში (ისინი არა ჩანან ძვ. წ. VII—VI საუკუნეების მიჯნითა და ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ ძეგლებზე). მათი უარდესი ნიმუშები ფიქსირადიდანა ცნობილი და ძვ. წ. V საუკუნითა განსაზღვრულია³⁶⁷. სადღესიოდ კოლხეთში აღმოჩენილი მათარების უმრავლესობა ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან მომდინარეობს (ფიქვენა-

³⁶⁵ ჯ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8.
³⁶⁶ ჯ ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 10.
³⁶⁷ ნ. ვაშაქიძე, ა. ქახიძე, ფიქვენარის ელინისტური ხანის..., გვ. 48—49, ტბ. XV, 4.

რი³⁶⁸, ბუქისციხე³⁶⁹, მალაქი³⁷⁰, დაბლაგომი³⁷¹). ეს საფუძველს გვაძლევს, რომ მათი საყოველთაო გავრცელება კოლხეთში ამ ხანას დაუყოველბროთ. გვხვდება ორი ტიპის მათარები: ბრტყელ- და მომრგვალებულბორიანი. ეს უკანასკნელი უკვე ძვ. წ. V საუკუნეშია დაფიქსირებული ფიქვენარში. ჩვენი ნიმუშების ფრაგმენტულობის გამო მათი მიკუთვნება რომელიმე ტიპისადმი არ ხერხდება. მათარები, როგორც წესი, ორნამენტირებულია. მათ შემკულობაში წყვეანია შვის სიმბოლოკასთან დაკავშირებული სახეები (ბორქალაა)³⁷².

მათარები ძირითადად მგზავრობის ღროს სხვადასხვა სითხის ტრანსპორტირებისათვის უნდა ყოფილყო გამოყენებულა³⁷³. არ უნდა გამოირიცხოს მათი სუფერის კურკლად გამოყენებაც (ბრტყელბორიანების).

სხვადასხვა კურკელი (ჯტ. №№ 184—234, სურ. 66—74)

ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში მრავლად გვხვდება თხის სხვადასხვა კურკლის ნატეხები, რომელთა მიკუთვნება ამა თუ იმ კერამიკული ფორმისადმი ძნელდება ფრაგმენტულობის გამო. მათი ფორმის აღდგენა არც პარალელური მასალებით ხერხდება.

XII, 1. ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქვეფი ერთგვაროვანი პირის ფრაგმენ-

³⁶⁸ ნ. ვაშაქიძე, ა. ქახიძე, ფიქვენარის ელინისტური..., გვ. 48—50, ტბ. XI, 1; XV, 3; XX, 4.
³⁶⁹ ნ. ვაშაქიძე, სუფრის უბში შემთხვევით აღმოჩენილ ქვეფისაგან, სლსდ, III, თბ., 1973, გვ. 85, ტბ. IX, 2.
³⁷⁰ ით. ღროთქიფანიძე, ქველი კოლხეთის ელენარ, თბ., 1972, გვ. 41; ო. ლანაყა, მუთათის ძველი ისტორიისათვის, გვ. 22, შენ. 56; ო. ღ. სიორაკიანი, თბ. Дреплет Колхиды, ტბ., 1979, სურ. 76.
³⁷¹ ვ. თორღრდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში, გვ. 51, სურ. 73, 81.
³⁷² ნ. ვაშაქიძე, ა. ქახიძე, ფიქვენარის ელინისტური ხანის..., გვ. 50; ბორქალას სემნარკის შესახებ იხ. ა. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სემნარკი მოგებრითი საკითხისათვის, „საქობთა ხელოვნება“, თბ., 1966, № 12.
³⁷³ შარდ. ღ. ხახუტაძის ვილი. უფლისციხე, II, თბ., 1970, გვ. 46—47; ნ. ვაშაქიძე, ა. ქახიძე, ფიქვენარის ელინისტური ხანის..., გვ. 48—49.

ტებისა, რომელთაც თავისებური განიკვევით აქვთ. თუ რა ტიპის ქურქლის სუთნობა ასეთი გვირგვინები, ჩერჩვრობით არ დგინდება. ყელის გვირგვინთან შეერთების მიხედვით საფეკრებელია, რომ საქმე გააქვს პირფართო, პირგადამოილი ქურქლის ფრაგმენტებთან. ქვეყნის პირის გვირგვინებისაგან მათ განასხვავებს ის, რომ ამ გაურკვეველი ტიპის ქურქლებს ძლიერ გაფართოებული ყელი და გადაშლილი პირი აქვთ, ისე, რომ თითქმის ერთ სიბრტყეზეა ყელის ზედა ნაწილი და გვირგვინის ზედა გვერდი (კატ. №№ 184—189, სურ. 66). ამდენად, თავს ეკავებთ მათი ქვეყრებისთვის მიკუთვნებისაგან. ამ ქვეყნის გვირგვინები განიკვევით წარმოდგენილია და რამდენადმე უახლოვდება ისრისპირის ფორმას. ამიტომ ტერმინოლოგიის გამარტივების მიზნით ჩვენ მათ „ისრისპირისებურებს“ უწოდებთ.

„ისრისპირისებური“ გვირგვინებში გამოყოფთ სამ ვარიანტს:

XII, 1A. ამ ვარიანტის გვირგვინებისთვის დამახასიათებელია გამოხედილიპროფილიანი გარეთა გვერდი, რომელიც თანდათანობით უერთდება ყელს. ეს ნიშანი გვირგვინის მასიურობის შიდაპედილებას ქმნის და განასხვავებს სხვა „ისრისპირისებურები“ განიკვევითის გვირგვინებისაგან. ზედა გვერდის პროფილი სწორხაზოვანია ან უმნიშვნელოდ შეხეკილი და მისი ყელთან შეერთება აქცენტირებულია წიბოთი.

ასეთია რვა ნიმუში (კატ. №№ 184, სურ. 66). ისინი ყავისფერკეციანებია. ყველა ორნამენტირებულია: მათ ორივე გვერდზე დაკბილული იარაღით დატანილია რომელიმე ბადე. ამ ქვეყნის გვირგვინებს აერთიანებს კიდევ ერთი ნიშანი: ყოველ მათგანს ორივე გვერდზე დატანილი აქვს არათანაბარი ინტრევალით დამორებული, ღრმად ჩაქედული წერტილები. ყელის შიდა მხარე ყოველთვის გლუვია.

ვანში ამ ტიპის ქურქლის პირის გვირგვინების აღმოჩენის პირობების მიხედვით მათი თარიღი არ დგინდება. ისინი მოპოვებულია ნარევე კულტურულ ფენებში („ნაყრისფერი თიხნარი ფენა“ და „მკვირივი რუხი ფენა“ ზედა ტერასაზე³⁷⁴). მაგრამ გაურკვეველი ტიპის ქურქლის გვირგვინების A ვარიანტის (XII, 1A ტიპი) ტი-

პოლოგური სიახლოვე ამავე სახის გვირგვინების B ვარიანტთან (XII, 1B), რომლებიც ყარაღან-საზღვრული კომპლექსებიდანაა ცნობილი³⁷⁵, საცხებით დასაშვებ ხდის მათ მიკუთვნებას ადრეანტიკური ხანისთვის. ამას მოწმობს პარალელური მასალაც — ანალოგიური პირის გვირგვინები მოპოვებულია ქალადიდის საბაყოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარის ნაშთსახლარის კულტურულ ფენაში³⁷⁶; მსგავსი მოყვანილობის გვირგვინები ცნობილია დამლაგამის ზედა, ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენიდან³⁷⁷ და გურიათის კულტურული ფენიდან, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარსა და რვ. წ. V საუკუნის იმპორტულ თიხის ნაწარმს შეიცავს³⁷⁸. ასევე დაფიქსირებულია ის ქუთაისის შიდაპედილი (გაბაშვილის გორაკზე)³⁷⁹.

XII, 1B. B ვარიანტის „ისრისპირისებური“ გვირგვინებისთვის დამახასიათებელია გვერდების შეხეკილი (იშვითად სწორხაზოვანი) პროფილები და ის, რომ გადასლვა ყელის შიდა ზედაპირთან ზედა გვერდზე და იქიდან გარეთაზე ყოველთვის მახვილი კუთხით ხდება. არ არის არც ერთი ნიმუში, რომელსაც გვერდის მახასიათებლად „გამოხედილი“ აქვს. ეს ნიშანი განასხვავებს ამ ვარიანტის გვირგვინებს A ვარიანტისაგან. შიდა ზედაპირი გლუვია.

ასეთია 32 ფრაგმენტი (კატ. №№ 185—188, სურ. 66). ისინი ყავისფერ- და რუხეკეციანებია.

ვანის ნაქალაქარზე გაურკვეველი ტიპის ქურქლის B ვარიანტის გვირგვინები (XII, 1B) ფიქსირებულია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენასა („ნაშალი თიხის ფენა“ ზედა ტერასაზე) და დასუსრულ კომპლექსში (რიტუალური მოედანი³⁸⁰); ისინი მრავლად არის წარმოდგენილი ხის ტაქარ-სამლოცველოში, რომელიც, როგორც არაერთხელ აღი-

³⁷⁵ ამ გვირგვინებს შესახებ იხ. ქვემოთ. (შდრ. კატ. №№ 185—188, სურ. 89).

³⁷⁶ იხ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება... ტაბ. XLIX, ფ-63—91, ფ-63—98, გვ. 75—76.

³⁷⁷ B. A. К у р т и н. დასახ. ნაშრ., სურ. 24, ა.

³⁷⁸ იხ. ვ ა შ ა კ ი ძ ე. გურიათის... გვ. 16, 18—19, ტაბ. 11, 9.

³⁷⁹ იხანება ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის ხს. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. იხ. № ქ-64—126.

³⁸⁰ ამ ფენებშია და კომპლექსის შესახებ დაწერ. იხ. აქვე, გვ. 7—8.

³⁷⁴ იხ. კანი IV, კატ. № 2. ამ ფენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8.

ნენა უკვე. ქვ. წ. V საუკუნითა და ქვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება³⁸¹.

ამ ტიპის (XII, 1B) გვირგვინების ზუსტი ანალოგიები მოპოვებულია მოღინახეს ნამოსახლარის შესამდე და სახოველის პირველ კულტურულ ფენებში. რომლებიც ზოგადად ადრეანტიკურ³⁸² ხანას. ე. ი. ქვ. წ. VI—IV საუკუნეებს მოიცავენ³⁸³. და სამიგრის ნამოსახლარზე, რომლის თარიღი ქვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრითა და ქვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვრება³⁸⁴. ასევე ცნობილია ისინი ქუთაისის მილანობოდან (გაბაშვილის გორა, ნასაყვარების ბორცვი)³⁸⁵.

საყურადღებოა. რომ ისრისპირისებურ გვირგვინიან ქურჭლის ფრაგმენტები (XII, 1B) რელინოთ შეიკლვისპირეთშიცაა აღმოჩენილი. სახელდობრ. პანიტიკაეიონის ქვ. წ. VI—IV საუკუნეების კულტურულ ფენაში³⁸⁶.

XII, 1C. ისრისპირისებურ განივეკეთიან გვირგვინებში ცალკე გამოყოფა ის ფრაგმენტები, რომელთაც ზედა გვერდი არა აქვთ და შთი გარეთა გვერდი საღრისებურია. საღრე განიერია³⁸⁷, ბრტყელი და მისი ქვედა კიდე უეისიგან მკვეთრად არის გამოყოფილი³⁸⁸.

გვაქვს ამ ტიპის (XII, 1C) პირის ფრაგმენტებს ოქსანამი ნიშში. ისინი ყავისფერკეციაონია, აგრეთვე რუხკეციაონი. ზოგი მათგანი ნაპირალეობა. საღრე. უგამონაყისოდა, შემეულია დაკბილული იარაღით დატანილი რომლები ბადოთ. უმეტესობას პირის კიდეზე აქვს ჩაქდებული წერტილები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში „საღრეზე“ გვხვდება რომმელ ბადესთან ერთად (ატ. № 185, სურ. 66).

უნანს ნაქალაქარზე XII, 1C ტიპის „გვირგვინები“ ფიქსირებულია B ვარიანტის ნიშეუმბ-

თან ერთად (ქვ. წ. VI—IV საუკუნეების კულტურულ ფენებში, რიტუალურ მოედანზე და ხის ტაძარ-სამლოცველოში)³⁸⁹. რაც შეეხება ძველი კოლხეთის სხვა პუნქტებს. ისინი ცნობილია სიმაგრის ნამოსახლარიდან³⁸⁹, დაბლაგომის ე. წ. ზედა კულტურული ფენიდან³⁹⁰ და გურიანთას ნამოსახლარიდან³⁹¹, აგრეთვე ქუთაისის მიდამოებლან (გაბაშვილისა და ფარნაის გორები)³⁹². ასე რომ მათი გავრცელება ქვ. წ. VI—IV საუკუნეებში ექვს არ იწვევს.

როგორც ზემოვანხილული კლასიფიკაციიდან ჩანს. გურიკვეული ქურჭლის პირის გვირგვინების პირველი ტიპის ნიშეუმებს (XII, 1) ბვერი არსებითი ნიშანი აერთიანებს: ერთგვაროვანი პროფილი (მიუხედავად ცალკეული მახასიათებლების ცვლილებისა, რაც საფუძვლად უდევს ვარიანტების გამოყოფას) — ძლიერ ელანბრილი პირი და წაგრძელებული, თავისებური განივეკეთით, რომელიც მართლაც ისრისპირის მოგავგონებს³⁹³; საერთო პრინციპი ორნამენტაციისა, ზედაპირების მოსწორება.

ისრისპირისებური გვირგვინების სამივე ვარიანტი (XII, 1 A, B და C) წარმოდგენილია რიტუალურ მოედანზე, ხოლო B და C ვარიანტები დამოწმებულია ხის ტაძარ-სამლოცველოში (იხ. ამ კომპლექსების თიხის ქურჭლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულეები სურ. 4—5-ზე)³⁹⁴. ასე რომ ამ ტიპის გვირგვინების A, B და C ვარიანტები თანარსებობენ ქვ. წ. V საუკუნესა და IV საუკუნის პირველ ნახევარში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ისრისპირისებურ პირის გვირგვინებს მიაკეთებენ ღრმა ლან-

³⁸¹ ამ კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—9.

³⁸² თ. შიქელაძე. ძეგლი... ტაბ. XI, 10, 11; მისივე, არქეოლოგიური კვლევაძეგლები... ტაბ. XXVI, 5—61—62.

³⁸³ ბ. A. К у ф т и н. დასახ. ნაშრ., სურ. 25, 5; ტაბ. 34, 7, 8.

³⁸⁴ ნ. ე. ვაშაქიძე. გურიანთას... ტაბ. III, 1.

³⁸⁵ ინახება ქუთაისის აკად. ნ. ბერიენიშვილის სახ. ისტორიკო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. №№ 1—64—210, 221, 266.

³⁸⁶ ანხილული ტიპის გვირგვინების შესახებ პირველად წ. ნადირაძე უნჩინა, რომ მათ ქრისტოში „შუაზე გაკეთილი“ ისრის წვერის ფორმის გვირგვინი აქვთ“ (წ. ნადირაძე. ავტორის ხეობის... ტაბ. 21).

³⁸⁷ ამ კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 8—9.

³⁸¹ ამ კომპლექსების შესახებ იხ. აქვე, გვ. 8—9.

³⁸² ქ. ნადირაძე. ვეირლის ხეობის... გვ. 21, ტაბ. VIII, 1—7; ტაბ. XXXV, 8—9.

³⁸³ თ. შიქელაძე. ძეგლი... ტაბ. XI, 21, 16.

³⁸⁴ ინახება ქუთაისის ნ. ბერიენიშვილის სახ. ისტორიკო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. № 1—63—160.

³⁸⁵ ბ. A. Б а в а т с к и я. Отчет о раскопках Пантикапея в 1945—1949, 1952 и 1953 гг, МИА, 103, М., 1962, გვ. 12, 15, სურ. 5, 6.

³⁸⁶ სურ. 21, სურ. 3—3, 5სს—2.

³⁸⁷ აქედნად მათი „გვირგვინი“ განსაზღვრა პირობითი.

გრებსა და ჭამებს³⁹⁵, ზოგჯერ — დერგებს³⁹⁶. შემდგომმა კვლევამ შეიძლება ნათელი მოფინოს ამ ტიპის გვირგვინების ატრიბუციის საკითხს. ჩვენ ჭარბობით, მთელი ნიმუშის უქონლობის პირობებში, თავს ეიკავებთ მათი განსაზღვრისა-გან³⁹⁷.

ასეა თუ ისე, ამ ტიპის ჭურჭელი აღრეანტიკური ხანის კოლხური ერაზმის ერთ-ერთი განსაზღვრულ ელემენტად გვევლინება და მის განსაკუთრებულ პოპულარობად (ქვევრების კვალდაკვალ) უნდა მიუთითებდეს მათი საკმაო მრავალრიცხოვნება კოლხეთის ძეგლებზე და ჩრდილოეთ შვეიზიისპირეთში ექსპორტირების ფაქტიც.

XII, 2. გაურკვეველი ტიპის ჭურჭლის მეორე ჯგუფში შედის პირ-კედლის ათი ფრაგმენტი (კატ. №№ 190—195, სურ. 67—68), რომელიც პირფართო, ღია ტიპის, ბადიისებური ჭურჭლის კუთვნილი უნდა იყოს. ვინაიდან ამ ეტაპზე ჩვენთვის მთლიანი ფორმის წარმოდგენა არ ხერხდება, მათ გაურკვეველი ტიპის ჭურჭელთან ერთად განვიხილავთ.

XII, 2A. ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფში შეადგენს ბადიის ტიპის ჭურჭლის პირ-კედლის სამი ფრაგმენტი (კატ. №№ 190, 191, სურ. 67—68), რომელთაც აქვთ გარეთ გადაშლილი, შესქელებული პირი, რომელიც ჭურჭლის შიდა ზედაპირისაგან ღარიბად გამოყოფილი და შეწყულია ერთ შემთხვევაში (კატ. № 190) დაკბილული იარაღით გამოყვანილი ჭარბდინი ხახვებით, მეორეში — წიწვებისფერი ორნამენტით (კატ. № 191), რომელზეც ჩაჭდული წერტილებია დატანილი. ისინი რუხ- და ყავისფერკეციანებია, შიდა ზედაპირი გაპირალბული აქვთ.

ვანის ნაქალაქარზე ამ ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები მომდინარეობს ზოგადად ძვ. წ. VI—IV

საუქუნეებით დათარიღებული კულტურული ფენებიდან („მოწითალო ნანაშალი“ და „ნაშალი თირის“ ფენები ზედა ტერასაზე, „ნატრისფერი ბათქაშებანი“ ფენა ცენტრალურ ტერასაზე)³⁹⁸. XII, 2B. ერთი ნატეხითაა წარმოდგენილი ბადიის ტიპის ჭურჭლის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც ხასიათდება გარეთ გადაშლილი, სწორხაზოვანპროფილიანი პირით, ძირისკენ დავიწროვებულ კალთით და დარარული ზედაპირით. მას პირი შეწყული აქვს დაკბილული იარაღით გამოყვანილი რომელიც ბადით, რომელზედაც წერტილებია ჩაჭდული (კატ. № 192, სურ. 68).

ეს ფრაგმენტი ნაშონია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუქუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში („ნაშალი თირის ფენა“ ზედა ტერასაზე)³⁹⁹.

XII, 2C. ბადიის ტიპის ჭურჭლის კუთვნილი უნდა იყოს ორი ფრაგმენტი, რომელთაც აქვთ ოთხკუთხეაგანიკვეთიანი პირის გვირგვინი, რომელიც ყელისგან ღარიბად გამოყოფილი (კატ. № 193, სურ. 67—68). ორივე მოწითალო-ყავისფერკეციანია. ერთის ზედა გვერდი შეწყულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი რომელიც ბადით, ხოლო მეორის გარეთა გვერდზე წიწვისებური ორნამენტია, რომელზეც ჩაჭდული წერტილებია დატანილი.

ორივე ფრაგმენტი აღმოჩენილია ძვ. წ. VI—IV საუქუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში, B ვარიანტის ნიმუშებთან ერთად (ესაა „ნაშალი თირის“ ფენა ზედა ტერასაზე)⁴⁰⁰.

XII, 2D. ზედა ტერასაზე, „ნაშალი თირის“ ფენაშივეა აღმოჩენილი ერთი ფრაგმენტი ჭურჭლის პირ-კედლის, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ზემოაღწერილი ბადიის ტიპის ჭურჭლები-საგან — მას არ აქვს გადაშლილი პირი, კალთაც შედარებით უმნიშვნელოაა ძირისკენ (ე. ი. ქვემოთ) დავიწროვებული, ასე რომ ამ ტიპის ჭურჭლის განსაზღვრა მეტად პირობითია (კატ. № 194, სურ. 68). მისი პირი ისეა შესქელებული, რომ თითქმის გვირგვინის ქმნის: ზედა გვერდი სწორხაზოვანპროფილიანია, გარეთა — გამოხედილი. ზედა გვერდზე დაკბილული იარაღით რომელიც ბა-

³⁹⁵ Б. А. Куптун. «Сл. в. в.», г. 95—96; т. 1, с. 103—104. «Сл. в. в.», г. 16, 18—22; მისივე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება... გვ. 58. თ. მიქალაძე «სტრატოგრაფიკული-განვიკვლიან გვირგვინებს აღწერაზე მისი ნების თემა უნდა შენიშნავს, რომ ისინი ქვევრების პირებს აღიარებენ როგორც მოყვანილობის, ასევე შეწყულიის მხრივ და უცდომია, როცა ქვევრის პირებს დიდი ლანჯრის პირებად მიიჩნევენ (მდრ. MIIA, 103, 1962, გვ. 12, სურ. 5 1—გვ. 154—155).

³⁹⁶ ი. ე. შაქიძე. გურიათის... გვ. 16.

³⁹⁷ კრებულში „ვანი IV“ აღისპირასებური გვირგვინები პირობით ქვევრებს მიეკუთვნეთ.

³⁹⁸ ამ ფენების შესახებ დაწერ. იხ. აქვე, გვ. 7—8, 10.

³⁹⁹ ამ ფენის შესახებ დაწერ. იხ. აქვე, გვ. 7—8. მდრ. ე-ნი IV, კატ. № 544, სურ. 119.

⁴⁰⁰ ამ ფენის შესახებ დაწერ. იხ. აქვე, გვ. 7—8.

და დატანილი, ხოლო გარეთა და ზედა გვერდებში ასევე შრდა ზედაპირი, პირთან შემკულია ჩაქდული წერტილების თითო რიგით. ასე რომ ორნამენტთა და მისი გამოყენების ხერხით ეს ფრაგმენტი უახლოვდება ზემოგანხილულ ნიმუშებს. თუმცა მისი მოყვანილობა ყვარყვარობით ანალოგიას ვერ პოულობს ვერც ვანის ნაქალაქარზე. ვერც კლხებით სხვა ძეგლებზე.

XII, 2. განსაკუთრებით ღვას ორი ფრაგმენტი, რომელთაც ჩავეცილი პირი აქვთ და ამ წიწწით გამოირჩევიან არა მხოლოდ ზადის ტიპის ჭურჭლის დანარჩენი ნიმუშებისგან. არამედ მთლიანად აღრუანტიური ხანის კერამიკული ნაწარმისაგან. ამ ვარიანტის ჭურჭელს აქვს სწორხაზოვანპროფილიანი, შიგნით ჩავეცილი პირი, რომელზეც დაკბილული იარაღით დატანილია რომბული ზადე (კატ. № 195, სურ. 67—68). მათი აღმოჩენის პირობების მიხედვით ისინი ზოგადად აღრუანტიურ ხანას განეკუთვნებიან. ამასვე მოწმობს მათი საერთო ტიპოლოგიური იერი (ყეცი, ზედაპირის დამუშავება, ორნამენტი და მისი გამოყენების ხერხი).

ამრიგად, ზემოგანხილული ტიპის ჭურჭელს, განსხვავებული მორფოლოგიური ნიმუშებისა მიუხედავად. აერთიანებს ვადაშლილი პირი (გამონაკლისია კატ. №№ 194 და 195), დაკბილული იარაღით დატანილი ორნამენტი (ძირითადად რომბული ზადე, ზოგჯერ წიწვისებური ორნამენტი). პირის ჩავეცილი წერტილებით შემკობის ტრადიცია და ზედაპირის დამუშავება (ირველი ლაზეზით დაფარვა, რაც ორნამენტის სახეს იღებს).

XII, 3. ჭურჭლის პირ-ყელის ერთი ფრაგმენტი (კატ. № 196, სურ. 67), ძვ. წ. V საუკუნის დასურული კომპლექსიდან (ყენრალურ ტერასაზე. თეთრი შენობის შიგნით)⁴⁰¹, არქელ იერს ატარებს: მას აქვს ვარტ გადახრილი, მომრავლებული პირი. რომელიც დაკბილული იარაღით გამოყვანილი წიწვისებური ორნამენტითაა შემკული. ყელის ჰრიფილი არ ისაზღვრება. მას ირველი ლაზეზი შემოუყვება. ეს ნიმუში მოგვაგონებს წინარეანტიურ ხანაში ფართოდ გავრცელებულ ლელკაისებურპირიან მოზრდილ სამყურწეო დანწნულეების ჭურჭელს⁴⁰², ხოლო მისი

უშუალო ანალოგია ცნობილია დაბლაგომიდან, ნსაყდრევის ბორცვის ზოგადად ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებით დათარიღებული ფენიდან⁴⁰³.

XII, 4. გაუტყვეველი ტიპის ჭურჭლის პირ-ყელის დანარჩენი ფრაგმენტებიდან ორი (კატ. №№ 197—198, სურ. 67) ეკუთვნის ერთი ტიპის ჭურჭელს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვარტ გადახრილი პირი, სწორხაზოვანპროფილიანი, კვემით დაიწროებული ყელი. № 197-ს ყელი შემკული აქვს ირველი, ხოლო № 198-ს—ტალისებური ლაზეზით. ეს ფრაგმენტები რუხყეციაინია. მათი პირის დიამეტრი 12—13 სმ-ა, ყელის სისქე — 0,4—0,5 სმ. ისინი აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებში.

XII, 5. პირ-ყელის ერთი ფრაგმენტი დეფორმირებულია და მისი პროფილის განსაზღვრა ძნელდება. მას სწორი პირი, სწორხაზოვანპროფილიანი ყელი უნდა ჰქონოდა, რომელზეც შემორჩენილია თვალრგანვიყვეთიანი, სამი ნაქდევით შემკული ყელის ზედა ბოლი (კატ. № 199). ეს ფრაგმენტიც ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებული კულტურული ფენიდან („ნაშალი თირის“ ფენა ზედა ტერასაზე)⁴⁰⁴ მომდინარეობს.

XII, 6. ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსში (ხის ბათუშებიანი ნაგებობა ნაქალაქარის ზედა ტერასაზე)⁴⁰⁵ არის აღმოჩენილი ჭურჭლის პირ-ყელის ნიმუში (სამი ფრაგმენტი), რომლის პირი ვარტთაა გადახრილი და მომრავლებულია, ხოლო ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, კვემით დაიწროებულია და შემკულია ირველი ლაზეზით (კატ. № 200, სურ. 69).

XII, 7. ამავე დახურული კომპლექსიდან ყურადღების იქცევა კიდევ ერთი ფრაგმენტი (კატ. № 201, სურ. 69). ის ეკუთვნის პირფართო ჭურჭელს, რომელსაც სწორი პირი, სწორხაზოვანპროფილიანი, კვემით დაიწროებული ტანი (?) აქვს. ფრაგმენტი შემკულია ლაზეზ შორის მოქცეული ნაქდევითის სარტულითა და ტალისებური ორნამენტით, რომელიც დაკბილული იარაღითაა გამოყვანილი.

⁴⁰¹ ვ. ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 11.

⁴⁰² ვ. თ. ო. რ. დ. ა. ვ. ა. რქელოგიური გათხრებით აღსკვეში 1973—1974 წლებში, სურ. 59.

⁴⁰³ იხ. ფენის შესახებ იხ. აქვე, გვ. 7—8. ზღ. ვანი IV, კატ. № 620, სურ. 124.

⁴⁰⁴ იხ. კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 9.

განხილულ პირ-ყელის ფრაგმენტებს ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ანალოგები არ მოეძებნა.

XII, 8. ვანის ნაქალაქარზე დიდი რაოდენობით იჩენს თავს სხვადასხვა კეცისა (ჩუხი, ყავისფერი) და სისქის (0,3—1,5 სმ-მდე) ჭურჭლის კედლების ფრაგმენტები, რომელთა მიკუთვნება რომელიმე კერამიკული ფორმისა თუ ტიპისადმი ვერ ხერხდება. მათი ერთი ნაწილი ორნამენტირებულია. ძირითადი ორნამენტული სახეებია: დაძვრული ყურები (კატ. № 202, სურ. 70), დაკბილული იარაღი თუ პრიალა ზოლებით გამოყვანილი წიწვისებური ორნამენტი (კატ. №№ 203—206, სურ. 70), ნაქდევებიანი ქედები (კატ. № 207, სურ. 70), ირგვლივი ტალღისებრი და რკალისებური ღარები (კატ. №№ 208—209, სურ. 69). ერთ ფრაგმენტზე გრავირებული გეომეტრიული სახეებია — სამკუთხედები, ოთხკუთხედები (კატ. № 210, სურ. 69). ეს უკანასკნელი აღმოჩენილია ხის ტაძარ-სამლოცველოში (ძვ. წ. V—IV ს. პირველი ნახევარი)⁴⁰⁶. №№ 204—205 კი აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენასა და კომპლექსში („შავი, ორგანული ნაშთების შემცველი კულტურული ფენა“, თირში ნაკვეთი კომპლექსი)⁴⁰⁷; დანარჩენი ფრაგმენტები დაფიქსირდა ძვ. წ. VI—V საუკუნით განსაზღვრულ „მომავო-რუხს“ ფენაში ზედა ტერასაზე⁴⁰⁸.

ნაქალაქარის მასალებში საკმაო მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა ყურები, რომელთა მიკუთვნება ჭურჭლის რომელიმე კონკრეტული ფორმისადმი ძნელდება.

XII, 9. ყურების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელია მოზრის ადგილის შემკობა ორი შევირილით, რომლებიც ცხოველთა დაქვევტილი ყურების იმიტაციას უნდა წარმოადგენდნენ. ყურები ოვალურგანვიკვეთიანია, ზემოთ მორკალული. მათ რუხი კეცი აქვთ (კატ. № 211, სურ. 71). ასეთი ყური ორია აღმოჩენილი ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ „ნაშალი თირისა“ (ზედა ტერასა) და „შავ“ ფენებში (ცენტრა-

ლური ტერასა)⁴⁰⁹. როგორც ჩანს, ყურების ამგვარად გაფორმება საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ადრეანტიკური ხანის კოლხეთში როგორც თიხის, ასევე ბრინჯაოს ჭურჭლეზე; თიხის ჭურჭლის ასეთი ყურები აღმოჩენილია სიმპაგრის ნამოსახლარის მეორე ფენაში⁴¹⁰, რომლის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. VI საუკუნეს არ სცილდება, და ქუთაისში გაბაშვილების გორის ძვ. წ. V საუკუნის ნამოსახლარზე⁴¹¹. ზემოგანხილული თიხის ჭურჭლის ყურების ანალოგიურია ვანში ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით დათარიღებულ საძარხში (№ 11) აღმოჩენილი ბრინჯაოს სიტლას ყურები⁴¹². აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის თიხის ჭურჭლის ყურები ვანის ნაქალაქარზე დაფიქსირებულია ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებულ კომპლექსში ნაქალაქარის ფარგლებში გარეთ (კარბივის მახლობლად, სტერალიური თიხნარით გადახურული ორში)⁴¹³. ამ კომპლექსის კრებოთი ტიპოლოგიური ტაბულა მოცემულია სურ. 78-ზე.

XII, 10. ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის მასალებში გამოირჩევა ყურების წვეფი (კატ. №№ 212—213, სურ. 71), რომელიც ემსგავსება წინარეანტიკური ხანისთვის სპეციფიკურ ჭურჭლის ყურებს, ზოომორფული ყურების სახელით რომაა შესული სპეციალურ ლიტერატურაში. ეს ყურები ოვალურგანვიკვეთიანია, ზემოთ მორკალული. მათთვის დამახასიათებელი ელემენტია მოზრის ადგილზე უნაგირისებური დანაძვრული სწორედ ეს ელემენტი აახლოვებს განხილულ ყურებს წინარე ეპოქის ნიმუშებთან, თუმცა მათგან განსხვავებით დანაძვრული შემკულია ყურის მოზრის ადგილი (და არა ზედა ბოლო, როგორც ეს „ზოომორფულ“ ყურებზეა), ხოლო ზოგჯერ ყურის ბოლოები (ყიდესთან) შემკულია ადრეანტიკური ხანის სხვადასხვა ჭურჭლის ყურების მსგავსად. ნაქდევებით (შდრ. ეიწრო- და ფარ-

⁴⁰⁶ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8, 10.

⁴¹⁰ თ. შიქელიძე ქ. ძეგანი..., გვ. 64, ტაბ. XI, 2; მისვე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება..., გვ. 57, ტაბ. XXIV, 05 S1—75—268, 05 S38—74—297, 05 S1—74—159.

⁴¹¹ ინახება ქუთაისის აკად. ბ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. № კომ—21/64—170.

⁴¹² ვანი I, გვ. 238.

⁴¹³ ამ კომპლექსის შესახებ იხ. ით. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველო..., გვ. 116, შენ. 36.

⁴⁰⁶ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 9. შდრ. ვანი IV, კატ. № 773, სურ. 158.

⁴⁰⁷ ამ ფენასა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8. შდრ. ვანი IV, კატ. № 900, სურ. 180; კატ. № 684.

⁴⁰⁸ ამ ფენის შესახებ იხ. აქვე გვ. 8. შდრ. ვანი IV, კატ. №№ 641—642, 644, 647, სურ. 127.

თოპირიანი დერგები — II, 2—3 ტიპი), კეცი რუხია ან ყავისფერი. ყურების სიგანე 3—4 სმ-ია. უნაგორისებურდანიძეარჩიანი ყურების გავრცელება ხანა, ვანის ნაქალაქარზე მათი აღმოჩენის პირობების მიხედვით (ხის ტაძარ-სამლოცველო, ბათქაშეშვიანი ნაგებობა და „ნაშალი თირის“ ფენა)⁴¹⁴. ძვ. წ. V საუკუნეთა და IV საუკუნის პირველი ნახევრით განზნაზღურება.

XII. 11. წინარეანტიკური ხანის ქურკლის ყურების რკმინესკენცირად ვეუსახება ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ის ნიმუშებიც, რომელთაც ზედა ბოლოზე დაბალი, ვიწრო ქველი აქვთ დატარჩილი (ჯატ. №№ 214—220. სურ. 71—72). ზემოთ განხილულთა შვგავსად ესენიცი ოვალურ-ანეკუვეითანებია და ზემოთ მორკალული, ოღონდ ეფერი ოხვილია და ფართო (სიგანე აღწევს ზედა ბოლოში 5,8 სმ-ს), ქედს, როგორც წესი, ბოლოები მომრგვალებული აქვს. ორ ნიმუშზე ბოლოები ლლაკეებითაა გაფორმებული (ჯატ. № 215, სურ. 72). გვხვდება როგორც სადა (ჯატ. № 214, 215, სურ. 72), ასევე სხვადასხვაგვარი ნაკლებეებით დფარული ქედები (ჯატ. №№ 216—219, სურ. 72). № 219-ზე ნაკლებები წიწვისებურ სახეს ქმნიან (სურ. 72). ყურების კეცი რუხია, თითო-ორლა ნიმუში ყავისფერკეციანია. განხილული ტიპის ყურები ვსგავსებიან პირველი ტიპის — ქილისებური — ქოთნების (III, 1 ტიპი) ყურებს. ამდენად არ გამოოკიებათ, რომ ყურების ერთი ნაწილი მაინც ამ ტიპის ქოთნების კუთვნილა. ეს ყურები აღმოჩენილა ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში („ნაშალი თირის“, „ნარკისფერი თიხნარი“ და სხვ.).

ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ძვ. წ. V საუკუნის დასურული კომპლექსში (ხის ბათქაშეშვიანი ნაგებობა)⁴¹⁵ აღმოჩენილი ერთი ნიმუში ზემოგანხილულთაგან განსხვავდება მალალი და განიერი ქედით. ყურის სიგანე 3 სმ-ია (ჯატ. № 220, სურ. 71).

ამრიგად, ყურების განხილული ტიპები (XII, 9—11) იმ რიგის მასალას მიეკუთვნება, რომელშიც ასახულია წინამორბედი ეპოქის გავლენა. კერძოდ, მათში ვხედავთ ზომორაფული მორტივების გამოძახილს, ესოდენ დამახასიათებელი რა-

მაა წინარეანტიკური ხანის კოლხური მატერიალური კულტურისათვის⁴¹⁶.

XII, 12. დანარჩენი ყურები სხვადასხვა ორნამენტული სახეებითაა შემკული. ისინიც, ზემოგანხილულთა შვგავსად, ოვალურგანეკუვეითანია და ზემოთ მორკალული. ორნამენტი — ჭვარდიანი ხაზები (ჯატ. № 221, სურ. 72), ნაკლებები (ჯატ. № 222, სურ. 73), ლლაკები (ჯატ. № 228—230, სურ. 74), ჩაქდული წერტილები (ჯატ. № 224, სურ. 72), ჩაქდული წრე და მის შვგნით წერტილი (ჯატ. № 231, სურ. 74), სამკაპას მავგარი ჩაქდული გამოსახულება (ჯატ. № 232, სურ. 73) — დატანილია ყურის ზედა ბოლოზე. ნაკლებები და წერტილები, ჩეულებრივ, პირიზონტალურ რიგად ან რიგებადაა განლაგებული; მხოლოდ № 227-ზე ნაკლებები ვერტიკალურადაა მიმართული ყურის შუა ხაზზე. ვხვდებმა ჩამოთვლილი ორნამენტული სახეების კომბინაციცი — ორი ნაკლები და მათ შორის დაქერჩილი ლლაკი. ყურის ერთი ფრაგმენტი მთლიანადაა დაფარული დაკბილული იარაღით გამოყვანილი წიწვისებურად განლაგებული ხაზებით, რომლებზეც უწესრიგადაა ჩაქდული წერტილები (ჯატ. № 234, სურ. 100). № 233-ზე ერთმანეთთან კუთხით მიმართული ორი ღარია დატანილი მოხრის ადგილზე (სურ. 97, 100). ყურების კეცი რუხია ან ყავისფერი. მათი სიგანე 2,2 სმ-დან 3,5 სმ-მდე მერყეობს. განხილული ყურები აღმოჩენილა ზოგადად ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ ფენებსა და კომპლექსებში („ნაშალი თირის“) ფენა, რიტუალური მუედანი და სხვ.)⁴¹⁷. ორი ნაკლები შემკული ყური კი აღმოჩენილა ხის ბათქაშეშვიანი ნაგებობაში ზედა ტერასაზე, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეს განეკუთვნება⁴¹⁸.

გარდა ჩვენს მიერ განხილული თიხის ქურკლისა. ვანის ნაქალაქარზე ადრეანტიკური ხანის ფენებსა და კომპლექსებში ზოგჯერ თავს იჩენს წინარეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტებიც (ე. წ. ზომორაფული ყურები, კანელურებითა და სოლისებური ორნამენტი შემკული სხვადასხვა ქურკლის ფრაგმენტები და სხვ.). ისინი სცილდებიან ჩვენი კვლევის სფეროს და სავანებო შესწავლას მოითხოვენ.

⁴¹⁴ თ. შიქელიძე, ძიებანი..., გვ. 64.

⁴¹⁷ ამ ფენისა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8.

⁴¹⁸ ამ კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 9.

XIII. კვირისტაეები (კატ. №№ 235—238, სურ. 75)

საოჯახო ზელოსნობასთან დაკავშირებული ნივთები — კვირისტაეები — ვანის ადრენტიკური ხანის კერამიკაში მხოლოდ ოთხი ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. №№ 235—238, სურ. 75). მათ წაყვეთილი კონუსის მსგავსი მოყვანილობა აქვთ. ორი კვირისტაეი სადაზღვედარია, ორი კი შევსებული სივრცითი ღარებით. ყველა კვირისტაეი ყავისფერკიანია. ერთი მათგანს მცირე ზომებით გამოირჩევა. მისი სიმაღლე 1,3 სმ-ა, ფუძის დიამეტრი — 2,4 სმ (კატ. № 38). დანარჩენი ნიმუშების ზომებში ილი სხვაობა არ შეიმჩნევა. მათი სიმაღლე მერყეობს 3,2 სმ-დან 3,5 სმ-მდე, ფუძის დიამეტრი — 4,8 სმ-დან 5,5 სმ-მდე.

განხილული ნიმუშები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ე. წ. „ნაშალი თი-რის“ ფენაში და რიტუალურ მოედანზე, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თარიღდებიან, აგრეთვე ძვ. წ. VI—V საუკუნეებით განსაზღვრულ „მომავო-რუხ“ კულტურულ ფენაში⁴¹⁹. აღსანიშნავია, რომ ასეთივე კვირისტაეები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებშიც. ანალოგიური მოყვანილობის კვირისტაეები კოლხეთში დადასტურებულია უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან⁴²⁰. ისინი მრავლად გვხვდება ადრენტიკური ხანის ნაშთსაბარებზე⁴²¹. ცნობილია კვირისტაეების სამარხებში ჩატანების შემთხვევებიც⁴²².

თიხის მიიჩა ქანდაკებები (კატ. №№ 239—245, სურ. 76)

XIV. ვანის ნაქალაქარზე ადრენტიკური ხანის მასალის შემცველ ფენებში აღმოჩენილია თიხისგან ნაძერწი ცხოველის მცირე ზომის ქანდაკებები, რომელთა ატრბუტია ძნელდება ამა თუ

იმ ცხოველისთვის დამახასიათებელი აშკარად გამოხატული ნიშნების უქონლობის გამო. გამოჩენილია ვერძის ქანდაკება, რომელსაც თავი და კისერი აქვს შერჩენილი (კატ. № 239, სურ. 76). ვერძის თავი წინ არის წაყვეთილი, კისერი წაგრძელებულია, ტრისისაკენ შეკეთრად ფართოვდება. მრგვალი დრუნჩი დაღარულია; თვალები დამერწყვილი ბუთოვლებითაა გადმოცემული. მორკალული რქები შუბლზე იწყება, წახნაგოვანია, ბოლოები წამტვრეული აქვს. რქების ორი წახნაგი ირიბი ღარებითაა დაფარული; რქებს შორის კვდაზე იწყება და კისერს ზემოდან მოყუდება. მოკლე ირიბი ხაზებით შედგენილი რომბული ბადის ზოლი. ყელს აჩნია ზედაპირის საგანგებო იარაღით (სტეკით) მოსწორების კვალი. გამოსახულება გაამრიალებულია. ამ ნივთის აღმოჩენის პირობების მიხედვით მისი თარიღის განსაზღვრა არ ხერხდება.

თიხისგან ნაძერწი ზომორფული ქანდაკებები კოლხეთის სხვა უმეტეტობაშიც არის ცნობილი, სახელოდობრ, დაბლაგომში ნაიცოვარის და ნასაყდრევის ბორცვების ნაშთსაბარათა ზედა ფენებიდან, რომლებიც წინაჩრეტიკურ ხანას განეკუთვნება (ძვ. წ. VIII—VI საუკუნეები)⁴²³, ნაოხემაში ამავე პერიოდის „ზედა კულტურული ფენიდან“⁴²⁴. ვანში მოპოვებული ვერძის გამოსახულება ჭერტირებით ერთადერთია. ამასთან, კისერზე დატანილი რომბული ბადის ზოლი მას აახლოვებს ნაოხემაუს ზედა ფენის სტენის გამოსახულებასთან, რომელსაც ფაფრის გადმოსაცემად ორნამენტის ანალოგიური სახე აქვს კისრის გასწვრივ⁴²⁵. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კოლხეთში თიხის სეულამტრულ გამოჩენასაზე ზედა დატანილია ისეთივე ანდაზი (რომბული ბადე ფაფრისა და ბერხემლის აღნიშვნულად, ირიბი ღარები რქებზე), რომელიც, როგორც ვნახეთ, ადრენტიკური ხანის კოლხური კერამიკის ერთ-ერთი გაერცელებული ორნამენტული მოტივია. საყურადღებოა, რომ რომბულად დატრბორული ვრავი-ბრებული ხაზებითაა აღნიშნული ლომის ფეფარი ვანის ოქროს დიადემაზე (ძვ. წ. V საუკუნის შუახანები, № 11 სამარხი), რომელიც ადგილობრივ

⁴¹⁹ ამ ფენებისა და კომპლექსის შესახებ იხ. აქვე, გვ. 8, 9.
⁴²⁰ თ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევები... გვ. 56.
⁴²¹ თ. შიქელაძე. ძიებანი..., ტაბ. X, 4; მსოფს, არქეოლოგიური კვლევები..., გვ. 56, ტაბ. X.
⁴²² ბ. ა. კუფტინი. ბერხემლის სამაროვანი, გვ. 63, 72, ტაბ. III, 18 !

⁴²³ ბ. ა. კუფტინი. დასახ. ნაშრ., გვ. 107—108, ტაბ. 39—39; ვანი III, გვ. 79, ტაბ. 62, 63.
⁴²⁴ ბ. ა. კუფტინი. დასახ. ნაშრ., გვ. 200, ტაბ. 58.
⁴²⁵ ბ. ა. კუფტინი. დასახ. ნაშრ., ტაბ. 51.

ნახელად არის აღიარებული⁴²⁶. სტილიზაციის ეს ხერხი — ცხოველის ფეფრის რომბული სახე-
ებით ვადმოცემა რომელიც ასურულ და მანა-
შილოურ ტრადიციად არის მიჩნეული⁴²⁷ — რო-
გორც ჩანს. ორგანული იყო კლხების ხელოვ-
ნებისთვისაც.

დანარჩენი სეულტურული გამოსახულებანი
ვანის ნაქალაქრიდან სქემატურობითა და დაუნა-
წერებლობით ხასიათდება (კატ. №№ 240—244,
სურ. 76). ერთი ქანდაკება (კატ. № 242, სურ. 76)
აშკარად ძალს გამოსახავს, მეორე (კატ. № 240,
სურ. 76) — ცხვარი შეიძლება იყოს და ძალ-
ღაც სხვანი — ტორსის ნაწილებითაა მხოლოდ
მოღწეული. ერთი სეულტურული გამოსახულება
(კატ. № 240, სურ. 76) კონრდან ტორსზე გარდა-
მავალი ხაზით ძლიერ მოგვაგონებს ნაოხვამუს
ბორცვის ზედა ფენის ცხვრის ქანდაკებას⁴²⁸. ეს
სეულტურები ვანის ადრეანტიკური ხანის კულ-
ტურული ფენებიდან მომდინარეობს. ამასთან სა-
მი ფიგურა (კატ. №№ 242—244) აღმოჩენილია
ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ დახურულ
კომპლექსებში (ორი — კატ. №№ 243—244 —
ცენტრალურ ტერასაზე თეთრი შენობის შიგ-
ნით;⁴²⁹ ხოლო მესამე კატ. № 242 — ხის მათემა-
შებიან ნაგებობაში ზედა ტერასაზე)⁴³⁰. ასე რომ
დასტურდება მათი არსებობა ვანის ნაქალაქარზე
ძვ. წ. V საუკუნეში.

მცირე სეულტურულ გამოსახულებებს უფო-
ოდ განსაკუთრებული სეულტო-სარიტუალო მნი-
შენლობა ენიჭებოდათ. ვანის მასალების მიხედ-
ვით ჩვენ ჭრჭყრობით არ ვფლობთ საემპირის
ნივთიერ და სხვა სახის მონაცემებს ამაღვარი
გამოსახულების საყალბო არხის ამოსაცნო-
ბად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ვერძის
ფიგურა ნაწილია რიტუალური კურკლისა, რო-
მელც ვერძის თაყვანისცემასთან იყო დაკავში-
რებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალის
ტორსის სეულტურული გამოსახულება, რო-
მელშიც მოცემულია ცუდა ანატომიური ნაწილე-
ბის გადმოცემისა (კატ. № 245, სურ. 76). ტორსის

ფუძე გამოწვამდა თარაზულად წაკვეთილი და
ის. აღბათ, დასადგმულად იყო განკუთვნილი.
ქანდაკება ნაწილია ზედა ტერასაზე, ე. წ. რიტუა-
ლური მოედნის ახლოს, ნაშალი თორის⁴³¹ ფენაში.
რომელიც ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით
თარიღდება⁴³². რიტუალურ მოედანთან სიახლო-
ვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალის სეულტურა,
აღბათ, რომელიმე ღვთაებას განასახიერებდა⁴³³.
ასე რომ დოკუმენტურად გვექვს დადასტურე-
ლი ქალის (ქალმერთის?) მცირე ზომის ქანდა-
კების არსებობა და მისი მონაწილეობა გარკვეულ
რიტუალში ვანის ნაქალაქარზე ადრეანტიკურ
ხანაში.

სხადასხა ვაჰრავივილი ნიშნები (აბ. №№ 246 —
247, სურ. 77)

ვანის კერამიკულ ნაწარში არის რამდენიმე
გაურკვეველი სახისა და დანიშნულების ფრაგ-
მენტი.

XV. ერთი მათგანი (კატ. № 246, სურ. 77)
კეცითა და ორნამენტით ვანის სამეთუნეო ნაწარ-
მის ორგანული ნაწილია. როგორც ჩანს, ეს არის
ფრაგმენტი რთული აგებულების ნივთისა, რომ-
ლის ორიენტაცია ჩვენთვის არ არის ნათელი. ამ-
დენად მისი აღწერა მეტად პირობითია. ნივთი
ორფერდა. მისი წინა მხარე სამკუთხაა, დაბარ-
ყვლებული; წახნაგებზე დაკბილული იარაღით
მოკლე ღარებიანა დატანილი. წინა მხარეზე ღრმა
ნაკვეთებია. ზედაპირზე შავი ლაქებია, ცეცხლის
კვალი შემჩნევა შიდა ზედაპირზეც. ასე რომ არ
არის გამორიცხული, რომ ნივთი, რომელსაც გან-
ხილული ფრაგმენტი ეკუთვნოდა, სარიტუალო
დანიშნულებისა იყო. ეს ფრაგმენტი მომდინარე-
ობს ნაქალაქარის იმ კულტურული ფენიდან, რო-
მელიც ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით თა-
რიღდება (ნაქალაქარის თიხნარი⁴³⁴ ფენა ნაქალა-
ქარის ცენტრალურ ტერასაზე — ანგ. 67)⁴³⁵.

პარალელი ვანხილულ ფრაგმენტს ჭრჭყრო-
ბით ვერ მოეძებნა.

ასევე გაურკვეველია ზედა ტერასაზე ხის
ზათქამებთან ნაგებობაში (ძვ. წ. V საუკუნე)⁴³⁶ აღ-

⁴²⁶ ვანი I, გვ. 14, სურ. 188—189.

⁴²⁷ დაწერ. ამს შესახებ ოს. ვანი I, გვ. 14. იქვეა დასახ.
ლო.

⁴²⁸ E. A. Ky Ɔ T H H. დასახ. ნაწარ, ტახ. 58g

⁴²⁹ ამ კომპლექსის შესახებ ოს. აქვე, გვ. 11. |

⁴³⁰ ამ კომპლექსის შესახებ ოს. აქვე, გვ. 9.

⁴³¹ ამ ფენის შესახებ ოს. აქვე, გვ. 8.

⁴³² სურ. ვანი IV, გვ. 36.

⁴³³ ამ ფენის შესახებ ოს. აქვე, გვ. 10.

⁴³⁴ ამ კომპლექსის შესახებ ოს. აქვე, გვ. 9.

მოჩენილი ნივთის ფრაგმენტნი (კატ. № 247, სურ. 77). მას აქვს გამჭოლნახევრებიანი, რომის მოყვანილობის თავი, რომელიც ვიწროვდება ქვემოთქან და შერჩენილი აქვს ორნამენტის ნაწილი (ნაქლებები).

ეს ჩვენთვის უცნობი ნივთების ფრაგმენტები კატალოგში შესულია ვანის ადრეანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის სამეცნიერო მიმოქცევაში სრულად შეტანის მიზნით. მამაკალა აღმოჩენებმა, როგორც საყოფიერო ვანის ნაქალაქარზე, ასევე კოლხეთის სხვა ძეგლებზეც, შესაძლოა გააყვიოს მათი ატრიბუციის საკითხი.

დასკვა

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ტოლოგიური მრავალფეროვნების (გაშოიო 15 სახობა) ის ხასიათდება გარკვეული ერთიანობით, რაც ელინდება როგორც მოყვანილობასა და ორნამენტში, ასევე ორნამენტის დატანის ტექნიკასა და დამზადების ტექნოლოგიაში.

1. 1. თიხის ჭურჭლის მოყვანილობაში შეიმჩნევა ერთგვარი გეომეტრიზმი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ცალკეული სეგმენტების — პირის, ყელის და ტანის გამოყვანაში. მავალიად, ქვევრებისა და დერგების პირის გვირგვინები (I, 1B, I, 2 და II, 1 ტიპები) სამუთხა-ან ოთხ-კუთხადახავეთიანება; ცლინდრული ყელი აქვთ ვიწროყელიან ორყურა დერგებს (II, 2 ტიპი) და ლარნაებს (X ტიპი); ვაბატონებულია ტანის ბიკონუსური მოყვანილობა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლებზე: ბიკონუსური ტანი აქვს ყველა ტიპის დოქებს (V, 1—3 ტიპები), ლარნაებს X ტიპი), ლილაკებით შემკულ ქოთნებს (III, 5 ტიპი); დიდ ზომის სამეურნეო ჭურჭლის — დერგების (II, 2—3 ტიპები) ტანის მოყვანილობაც ბიკონუსური უახლოვდება; ერთი ტიპის სასმისებს ცილინდრული მოყვანილობის ტანი აქვთ (VIII, 3 ტიპი), ხოლო ე. წ. კონუსურტანისანი სასმისების ტანის ზედა ნაწილი ცილინდრულია, ქვედა კი — წაყვეთილი კონუსისებრი (VIII, 2 ტიპი). გეომეტრიულ ფორმას მიახლოებულ ჭურჭელს გარდა გვხვდება, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, ე. წ. ქილისებური მოყვანილობის (III,

1, 4 ტიპები) და მხრებგამოყვანილი ტანის მქონე ჭურჭელები (VIII, 1 ტიპი).

ვანის ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი ჭურჭლის ყველა განხილული ფორმისთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, რომელიც იშვიათადაა გამოხლული (ქვევრების ძირები — I, 8B ტიპი; ცილინდრულიტანისანი სასმისები — VIII, 3 ტიპი), ან გამოყვანილი (ყურმილიანი დოქი — VII, 1 ტიპი). ქუსლი უცხო ელემენტია ამ ხანისთვის.

ყურები, როგორც წესი, ევრტიკალურადაა დამარგებული ჭურჭლის ყელსა და ტანის ზედა ნაწილზე. თარაზული ყურები მხოლოდ პირფართო დერგებსა (II, 3 ტიპი) და ქვაბებს (IV ტიპი) აქვთ. პირველ შემთხვევაში ყურები ტანის ზედა ნაწილზეა დაფარული, მეორეში კი — პირზე. იშვიათია პირის ზემოთ ახილული ყურები (VII, 2 ტიპი). გვაქვს ოვალურ-, ნახევაროვალურ- და მრგვალოგანივკეთიანი ყურები. მათში ოვალურ-განივკეთიანები სჭარბობენ.

1, 2. სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელს აერთიანებს ორნამენტით. ძირითადი ორნამენტული სახეები — ტალისებური, წიწვი-სებური ორნამენტი, რომელიც ბადე, ჭყარდინი და მერიდიანული ხაზები, ირიბი ნაქლებები, ირგვლივი ღარები და ლილაკები — ერთდროულად გვხვდება სხვადასხვა ჭურჭლებზე. სახელდობრ, ტალისებური ორნამენტით შემკულია ქვევრებისა და დერგების პირის გვირგვინები (I, 2 და II, 1 ტიპები), დოქებისა (VII, 2 ტიპი) და სასმისების (VIII, 2—3 ტიპები) ტანი, ხუფის კალთა (VI, 1B ტიპი); რომბული ბადე დატანილია ქვევრების (I, 1B ტიპი), დერგებისა (II, 1 ტიპი) და ლარნაკების (X ტიპი), აგრეთვე ე. წ. ისრისპირისებურ-გვირგვინიანი (XII, 1 ტიპი) და ბადის ტიპის (XII, 2 ტიპი) ჭურჭლის პირებზე; საყურადღებოა, რომ რომბული ბადით შემკულია ერთი ცხოველის ქანდაკაც; ჭყარდინი ხაზები გვხვდება ქვევრების პირის გვირგვინებსა (I, 2 ტიპი) და ყელზე (I, 3B ტიპი) და ქვევრებისა და სხვადასხვა ჭურჭლის ყურებზე (IV და XII, 12 ტიპები); მერიდიანული ხაზები (ზოლები ან ქედები) — ქვევრებზე (I, 5A; I, 6 ტიპები), დერგებსა (II, 1—4 ტიპები) და ქოთნებზე (III, 1—3 ტიპები); ირიბი ნაქლებები — ქვევრების სხვადასხვა სეგმენტებზე (I, 3B; I, 4; I, 5B; I, 6C ტიპები), დერგების (II, 1—3 ტიპები), ქოთნების (III, 5

ტიპი). სასმისების (VIII, 3 ტიპი) და ლარნაყების (X ტიპი) ტანზე; ირგვლივ ღარები — ქოთნების ყელზე (III, 1—4 ტიპები), სასმისების ტანზე (VIII, 4 ტიპი); ლილაყები არის ქვევრებისა და ქოთნების უკლის ძირში (I, 4 ტიპი; III, 5 ტიპი), სავადასხვა ჭურჭლის ყურებზე (XII, 12 ტიპი) და ღრვას ტანზე (II, 6 ტიპი): წიწვისებური ორნამენტი გამოყვანილია ქვევრების პირის გვირაგვირებზე (I, 1B ტიპი) და სხვადასხვა ჭურჭლის ყურებზე (XII, 12 ტიპი), აგრეთვე ე. წ. ისრის-პირისებურგანთივითან გვირაგვირებსა (XII, 1 ტიპი) და ბადის ტიპის (XII, 2 ტიპი) ჭურჭლის პირებზე.

გარდა ჩამოთვლილი ორნამენტული სახეებისა ხანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის ევრაზიას ამკობს ტალღური ხაზები, ზეწური ხეივები, კონცენტრული წრეები, ნალისებური სახეები, სამკუთხედები. ირიბი ღარები, ამრგად, ერთგვარი გეომეტრიზმი ორნამენტშიც იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ გეომეტრიზმს (მოყვანილობასა და ორნამენტში) ადგილი აქვს საერთო კოლხური ელტერის სხვა კომპონენტშიც — ადრეანტიკური ხანის ოქრომქედლობაში⁴³⁵.

ვანის ადრეანტიკური ხანის ევრაზიულ ჭურჭელზე ერთგვაროვანია შემეკლობის პრინციპით — ორნამენტის სარტყლებად განლაგება (ქვევრებზე, დერგებზე, ქოთნებზე, ღოჭებსა და ლარნაყებზე), წიწვიანული და ირგვლივ სახეების (ქედები, ღარები, პრილა ზოლები) ურთიერთმონაცვლეობა — ქვევრებსა და დერგებზე.

I, 3 ორნამენტის დაჯანს ტექნიკა სხვადასხვაგვარია: წნებზე, ამოყვება, დამარწვლა, დატეფვრა — დაბლილული იარაღის გამოყენება. წნებზეთა გამოყენილი პრილა ზოლები; დამარწვლილია ქედები. ლილაყები, ზომორგულთი გამოსახულებები; ამოკვეთილია ღარები, ნაქდევეები, წერტილები, ცხველთა გამოსახულებები; დატეფული იარაღითა დაჯანილი ტალღისებური ორნამენტი, რომელი ბადე. წიწვისებური ორნამენტი, ჭვარდინი ხაზები.

წნესით გამოყვანილი პრილა ზოლები ძირითადად მერიდიანულია (დერგების და ქოთნე-

ბის ტანზე — (II, 2—4 და III, 1—3 ტიპები). გვეხდება ირგვლივ პრილა ზოლები (დერგებზე ტანის უდიდესი დიამეტრის ადგილზე და ძირთან — (II, 2—3 ტიპი), ქოთნების მხრებზე და ძირთან — (III, 1, 3 ტიპები). იშვიათთა პრილა ზოლებით გამოყვანილი რომელი ბადე (ქოთნები — III, 1 ტიპი და დერგები — II, 6 ტიპი).

ქედები ჩვეულებრივ მერიდიანულია ან ირგვლივ. ზოგჯერ ქედებით სხვადასხვა ორნამენტული სახეებია გამოყვანილი — კონცენტრული წრეები და ნალები, ტალღისებური ნახატი, ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედები. როგორც აღინიშნა, ვანის ნაქალაქარზე გეომეტრიულ ქვევრებზე ერთდროულად გვეხდება სხვადასხვაგვარი ქედები: დაბალ და მაღალ რელიეფში გამოყვანილი, წაწვეტებულ- და მომრგვალებულბადირიანი ქედები.

ლილაყები დაბალ რელიეფშია შესრულებული. ისინი ჩვეულებრივ ვარსშემოყვებიან ქვევრისა და ქოთნის ყელს (I, 4 და III, 5 ტიპები). ზოგჯერ ლილაყები ქედების დასაწყისშია დამარწვლილი (ქვევრებზე — I, 6A ტიპი). ერთი ლილაყია შერჩენილი დერგის ერთ ფრაგმენტზე (II, 6 ტიპი). ცხოველთა გამოსახულებები, რომლებიც დამარწვლილია კახების ყურებზე (VIII, 5 ტიპი), სქემატურია — თვლები გამოსახულია დამარწვლილი ლილაყებით, რქები და ერთ შემთხვევაში დრუნჩიცი — ქედისებური დამარწვლებით.

ამოკვეთილი ორნამენტული სახეები შესრულებულია სადა, მახვილწვერიანი იარაღით. გვეხდება ირგვლივ, ირიბი და წრიული ტალღისებური ღარები (I, 1; II, 1; III, 1—4. VII, 2—3; VIII, 2—4; X; XI ტიპები). აღსანიშნავია, რომ ამოკვეთილი, შვეულად ან ირიბად მიმართული ღარები დღასტურებულია კვირისტავებზე (XIII ტიპი). ნაქდევეები ან რიგებადაა განლაგებული (VII, 2 და VIII, 3, აგრეთვე X ტიპები), ან დამატებითი ორნამენტის როლს ასრულებს — დატანილია ქედებზე (I, 3B; I, 4; I, 5B; II, 1 ტიპები). სშირად ნაქდევეები ყურების ბოლოებზეც არის ამოკვეთილი (II, 2—3; XII ტიპები). არ არის გამოირჩეული, რომ ეს ნაქდევეები ყურებზე ტექნოლოგიურ პროცესთან არის დაკავშირებული, წარმოქმნილია ყურის ტანთან მიმკერების

⁴³⁵ ა. ქვიციანი. კოლხური ოქრომქედლობის განვითარების ძირითადი საკვანძოები ვანის არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი, თბ., 1973, გვ. 10—12.

დროს — ნაკლებები ზოგჯერ ყურის ბოლოების შიდა მხარეზედაცაა გაკეთებული⁴³⁶.

ჩაკდელი წერტილები ვარსშემოუყვება ე. წ. ისრისპირისებურგანივკეთთან პირის გვირგვინებს (XII, 1 ტიპი), აგრეთვე ბადისის ტიპის ჭურჭლის პირებს (XII, 2 ტიპი). ცილინდრულ-ტანიანი სასმისის ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ჩაკდელი წერტილებისაგან შემდგარი გაურკვეველი ორნამენტი (VIII, 3 ტიპი).

ცხოველთა გამოსახულებები ქვევრების მხრებზე ამოკვეთის ტექნიკითაა დატანილი. გამოხატულებები სხვადასხვა ხეობითაა დატანილი — კონტური ან უწყვეტ ხაზს წარმოადგენს, ან პუნქტირითაა გადმოცემული (I, 5D ტიპი).

დაბილული იარაღით გამოყვანილი ორნამენტული სახეები, როგორც წესი, სარტყლებადაა განლაგებული.

სხვადასხვა ტექნიკით გამოყვანილი ორნამენტი ხშირად გვხვდება ერთსა და იმავე ჭურჭელზე. მაგალითად, ქვევრებზე ერთდროულად არის დამოწმებული ამოკვეთილი, დაძვრილი და დაბილული იარაღით გამოყვანილი ორნამენტები.

ორნამენტო, ჩვეულებრივ, ჭურჭლის გამოწვამდაა დატანილი მოსწორებულ ზედაპირზე. გამოწვამდაა ორნამენტირებული კვირისტაბებიცა და ზომორთული ქანდაკებებიც.

I, 4. ყველა კერამიკული ჭურჭლის ფორმისთვის საერთოა ეკი — რუხი ან ყუვისფერი. რაც შეიძლება აიხსნას გამოწვის ერთნაირი რეჟიმითა და თონის ერთგვაროვანი შედგენილობით. ვანის ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ტექნოლოგიური შესწავლა ჯერ არ დასრულებულა. ეთნოალური დაკვირვებით კი თბა მსხვრღმარ-ცვლოვანია, მინარევებიანი (კირქვა, ქარსი, კვარცი, პიროქსენი).

I, 5. მიუხედავად დიდი სხვაობისა ჭურჭლის ცალკეული ტიპების ფორმასა და მოცულობაში, ყველა სწრაფმბრუნავ ჩარხზეა დამზადებული; ჩარხის ყველა ხშირად შემჩნვევა ჭურჭლის შიდა ზედაპირსა და ძირზე. ჩარხზეა დამზადებული არა მხოლოდ მცირე ზომის, არამედ დიდი მოცულობის ჭურჭელიც — ქვევრი, რომელიც, როგორც

აღინიშნა, იკვებოდა ჩარხზე დამზადებული ნაწილებისაგან. ჩარხზე დამზადებული ადგილობრივი კერამიკა დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნიდან ივარაუდება, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ში მისი არსებობა დოკუმენტურად დასტურდება⁴³⁷.

I, 6. როგორც წესი, ყველა ჭურჭელს ზედაპირი მოსწორებული აქვს. ზოგჯერ მოსწორების კვალი ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ღარებისა და პრიალა ზოლების სახითაა შემორჩენილი. ისინი უმეტეს შემთხვევაში ორნამენტის ორგანულ ნაწილადაა ქმნილი.

ვანის ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ყარგად გამოიკვეთება ნაწალაქარის დახურული კომპლექსების მასალებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა № 11 სამარხი, რომელმაც მოგვას 16 ადგილობრივი თიხის ჭურჭელი — ხუთი ვანსხვაკვებელი ფორმა: დერგები, ქოთანი, ლოქები, ჭამები და ლარნაკები. ყველა ჩამოთვლილი ჭურჭლისთვის დამახასიათებელია შემდეგი საერთო ნიშნები: ბიკონუსური მოყვანილობის ტანი (ჭამების გარდა), ბრტყელი ძირი, ორნამენტის სარტყლებად განლაგება (დერგებზე, ქოთანზე, ლოქებზე, ლარნაკებზე), ზედაპირის გაპრიალება. ყველას ერთგვაროვანი ეკი აქვს და ყველა ჩარხზეა დამზადებული.

ალსანიშნავია, რომ ამ სამარხის დერგების ტანზე პრიალა ზოლების განლაგება იმეორებს ქვევრების ტანზე ქვლებისა და ღარების განაწილების პრინციპს; ზოლო დერგების ყურებზე დადასტურებული ირიბი ნაკვეთები სხვა სახის ჭურჭელზეც გვხვდება.

2. ვანის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებში მოპოვებული კერამიკული ნაწარმი ფართო ანალოგიებს პოულობს კოლხეთის თანადროულ ძეგლებზე.

2.1. ვანის მასალებში არსებული ქვევრები პირის გვირგვინების და ძირის ყველა ტიპი, ყელია და ტანის შემეკლობის ყველა ვარიანტი, ქვევრისებური დერგები, ქვაბები, საწურები, ხუფები, პირველი და მესამე ტიპის ლოქები, კიქი-

⁴³⁶ ყურებზე ნაკლებების არსებობას ტექნიკური მოსახრებითაა ხსნიან—მათი გეგმებით თხის ნიღდ მასაში ცეცხლის მოქმედება შექონდა, რაც ყურის გამოქობას მატებდა. შვდ. თ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევები..., გვ. 48—49, ტბ. XV.

⁴³⁷ დოქრ. ის. ით. ლ რ თ ქ ი ვ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 111.

სებური, კონსულტანინი, ცილინდრულტანინი და კახისეზური სასმისები, ჭაგები, შათარები, კვირისტაკები ფართოდაა გავრცელებული მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა ზოლი მათუმიდან სოხუმის მიდამოებამდე (ბათუმისციხე, კობი, ქობულეთ-ფეხვანი, ფოთის მიდამოები, ოსაჩხიჯე, სოხუმის მიდამოები). ასევე შიდა რაიონებში — მღ. სუფსა-ნაბუნანების ხეობაში (გურიათა), მღ. რიონის შუა დინებაზე (მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, ქუთაისი და მისი მიდამოები) და მის სათავეებში (ბერილი). მღ. ტეხურისა და ცხენისწყლის (მუ-ღურჩა). ენგურის (პალური, მერხვეული), ყვირლის (თხვილი, არგვეთი, საჩხერე) ხეობებში⁴³⁸. ეს გავრცელება მიუთითებს კერამიკულ ნაწარმში სტანდარტიზირებულ ფორმების არსებობას მთელი კოლხეთის მასშტაბით⁴³⁹.

2. 2. გარდა საერთო კოლხური კერამიკული ფორმებისა და ტიპებისა, ვანის ადრეანტიკური ხანის კერამიკულ მასალაში გამოირჩევა ისეთებიც, რომელთაც კოლხეთის თანადროული ძეგლებზე ჭერჭერობით არ მოეძებნებათ ანალოგიები. კერძოდ, სპეციფიკურ ტიპად გვესახება ბოქონსურტანინი დოქები, რომელთაც პირიდან ზეაქველი ყურები აქვთ და რომლებიც შემკულია ტალღისებური ორნამენტის სარტყლებით (VII, 2 ტიპი), აგრეთვე ლარნაკები (X ტიპი), ვიწროპირიანი და ფართოპირიანი ორყურა დერგები (II, 2—3 ტიპები). სპეციფიკობა თავს იჩენს ცალკეულ მორფოლოგიურ ნიშნებშიც. კერძოდ, თავისებურია წამისებური ხუფების (VI, 1 ტიპი) პირის გაფარება — პარალელური მასალებისაგან განსხვავებით მათ გარეთ გადახრილი ან გადაშლილი პირი აქვთ; ყურმილიანი დოქის ძირი — გამოყვანილია (VII, 1 ტიპი); ზოგიერთი ორნამენტული მოტივი — ქვევრის ყელის შემკობა ჭედების, წიწხისებური ორნამენტის და ჭარბდონი ხაზების კომბინაციით. აღსანიშნავია, რომ 2. წ. შედგენილანინან სასმისებს (VIII, 4

ტიპი) პარალელები მოეძებნა „ვანის ქვეყანაში“. განსხვავებული ჩანს, ვიზუალური დაკვირვებით, ვანის ნაქლაქარზე და მის მიდამოებში გამოვლენილი თიხის ნაწარმის კეციც. ყოველივე ეს საფუძველს გვიძლევს ვივარაუდოთ „ვანის ქვეყანაში“ კერამიკული წარმოების არსებობა.

3. მიუხედავად რიგი თავისებურებებისა ვანის ადრეანტიკური ხანის თვისობა, როგორც ვნახეთ, კოლხეთის სხვა მისი თანადროული ძეგლებისგან განცალკევებით არა ღვას და მათთან ერთად აგრძელებს წინარე ხანის სამეთუნეო წარმოების ტრადიციებს. კონკრეტულად გენეტიკური კავშირი წინარეანტიკური ხანის თიხის ნაწარმთან ვანის მასალების მიხედვით შემდეგ ასპექტებში ელინდება: ა. სამზარეულო და სუფრის ტურქლის ზოგიერთი ძველი ფორმის შემორჩენა, ბ. ცალკეული ორნამენტული სახეების კვლევა არსებობა, გ. ზომოზრდილი მოტივების გავრცელება.

3. 1. ვანის ნაქლაქარის თიხის ტურქლის გამოყოფილი ტიპებიდან ქილისებური ქოთნები (III, 1 ტიპი), ყურმილიანი დოქები (VII, 1 ტიპი), კონსულტანინი (VIII, 2 ტიპი) და ფეხიანი (VIII, 4 ტიპი) სასმისები არ არის სპეციფიკური მხოლოდ ადრეანტიკური ხანის კოლხური კვანძისათვის. ისინი ჩამოყალიბებული სახით გვხვდება უკვე წინარეანტიკურ ხანაში. ქილისებური ქოთნები დაფიქსირებულია ნიგუზიანისა⁴⁴⁰ და წითელი მუქურას⁴⁴¹ სამაროვებზე. ქილისებური ქოთნები, ოლინდ უყური, აღმოჩენილია ფეჭენარის დღუნურ სადგომზე⁴⁴². ყურმილიანი დოქები ცნობილია ფეჭენარის დღუნური სადგომიდან⁴⁴³, აგრეთვე პალურის⁴⁴⁴, ნიგუზიანის⁴⁴⁵ და მუხურჩას⁴⁴⁶ სამაროვებიდან. კონსულტანინან სასმისებს პროტოტიპები ფეჭენარის სადგომის მასალებში ეძებ-

⁴⁴⁰ T. K. Mikeladze, M. B. Baranidze. დასახ. ნაშ., გვ. 37—37. სურ. 2₁.

⁴⁴¹ M. M. Trapez. Труды, 2, გვ. 164, ტაბ. XVIII, 19.

⁴⁴² A. T. Ramišvili. დასახ. ნაშ., სურ. 7₁.

⁴⁴³ A. T. Ramišvili. დასახ. ნაშ., სურ. 7₂.

⁴⁴⁴ შ. ბარამიძე. მეჩხელის სამაროვანი, გვ. 29—30.

⁴⁴⁵ T. K. Mikeladze, M. B. Baranidze. დასახ. ნაშ., გვ. 34, სურ. 2, გვ. 12, 13.

⁴⁴⁶ შ. M. Goğadze, L. H. Plinckava, M. B. Darinskashvili. დასახ. ნაშ., გვ. 62, ტაბ., X, 23—26.

⁴³⁸ ჭერჭერობით შევადგება ტურქლის დანარჩენი ტიპებს, განსაკუთრებით დერგებს და ქოთნებს და ვაგვიდება კოლხეთის ადრეანტიკური ხანის სხვა ძეგლებთან მომდინარე ნიშნებთან, ენაღანის მთი უბელოკის არაა მოცემული სათანადო საოლქურტყით მასალა და აღწერა, თუმცა აღინიშნება მათი ტიპოლოგიური მსგავსებები.

⁴³⁹ ით. ლ. ბარამიძე. აქულოლია და საქართველოს ძველი ისტორია... გვ. 116.

ნებათ⁴⁴⁷. ფეხიანი სასმისები უკვე ნიგეზიანისა⁴⁴⁸ და წითელი შუქურას სამაროვნებზე⁴⁴⁹ იჩენენ თავს. ფიქვანის დიუნურ სადგომზე კიდევ ერთი კერამიკული ფორმაა დასრულებული სახით წარმოდგენილი — ქამები⁴⁵⁰. დიდი ზომის სამურერნო კურველში უნდა ვეძიოთ ქვევრების უშუალო საწყისებით (ყულანურზე⁴⁵¹, წითელი შუქურა⁴⁵², დაბალგომი⁴⁵³, ნაოხამელ⁴⁵⁴).

3, 2. წინამორბედი ეპოქის ტენდენციები თვალსაჩინოა ადრეანტიკური ხანის თიხის კურკლის ორნამენტულ გაფორმებაშიც. წინააღმდეგობის თიხის კურკლის შემუშავების ისეთი წამყვანი მოტივები, როგორცაა ირიბი ნაქრელები, პრიალა ზოლები, ირგვლივი ღარები, რომელი ბადე, წიწყისებური და ტალისებური ორნამენტი, ლილავი და ქედისებური დანაძერწები ყურებზე⁴⁵⁵ ასევე დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის⁴⁵⁶. წინააღმდეგობის ხანის ორნამენტული სახეების საკმაოდ მძლავრი ნაჯადი დასტურდება ვანის ნაქალაქარის მასალებითაღ⁴⁵⁷. აღსანიშნავია, რომ ვარა ზემოთ ჩამოთვლილი ორნამენტული მოტივებისა, ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ხის ბაჟაშუმბიან ნაგებობაში (ძვ. წ. V ს.)⁴⁵⁸ ფიქსირებულია კანელურებიანი კურტიკის ნიმუშები, რომლებიც წინააღმდეგობის ხანის კერამიკის ყველაზე სპეციფიკურ ელემენტადაა მიჩნეული⁴⁵⁹.

⁴⁴⁷ А. Т. Рамшвили. დასახ. ნაშ., გვ. 146, სურ. 7.

⁴⁴⁸ Т. К. Микеладзе. М. В. Барамидзе. დასახ. ნაშ., სურ. 29.

⁴⁴⁹ М. М. Трапш. დასახ. ნაშ., ტაბ. XVIII, 1.

⁴⁵⁰ А. Т. Рамшвили. დასახ. ნაშ., სურ. 3.

⁴⁵¹ Ю. Н. Воронов, А. С. Вознюк, დასახ. ნაშ., გვ. 270, სურ. 2.

⁴⁵² М. М. Трапш. დასახ. ნაშ., გვ. 10.

⁴⁵³ თ. ლორდავაძე. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში, გვ. 74, სურ. 59, 11, 60.

⁴⁵⁴ Б. А. Куфтин. დასახ. ნაშ., სურ. 48, 49, ტაბ. 56.

⁴⁵⁵ თ. ლორდავაძე. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში, გვ. 77—78, სურ. 57—61; თ. შიქელაძე. ძეგლი..., გვ. 57; Б. А. Куфтин. დასახ. ნაშ., სურ. 48—49, ტაბ. 55—57; А. Т. Рамшвили. დასახ. ნაშ., გვ. 147—148, სურ. 11—12 და სხვ.

⁴⁵⁶ თ. შიქელაძე. ძეგლი..., ტაბ. XII.

⁴⁵⁷ იმ. აქვე, ორნამენტის კვებითი აბაღლა—სურ. 23.

⁴⁵⁸ ამ კომპლექსის შესახებ იმ. აქვე, გვ. 9.

⁴⁵⁹ თ. შიქელაძე. ძეგლი..., გვ. 56—57, ტაბ.

VI, 1, 12, 18—20.

3, 3. წინამორბედი ხანსავე უკავშირდება ზომორფული მოტივების არსებობაც, რაც საკმაოდ თვალსაჩინოა ადრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკულ ნაწარმში⁴⁶⁰. ესენია: ცხოველთა გამოსახულებები ქვევრების მტარებზე, რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, სტილისტურად კოლხური ბრინჯაოს ცულების გრავირებულ გამოსახულებებს უახლოვებენ; ზომორფულსახოვანი და ზომორფულდანაძერწიანი ყურები; ქამისებური ზუფების სახელურების გაფორმება ე. წ. ზომორფული ყურების მსგავსად; აგრეთვე ცხოველთა მკიერ ზომის ქანდაკებები.

3, 4. აღსანიშნავია, რომ კერამიკის მსგავსად, ვენეტიკური კავშირი წინამორბედი ეპოქასთან ადრეანტიკური ხანის კოლხური მატერიალური კულტურის სხვა კომპონენტებშიაც არის ასახული. კერძოდ, ბრინჯაოს სიტულები, რომლებიც აღმოჩენილია ძვ. წ. V საუკუნის სამარხებში (ქობულეთ-ფიქვანარა⁴⁶¹, ვანი⁴⁶², ითხვისა⁴⁶³, ბრილი⁴⁶⁴), ფორმითა და დამზადების ტექნიკით იმეორებენ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებულ ბრინჯაოს კურკლებს⁴⁶⁵; ხოლო ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სიტულა⁴⁶⁶ სახურავის ცხოველთა გრავირებული გამოსახულებები კოლხური ცულების შემუშავების სტილშია შესრულებული⁴⁶⁷. ძვ. წ. VI—IV საუკუნეების რკინის ნაწარმიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით ახლოს დგას ძველ ფორმებთან⁴⁶⁸. ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრო-

⁴⁶⁰ თ. შიქელაძე. ძეგლი..., გვ. 64.

⁴⁶¹ იხილეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

⁴⁶² ვანი 1, გვ. 238, სურ. 224—225.

⁴⁶³ ი. გაგოშიძე. ოთხისის სამარხი, გვ. 37, ტაბ. II, 8.

⁴⁶⁴ გ. გობეჯიშვილი, განუთარგმლებელი რკინის ხანის ძეგლები ჩოროს სათავეებში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 195.

⁴⁶⁵ დიქსონი. იმ. ლ. სახაროვა. უძველესი ბრინჯაოს კურკლები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 12; ით. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგადი საკითხი, გვ. 121.

⁴⁶⁶ ვანი 1, გვ. 238, სურ. 224, 225.

⁴⁶⁷ ით. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი, ვანი 1, გვ. 22.

⁴⁶⁸ ი. გაგოშიძე. სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 28—29; ით. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს..., გვ. 119.

მკვლელობის საწყისები ეწინააღმდეგებოდა ხანაშია საბიუტელი⁶⁶⁹.

4, 0. წინარე ეპოქიდან მომდინარე კერამიკული ფორმებისა და ორნამენტული მოტივების გვერდით ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის მონაპოვარში თავს იჩენს გარკვეული სიახლეები. ძველი ფორმები, თავის მხრივ, სახეშეცვლილია ეპოქისათვის დამახასიათებელი ტენდენციების შესაბამისად. ამ ახალ ეტაპს კოლხურ სამთუნეო წარმოებაში (მიქელაძისეული „შუაყოლხური“ პერიოდის პირველი ეტაპი⁶⁷⁰) ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებიდან იწყებენ⁶⁷¹ და მურანეონის ახალი დარგების განვითარებასა და საერთოდ ეკონომიკაში მომხდარ დიდ ძვრებს უკავშირებენ⁶⁷². აღსანიშნავია, რომ ამ თარიღს მხარს უჭერს ვანის ნაქალაქარის მონაცემებიც — ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის თანმშლელი იმპორტის უდარესი ნიმუშები ძვ. წ. VI საუკუნის მეორე მეთოხედს მიეკუთვნება. მხოლოდ ერთი ფრაგმენტი — ქოისური პოლიქრომიული თასი — ამ თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით⁶⁷³.

ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ერთი ანაწილი მხოლოდ ზოგადად თარიღდება ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით. სტრატოგრაფიული მონაცემებისა და პარალელური მასალების მოშველებით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი კერამიკული ფორმისა და ტიპის გავრცელების უფრო ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოფარგვლა. მაგალითად, ძვ. წ. VI საუკუნითა და ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევარი თარიღდება მესამე ტიპის ქოთნები (III, 3 ტიპი), ძვ. წ. VI—V საუკუნეებით — მეოთხე ტიპის დერგები (II, 4 ტიპი), ძვ. წ. V საუკუნით — ორუჯრის ფართოპირიანი დერგები (II, 3 ტიპი) და ქვეერის პირის გვირგვინების პირველი A ტიპი (I, 1A ტიპი), ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით — ვიწროპირიანი დერგები (II, 2 ტიპი), მეორე ტი-

პის დოქები (VII, 2 ტიპი) და ლარნაკები (X ტიპი) ძვ. წ. V საუკუნითა და IV საუკუნის პირველი ნახევრით — ლილაკებით შემუშავებული ქოთნები (III, 5 ტიპი) და მესამე ტიპის დოქები (VII, 3 ტიპი) იხ. ცხრილი. ზოგჯერ დოკუმენტურად დადასტურებულია ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული ფორმებისა და ტიპების არსებობა ამ მხრივ ერთ ქრონოლოგიურ მონაცემზე, ისე რომ მათი გავრცელების ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა არ ხერხდება. სახელდობო, ქვეერების პირის გვირგვინის პირველი ტიპის B ვარიანტი ადგილსიტუებულია ძვ. წ. V ს. — IV ს. პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ტიპი — როგორც ძვ. წ. VI ს. შუახანებისა და V საუკუნის კულტურულ ფენაში, ასევე ძვ. წ. V საუკუნისა და ძვ. წ. V—IV საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში; ნაკვდევნიანი ქედებითა და რელიეფური სამკუთხედებით შემუშავებული ქვეერის მხრის ფრაგმენტები (II, 5B და C ტიპები) აღმოჩენილია კომპლექსებში, რომელთა თარიღი ძვ. წ. V საუკუნის შუახანებამდე ჩამოდის; ირგვლივ დარებითა და მერიდიანული ქედებით შემუშავებული ქვეერების კედლების ფრაგმენტები (I, 10 B ტიპი) — ძვ. წ. V ს. — IV ს. პირველი ნახევრის კომპლექსში, ხოლო ქვეერების ძირის ორივე ქვეტიპი — ძვ. წ. V საუკუნის კომპლექსებში; მეორე ტიპის ქოთნები (III, 2 ტიპი) — ძვ. წ. V—IV ს. პირველ ნახევარში; ჩამისებური ხუფები (VI, 1 ტიპი) ფიქსირებულია ძვ. წ. VI—V საუკუნის შუახანებში; ყურმილიანი დოქი—ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში (VII, 1 ტიპი); კიქისებური სასმისები (VIII, 1 ტიპი) და ჩამები (IX ტიპი) — ძვ. წ. V და IV საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში.

ზოგიერთი კერამიკული ფორმისა და ტიპის გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები პარალელური მასალების მოშველებითა და ზუსტებული. კერძოდ, ზოგადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში აღმოჩენილი ქვებისა და მათარების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. წ. V საუკუნე, რამდენადაც ისინი არა გვხვდება უფრო ადრეული ხანის ძეგლებზე; ხოლო შედგენილნიანი სასმისები (VIII, 4 ტიპი), რომელთა ანალოგიური მხოლოდ უფრო მოგვიანო, ძვ. წ. IV—III საუკუნეების ძეგლებზე მოიძებნათ, ადრეანტიკური

⁶⁶⁹ ი. გავლიძე. მასალები საქართველოს რეპუბლიკის ისტორიისათვის, სსმ, XXXII—B, თბ., 1976, გვ. 5—32.

⁶⁷⁰ მიქელაძისეული პერიოდიზაციის შესახებ დიქონ. იხ. თ. მიქელაძე. ძეგლები... გვ. 61—65.

⁶⁷¹ თ. მიქელაძე. ძეგლები... გვ. 61; ით. ლიბ. თ. მიქელაძე. არქეოლოგია და საქართველოს... გვ. 116.

⁶⁷² თ. მიქელაძე. ძეგლები... გვ. 61.

⁶⁷³ დიქონილი იხ. აქვე, გვ. 10.

ხანის ვიგანდელ ეტაპზე განვითარებულ ფორმად იქნა მიჩნეული.

5. 0. ადრეანტიური ხანის თიხის კერპლის ზოგიერთი განხილული ფორმა თუ ტიპი ვანის ნაქალაქარის უფრო მოგვიანო ეულტურულ ფენებში და კომპლექსებში იჩენს თავს: ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ, კარიბჭის ახლოს გათხრილ დახურულ კომპლექსში, რომელიც სტერილური თიხნარით ვადანუბრულ ირმის წარმოადგენს და რომელიც მასში აღმოჩენილი ატიური შავლაკიანი კანთაროსის მიხედვით⁴⁷⁴ ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედს განეკუთვნება⁴⁷⁵ (ამ კომპლექსის შემადგენელი თიხის კერპლის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. სურ. 106-ზე); ნაქალაქარის ყუთოლნარვე ეულტურულ ფენაში ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (წყვეთები 117—119, 103), რომელიც ზოგადად ძვ. წ. IV—III საუკუნეებით (უფრო ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით) თარიღდება⁴⁷⁶. აქ აღმოჩენილი ადრეანტიური ხანისთვის სპეციფიკურ ფორმებს, როგორც უკვე აღინიშნა ცალკეული ტიპების განხილისას, ახალი მორფოლოგიური ნიშნები აქვთ. კიდევ მეტი, ამ ძველი, თუმცა ზოგჯერ სახეშეცვლილი ფორმებისა და ტიპების გვერდით ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედიდანვე ჩნდება ვანის ნაქალაქარზე სრულიად ახალი, ადრეანტიური ხანისთვის უცხო კერპული. ეს სახალენი განსაკუთრებით თვალსაჩინოა №16 9 და 10 სამარხების ინვენტარში. № 9 სამარხი მასში აღმოჩენილი ფილიპე II-ის სტატუეტით (ძვ. წ. 359—336 წწ)⁴⁷⁷, ანტიური შავლაკიანი კანთაროსით⁴⁷⁸, სინაოური და სოლოხა-I ტიპის ამფორებით⁴⁷⁹ ძვ.

⁴⁷⁴ ამ ტიპის კანთაროსების შესახებ დ. პარკის. იხ. B. A. Sparkes. L. Talcott. დასახ. ნაშრ., გვ. 122, ტაბ. 29, კატ. №16 699—700.

⁴⁷⁵ ამ კომპლექსის შესახებ იხ. ოთ. ლ. ო. თ. ი. ვ. ა. ნ. ძ. გ. არქეოლოგია და საქართველოს..., გვ. 116, შენ. 36.

⁴⁷⁶ ამ ფენის შესწავლა იქნა არ არის დასრულებული; წინასწარი ანგარიშები იხ. ПАН В 1975 г., გვ. 67.

⁴⁷⁷ ვანი I, გვ. 208—209; გ. დუღლა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანთან, ვანი III, გვ. 121, 131, სურ. 114, № 25.

⁴⁷⁸ ვანი I, გვ. 208—209, სურ. 177.

⁴⁷⁹ ვანი I, გვ. 209—210; რ. ფუთურაძე, იმპორტული ამფორები ვანთან, ვანი III, გვ. 82—88, სურ. 121—122.

წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედს განეკუთვნება, ხოლო № 10 სამარხი მის თანადროულად (ან ოდნავ მოგვიანოდ — ძვ. წ. IV საუკუნის დასასრული) არის მიჩნეული⁴⁸⁰. № 9 სამარხის ინვენტარში ერთდროულად წარმოდგენილი ახალი კერამიკული ფორმა — ამფორა (კოლხური ამფორის უადრესი ნიმუში) და ტრადიციული, ადრეანტიური ხანაში ფართოდ გავრცელებული ფორმა — ჯამი. თუმცა ეს უკანასკნელი ახალი მორფოლოგიური ნიშნების მატარებელია: პირი დაბრტყელებული აქვს, გარე მხარეს სამი ირველივი ღარი შესრულებულია, ხოლო ძირზე დაბალი წრიული ქსელი გამოყვანილი. ასევე თვალსაჩინოა ახალი ნიშნები № 10 სამარხის კერპულზე (იხ. სურ. 79). მათზე აშკარად ჩანს მისწრაფება წარმოდგენილი პროპორციებისაკენ — დოქების ყელი ადრეანტიური ხანის ნიშნებისაგან განსხვავებით ეიწროა და მდალი, ტანი სფერული მოყვანილობისა. ამ ახალ ნიშნებთან ძველიცაა შერწყმული, რაც, უპირველეს ყოვლისა, ორნამენტში შეიმჩნევა — დოქები შემკულია ტრადიციული, ღარებს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტით, რომელიც კვლავ ტანის მაქსიმალური დიამეტრის ადგილზეა დატანილი⁴⁸¹.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული ცვლილებანი კერამიკულ ნაწარმში დადასტურებულია ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედიდან, ეს ხანა უნდა მივიჩნიოთ ვანის ნაქალაქარზე ადრეანტიური ხანის კოლხური კერამიკის ფართოდ გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად. აღსანიშნავია, რომ კერამიკის ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია თანხდება იმ ძვრებს, რომლებიც თავს იჩენენ ვანის მატერიკალური ეულტურის სხვა სფეროებშიც, და რომელთა საფუძვლზე ქალაქის ისტორიაში ახალი ეტაპია გამოყოფილი⁴⁸².

⁴⁸⁰ ვანი I, გვ. 211.

⁴⁸¹ ვანი I, გვ. 212—213, სურ. 180—181.

⁴⁸² იხ. ოთ. ლ. ო. თ. ი. ვ. ა. ნ. ძ. გ. ვანის ნაქალაქარ, ვანი III, გვ. 19—22.

სამეურნეო დანიშნულების ჰურავლი

1. ჰ ვ ა ვ რ ა ბ ა

I. ქვეერის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—78.832), ყავისფერკეციანი; გვირგვინი ოთხუთხა-განიუკეთიანია; მისი ზედა და ქვედა გვერდები სწორხაზოვანპროფილიანია; გარეთა გვერდი ზედას ზღაგვი კუთხით უერთდება. გამოებრილობილიანია, შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი ირბი ღარებით. ყელის შემორჩენილი ფრაგმენტი ქვემოთ დაიწროებულია, შემკულია არგვლეი ღარებით. პირის ღმ არ ისახლებრება, გვირგვინის ზედა გვერდის სიგანე — 2 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 3,4 სმ, კეცის სისქე — 2,8 სმ. სურ. 19.

I, 1A ტიპი (იხ. გვ. 17).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—60/160, 07:1—73/207, 60A.

2. ქვეერის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—72/134), ყავისფერკეციანი; მოყვანილობით № I-ის ანალოგიურია, გვირგვინის გარეთა გვერდი შემკულია სადა ირბი ღარებით. ზედაპირი გამართლებულია. პირის ღმ — 38 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 2 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 2,5 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 19.

I, 1A ტიპი (იხ. გვ. 17).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—60/130, 07:1—69/114, 07:1—70/35, 07:1—73/443.

3. ქვეერის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—74/17), ყავისფერკეციანი, რუხზედაპირიანი; მოყვანილობითა და ორნამენტით № 2-ის ანალოგიურია, გვირგვინის ქვეშ ყელზე ოთხუთხა ნაჭდეუების რიგია. პირის ღმ — 25 სმ, კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 19, 24.

4. ქვეერის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1—68/85), რუხკეციანი, შავზედაპირიანი, პირის გვირგვინი ოთხუთხაგანიუკეთიანია; მისი ზედა და გარეთა გვერდები სწორხაზოვანპროფილიანია, ერთიმეორეს მახვილი კუთხით უერთდება, ორივე შემკულია დაკბილული იარაღით დატანილი რომბული ბადით; ქვედა გვერდი შეზნე-ქილია. ზედაპირი გვეულია. პირის ღმ 42 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 3 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 3,2 სმ. სურ. 20.

I, 1B ტიპი (იხ. გვ. 18).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—66/10, 07:1—67/29, 214, 07:1—68/49, 85, 07:1—71/19, 311, 320, 332; 07:1—73/347; 07:1—76/207, 274.

5. ქვეერის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1—76/207), ყავისფერკეციანი; მოყვანილობით № 4-ის ანალოგიურია; ზედა გვერდი შემკულია წიწვისებური ორნამენტით, ხოლო გარეთა გვერდი — რომბული ბადით. პირის ღმ — 36 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 4 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 3 სმ, კეცის სისქე — 1,6 სმ. სურ. 20, 24.

I, 1B ტიპი (იხ. გვ. 18).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—69/457; 07:1—75/176, 222.

6. ქვეერის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—62/476), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; გვირგვინი მოყვანილობით №№ 4—5-ის ანალოგიურია; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ დაიწროებულია; გვირგვინის ზედა და გარეთა გვერდები შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი წიწვისებური ორნამენტით. ზედაპირზე რუხი ლაქებია. პირის ღმ — 36 სმ, გვირგვინის ზედა გვერდის სიგანე — 3,2 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 3 სმ, კეცის სისქე — 1,1 სმ. სურ. 20.

I, 1B ტიპი (იხ. გვ. 18).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—57/641; 07:1—58/76; 07:1—60/158 ზ; 07:1—63/76; 07:1—66/20, 39; 07:1—67/301, 381; 07:1—68/120; 114; 07:1—72/66. 07:1—75/204.

7. ქვეერის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1—71/8); მოყვანილობით №№ 4—6-ის ანალოგიურია; ზედა და გარეთა გვერდები შემკუ-

ლია წიწვისებური ორნამენტის ორ-ორი რიგით. პირის ღმ არ ისაზღვრება, ზედა გვერდის სიგანე — 4,7 სმ, გარეთა გვერდის სიგანე — 4 სმ. სურ. 20.

1, 1B ტიპი.

8. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1--73/272). რუხკეციანი, შავზედაპირიანი; პირის გვირგვინი სამკუთხაგანიკვეთიანია; გვირგვინის ზედა და გარეთა გვერდები სწორხაზოვანპროფილიანია; ზედა გვერდი შემკულია დამბილული იარაღით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტით, გარეთა გვერდი — ჭკარდინი ხაზებით; გარეთა გვერდი პირდაპირ უერთდება ყელს; ყელის შემორჩენილი ფრაგმენტი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ დაიწროებული. შიდა ზედაპირზე ირიბი ღარებია (მოსწორების კვალი). პირის ღმ — 42 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 3,4 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 21, 24.

1, 2A ტიპი (იხ. გვ. 19).

ამავე ტიპისა: №№07:1--61/497; 07:1--73/45, 68, 163, 164, 339, 355; 07:1--74/257; 07:1--75/237; 07:1--76/188, 203.

9. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1--73/163), ყავისფერკეციანი; № 7-ის ანალოგიურია, მხოლოდ პირის გვირგვინის ზედა გვერდზე ტალღისებური ორნამენტი კიდევებუა; შიდა ზედაპირზე უსისტემოდ შიშართული ღარებია (მოსწორების კვალი). პირის ღმ — 28 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 4 სმ, კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 21.

1, 2A ტიპი (იხ. გვ. 19).

ამავე ტიპისა: № 07:1--76/199

10. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1--77/457), ყავისფერკეციანი; პირის გვირგვინი მოყვანილობით № 7-ის ანალოგიურია, ყელს პირდაპირ უერთდება; გარეთა გვერდი შემკულია ჭკარდინი ხაზებით; ყელი შეხვეტილობითაა, ქვემოთ დაიწროებული, ტანს (მხარს) კუთხით უერთდება; ტანის შემორჩენილი ფრაგმენტი შემკულია მერიდიანული ქედებით (პროფილი და დახრილობა არ ისაზღვრება ფრაგმენტულობის გამო); პირის ღმ — 42 სმ, კეცის სისქე — 1,7 სმ. სურ. 21.

1, 2A ტიპი. იხ. გვ. 18).

ამავე ტიპისა: №№ 07:1--57/504; 07:1--60/524; 07:1--63/233, 439; 07:1--73/576, 620; 07:1--77/168; 07:1--78/90.

11. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1--71/407), რუხკეციანი, შავზედაპირიანი, ყავისფერ-სარჩულიანი; მოყვანილობით №№ 7—9-ის ანალოგიურია; პირის გვირგვინის გარეთა გვერდი შემკულია დამბილული იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით, ყელზე ირგვლივი ღარებია (მოსწორების კვალი), ნაპირღებია. პირის ღმ — 4,2 სმ, გვირგვინის ზედა გვერდის სიგანე — 4,5 სმ, კეცის სისქე — 1,3 სმ. სურ. 22, 24.

1, 2A ტიპი (იხ. გვ. 19).

12. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1--66/6), ყავისფერკეციანი, რუხზედაპირიანი; მოყვანილობით № 7-ის ანალოგიურია; გარეთა გვერდი შემკულია ღარებს შორის მოქცეული ჭკარდინი ხაზებით. პირის ღმ — 34 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 2,6 სმ. სურ. 22.

1, 2A ტიპი (იხ. გვ. 18).

13. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1--63/285), ყავისფერკეციანი; მოყვანილობით № 7-ის ანალოგიურია, მხოლოდ გარეთა გვერდი გამობერტილობითაა, შემკულია დამბილული იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით; ხილი ზედა გვერდზე ირგვლივი ღარებია (მოსწორების კვალი). პირის ღმ — 27 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 2,7 სმ, კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 22, 24.

1, 2A ტიპი (იხ. გვ. 19).

14. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1--73/585), ყავისფერკეციანი; პირის გვირგვინი სამკუთხაგანიკვეთიანია, ყელს პირდაპირ უერთდება, ზედა გვერდი სწორხაზოვანპროფილიანია; ყელი შეხვეტილობითაა, ქვემოთ დაიწროებული, ტანს (მხარს) თანდათანობით უერთდება. ტანის შემორჩენილი ფრაგმენტი შემკულია მერიდიანული ქედებით. ზედაპირზე ვიწრო ირგვლივი ღარებია (მოსწორების კვალი). პირის ღმ — 40 სმ, ზედა გვერდის სიგანე — 3,8 სმ, კეცის სისქე — 2,2 სმ. სურ. 23.

1, 2A — 1, 3A ტიპი (იხ. გვ. 19).

ამავე ტიპისა: №№ 07:1--57/154; 07:1--71/110; 07:1--72/188; 07:1--73/430, 493, 405, 433, 428, 562, 563, 567, 583--585; 07:1--75/750; 07:1--76/756; 07:1--77/27.

15. ქვევრის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1--57/492), რუხკეციანი, შავზედაპირი-

ანი, ყავისფერსარჩულიანი; პირის გვირგვინი სამ-
კუთხაგანიეკეთიანია, ზედა გვერდი სწორხაზოვან-
პროფილიანია, გარეთა — შეზნექილპროფილიანი,
ყელს თანდათანობით უერთდება: გვირგვინი გა-
რეთაა გამოზრდული: გარეთა გვერდი ყელზე გა-
დასკვის ადგილას შემკულია დაკბილული იარა-
ღით გამოყვანილი ორბაგი წვარედინი ხაზებით;
ყელი სწორხაზოვანპროფილიანი, ქვემოთ დაიწყო-
რბეულთ, მხარს კუთხით უერთდება; ზედაპირზე
ცნო ირგვლივი ღარებია (მოსწორების კვალი).
პირის სმ — 45 სმ, ზედა გვერდის სიგანე —
3,5 სმ, ყელის სიმაღლე — 12 სმ, კეისის სისქე —
1,5 სმ. სურ. 23.

I, 2B—I. 3A ტიპი (იხ. გვ. 19).

16. ქვეერის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—
73/170). რუხკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; მო-
ყვანილობით № 14-ის ანალოგიურია, ყელზე გა-
დასკვის ადგილი შემკულია დაკბილული იარა-
ღით გამოყვანილი წვარედინი ხაზებით. შიდა ზე-
დაპირზე უსისტემოდ მიმართული ღარებია (მოს-
წორების კვალი). პირის სმ — 40 სმ, ზედა გვერ-
დის სიგანე — 3,8 სმ. კეისის სისქე — 2,2 სმ.
სურ. 23.

I, 2B ტიპი (იხ. გვ. 19).

17. ქვეერის ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—
73/308). ყავისფერკეციანი; სწორხაზოვანპროფი-
ლიანია, შემკულია ირგვლივი ქედებით, წიწვისე-
ბურად განლაგებული ირიბი ნაჭდევებითა და წვა-
რედინი ხაზებით. ნაჭდევები და წვარედინი ხაზე-
ბი დაკბილული იარაღითაა დატანილი. კეისის სის-
ქე — 1,2 სმ. სურ. 25.

I, 3B ტიპი (იხ. გვ. 21).

18. ქვეერის ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—
74/271). ყავისფერკეციანი; სწორხაზოვანპროფი-
ლიანია, შემკულია ირგვლივი ქედებით, რომლებ-
ზეც დაკბილული იარაღით დატანილია ირიბი ნაჭ-
დევები. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარ-
ებია (მოსწორების კვალი). კეისის სისქე — 1,2
სმ. სურ. 30.

ლოტ: ვანი IV, № 681, სურ. 131.

I, 3B ტიპი (იხ. გვ. 21).

19. ქვეერის ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—
76/177), ყავისფერკეციანი; სწორხაზოვანპროფი-
ლიანია. შემკულია ირგვლივი ქედებით, რომლებ-
ზეც დაკბილული იარაღით დატანილია წვარედინი
ხაზები. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური

ღარებია (მოსწორების კვალი). კეისის სისქე —
1,4 სმ. სურ. 25.

ლოტ: ვანი IV, № 871.

I, 3B ტიპი (იხ. გვ. 21).

20. ქვეერის ყელისა და მხრის ფრაგმენტი
(№ 07:1—71/392), ყავისფერკეციანი, შეზნექილი-
რიანი; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, სადა
ზედაპირიანი; თანდათანობით უერთდება მხრებს.
ყელიდან მხრებზე გადასვლის ადგილიდან იწყება
მერიდიანული ქედები, რომლითაც შემკულია
მხრები. შიდა ზედაპირი გლუვია. კეისის სისქე —
1,5 სმ. სურ. 25, 36.

I, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისა: № 07:1—75/74.

21. ქვეერის ყელისა და მხრის ფრაგმენტი
(№ 07:1—75/162), ყავისფერკეციანი; ყელი სადა
ზედაპირიანია. მხრებს თანდათანობით უერთდება.
გადასვლის ადგილი შემკულია პორიზონტალური
ქედით, რომლიდანაც მხრებზე იშლება მერიდიან-
ული ქედები. შიდა ზედაპირზე პორიზონტალუ-
რი ღარებია (მოსწორების კვალი). კეისის სისქე—
1,4 სმ. სურ. 25.

ლოტ: ვანი IV, № 523, სურ. 117.

I, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისა: № 07:1—57/198 ა; 07:1—
67/395; 70:1—70/34; 07:1—73/44,585.

22. ქვეერის ყელისა და მხრის ფრაგმენტი
(№ 07:1—60/161), მოწითალო-ყავისფერკეცი-
ანია; ყელი სადა ზედაპირიანია; მხრებს კუთხით
უერთდება; შეერთების ადგილი შემკულია ორი
პორიზონტალური ქედით, მხრები — მერიდიანუ-
ლი ქედებით. შიდა ზედაპირი გლუვია. კეისის სის-
ქე — 1 სმ. სურ. 25.

I, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

23. ქვეერის ყელისა და მხრის ფრაგმენტი
(№ 07:1—75/148), რუხკეციანი; ყელი სადა ზედა-
პირიანია; ყელის მხართან შეერთების ადგილი
შემკულია ნაჭდევებიანი ქედით. ფრაგმენტი დე-
ფორმირებულია (მალაი ტემპერატურის ზემო-
ქმედების შედეგად). შიდა ზედაპირი გლუვია. კე-
ისის სისქე — 2,4 სმ. სურ. 26.

ლოტ: ვანი IV, № 594.

I, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისა: № 07:1—57/638.

24. ქვეერის ყელისა და მხრის ფრაგმენტი
(№ 07:1—68/248), რუხკეციანი; ყელი სადა ზედა-

პირიანია. მხარს თანდათანობით უერთდება. შეერთების ადგილი და მხრები შემკულია ირგვლივი ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით დატანილია ირიბი ნაკლებები. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 26.

1, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—61/496.

25. ქვევრის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—57,419), რუხკეციანი; ყელი სადა ზედაპირიანია, მხარს კუთხით უერთდება. შეერთების ადგილი შემკულია ლილავების ერთი რიგით: შერჩენილია მერიდიანული ქედის ნაწილიც, რომელიც ყელიდან მხრებზე გადასვლის ადგილიდანვე იწყება. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 26, 36.

1, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: 07:1—57/521.

26. ქვევრის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—69/266), ყაიისფერკეციანი; შავზედაპირიანი; ყელი სადა ზედაპირიანია. მხარს კუთხით უერთდება, შეერთების ადგილი შემკულია ირიბი ნაკლებებითა და რომბული ბადით, რომლებიც მხრებზე გადადის. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 26.

1, 4 ტიპი (იხ. გვ. 22).

27. ქვევრის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—73/190), ყაიისფერკეციანი; რუხზედაპირიანი; ყელი მხარს კუთხით უერთდება; შემკულია ირგვლივი ქედებით, მხრები — მერიდიანული ქედებით. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). ფრაგმენტს ნაცრისფერი ლაქები აქვს. კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 26, 36.

1, 4 — I, 5A ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—72/68; 07:1—77/86.

28. ქვევრის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—75/161), ყაიისფერკეციანი; მოყვანილობითა და ორნამენტაჲ № 27-ის ანალოგიურია, მხოლოდ ყელზე ირგვლივი ქედები ირიბი ნაკლებებითაა დაფარული. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 2,1 სმ. სურ. 26, 36.

1, 4 — I, 5A ტიპი (იხ. გვ. 22).

29. ქვევრის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—73/192), ყაიისფერკეციანი. რუხზედაპირიანი; ყელი მხარს კუთხით უერთდება, შემკულია ირგვლივი ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით დატანილია ირიბი ნაკლებები; მხრები შემკულია მერიდიანული ქედებით. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 27.

ლიტ: ვანი IV, № 525, სურ. 117.

1, 4 — I, 5A ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—73/193.

30. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—73/189), მოყვითალო-ყაიისფერკეციანი; სწორხაზოვანპროფილიანია; შემკულია ირგვლივი ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით ირიბი ნაკლებებია დატანილი; ნაკლებები წიწვისებურ სახეს ქმნიან. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური და დახრილი ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 27.

1, 5B ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—63/95; 07:1—67/40; 07:1—73/340.

31. ქვევრის მხრის თერთმეტი ფრაგმენტი (№ 07:1—73/117), ყაიისფერკეციანი; მოყვანილობითა და ორნამენტაჲ № 30-ის ანალოგიურია, მხოლოდ ირიბი ნაკლებები ქედებს შორის ზედაპირზეცაა დატანილი. შიდა ზედაპირზე ალაგ-ალაგ პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 27.

ლიტ: ვანი IV, № 61.

1, 5B ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—71/307.

32. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—73/55), მოწითალო-ყაიისფერკეციანი; სწორხაზოვანპროფილიანია; შემკულია ერთმანეთში ჩასმული, წყარებთ ზემოთენ მიმართული, დამჭრელი სამკუთხედებით, რომელთა ნაწილია შემორჩენილი. სამკუთხედები ალაგ-ალაგ ატყეცილია და ზედაპირზე დახრილი ღარები ჩანს. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,7 სმ. სურ. 27.

ლიტ: ვანი IV, № 220.

1, 5C ტიპი (იხ. გვ. 22).

ამავე ტიპისაა: № 07:1—75/41,

33. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—66/583). რუხკეციანი. შავზედაპირიანი. ყავისფერსარქულიანი; შერჩენილია ცხოველის გამოსახულების ნაწილი — წინა კიდურები და ტანის ნაწილი; ფხვზე ჩლიქებია გამოყვანილი; ცხოველის კონტურები უწყვეტი ხაზითაა დატანილი, ბევრები ირიბი ნაქდევებითაა გადმოცემული. ფონი დაფარულია ერთმანეთთან მიჯრილი პორიზონტალური ლარებით. გამოსახულების ქვეშ ირი პორიზონტალური ქედია, რომლებზეც დაბილული იარაღით ირიბი ნაქდევებია დატანილი; ნაქდევები წიწვსებრ სახეს ქმნიან. კეცის სისქე — 1,1 სმ. სურ. 28.

1. 5D ტიპი (იხ. გვ. 22, 23).

34. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—72/46). ყავისფერკეციანი. შავზედაპირიანი, შერჩენილია ცხოველის გამოსახულების ნაწილი — უკანა კიდური და კეული. გამოსახულების კონტური უწყვეტია დატანილი. ზედაპირი გაპირალბებულია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე 1,2 სმ. სურ. 28.

1. 5D ტიპი (იხ. გვ. 22, 23).

35. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—67/378). ყავისფერკეციანი; შერჩენილია ამოკვეთილი სამკუთხედის ნაწილი. სამკუთხედი შევსებულია ნაქდევებითა და ირიბი ლარებით. გარე-თა და შიდა ზედაპირზე ალაგ-ალაგ პორიზონტალური ლარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,3 სმ. სურ. 28.

1. 5D ტიპი (იხ. გვ. 22, 23).

36. ქვევრის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—67/393). ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შერჩენილია ამოკვეთილი სამკუთხედის ნაწილი; სამკუთხედი შევსებულია ნაქდევებითა და პორიზონტალური ლარებით. გარეთა და შიდა ზედაპირზე ალაგ-ალაგ პორიზონტალური ლარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 28.

1. 5D ტიპი (იხ. გვ. 22, 23).

37. ქვევრის მხრის ორი ფრაგმენტი (№ 07:1—76/126). ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შერჩენილია ამოკვეთილი სამკუთხედის ნაწილი; სამკუთხედი შევსებულია ნაქდევების რიგებით; მის ქვეშეთ პორიზონტალური ქედებია; ქედებზე და მათ შორის ზედაპირზე დატანილია ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ნაქდევები. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ლარებია (მოს-

წორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 28.
1. 5D ტიპი (იხ. გვ. 22, 23).

38. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/413), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია ხეტი პორიზონტალური ლარისაგან შემდგარი სარტყლით, რომლის ერთ მხარეზე მერიდიანული ქედებია, მეორე მხარეს — ირიბი; ირიბი ქედების დასაწყისში ილაკებია დატერწილი, ხოლო ქედებს შორის ზედაპირი ლარებია (მოსწორების კვალი). შიდა ზედაპირზე შემორჩენილია პორიზონტალური ლარები. კეცის სისქე — 1, 8 სმ. სურ. 29.

1. 6A ტიპი (იხ. გვ. 23).

39. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (07:1—71/397), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია პორიზონტალური ლარებისგან შემდგარი სარტყლით (შემორჩენილია 3 ლარი) და ირიბი ქედებით. ქედებთან სარტყლით ქედების ორი წყებაა, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოდ მხარესა მიმართული და რომელთა შორის ერთი მერიდიანული ქედია. ქედების დასაწყისში ილაკებია დატერწილი. შიდა ზედაპირზე უსისტემოდ განლაგებული ლარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 29.

1. 6A ტიპი (იხ. გვ. 23).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—57/51; 07:1—71/395; 07:1—75/264; 07:1—77/458; 07:1—78/99.

40. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/273), ყავისფერკეციანი; შემკულია სამი პორიზონტალური ლარისაგან შემდგარი სარტყლით, რომლის ორივე მხარეზე მერიდიანული ქედებია: ერთ მხარეს ქედების დასაწყისში ილაკებია დატერწილი. ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი დაბილული და პორიზონტალური ლარები მონაცვლეობენ. შიდა ზედაპირზე ალაგ-ალაგ პორიზონტალური ლარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,8 სმ. სურ. 29.

1. 6B ტიპი (იხ. გვ. 24).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—73/135; 07:1—76/182.

41. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/58), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია ოთხი პორიზონტალური ლარისაგან შემდგარი სარტყლით, რომლის ორივე მხარეზე მერიდიანული ქედებია. ქედებს შორის ზედაპირი

გლუვია. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 29.

ლიტ.: ვანი IV, № 221.

1, 6B ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—71/240.

42. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—77/462). ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია პორიზონტალური ღარებისგან შემდგარი სარტყლით და მერიდიანული ქედებით; ქედების დასაწყისში ლილაკებია დამერწილი; ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი დახრილი ღარებია, შიდა ზედაპირზეც ვერტიკალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 30.

ლიტ.: ვანი IV, № 600.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—63/133.

43. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/219), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია № 42-ის ანალოგიურად, მხოლოდ ქედებს შორის ზედაპირი გლუვია. შიდა ზედაპირზე ალაგ-ალაგ პორიზონტალური ღარებია. კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 30.

ლიტ.: ვანი IV, № 606, სურ. 125.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—60/271; 07:1—66/180; 07:1—67/192.

44. ქვევრის კედლის სამი ფრაგმენტი (№: № 07:1—73/374, 375, 376), წითელკეციანი; ორნამენტით № 42—44-ის ანალოგიურია, მხოლოდ ქედების დასაწყისში ლილაკები არ არის; ქედებს შორის ზედაპირზე მონაცვლოებზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი პორიზონტალური და დახრილი ღარებია, შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 30.

ლიტ.: ვანი IV, № № 750, 751, 752.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24, 25).

ამავე ტიპისაა: № 07:1—68/244.

54. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/354), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია სარტყლებად განლაგებული პორიზონტალური ღარებით და მერიდიანული ქედებით. ქედებს შორის ზედაპირზე პორიზონტალური და

5. ვანი, V.

არებია. შიდა ზედაპირზე უსისტემოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 30.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: 07:1—60/562; 07:1—71/396.

46. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/116), ყავისფერკეციანი, ლილაყავისფერზედაპირიანი; ორნამენტი № 29-ის ანალოგიურია, ოღონდ ქედებს შორის ზედაპირი გლუვია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 30.

ლიტ.: ვანი IV, № 690.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № № 07:1—57/146; 07:1—62/73; 07:1—67/192.

47. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/159), წითელკეციანი; შემკულია პორიზონტალური ღარებისგან შემდგარი სარტყლით (შემორჩენილია ხუთი ღარი). შიდა ზედაპირზე დახრილი ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,8 სმ. სურ. 30.

ლიტ.: ვანი IV, № 535, სურ. 118.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—73/378; 07:1—77/458.

48. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/147). ყავისფერკეციანი, რუხზედაპირიანი; შემკულია სამი პორიზონტალური ღარისაგან შემდგარი სარტყლით, რომლის ერთ მხარეს მერიდიანული ქედებია; ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი პორიზონტალური ღარებია; ღარებიანი სარტყლის მეორე მხარეს შერჩენილია ერთმანეთში ჩასმული ნალისებური ქედების ნაწილი. ნალისებურ ქედებზე დაკბილული იარაღით ნაქდევნებია დატანილი. შიდა ზედაპირზე უსისტემოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,7 სმ. სურ. 31.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

49. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—74/270). რუხკეციანი, შავზედაპირიანი; ორნამენტი № 48-ის ანალოგიურია. მხოლოდ ერთი პორიზონტალური ღარი აქვს. შიდა ზედაპირზეც პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,1 სმ. სურ. 31.

ლიტ.: ვანი IV, № 460, სურ. 131.

1, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

50. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/172). მოყვითალო-ყავისფერკეციანი; ორნამენტით №№ 48—49-ის ანალოგიურია, მხოლოდ მერიდიანულ ქედებს შორის ზედაპირი გლუვია; ნალსებქედებთან სარტყელში კი ქედებს ვართ ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ჰორიზონტალური ღარებია. შიდა ზედაპირზე ვერტიკალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 31.

ლიტ: ვანი IV, № 757.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—73/169; 07:1—77/89.

51. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/2). ყავისფერკეციანი; შემკულია ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით დატანილია ირიბი ნაკვდევები. მერჩენილია ჰორიზონტალური ღარებისგან შემდგარი სარტყლის ნაწილი. შიდა ზედაპირზე შემორჩენილია სხვადასხვა მიმართულებით დახრილი ღარები (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 31.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—59/77; 07:1—76/7.

52. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—74/203). ყავისფერკეციანი; შემკულია ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით, რომლებზეც დაკბილული იარაღით დატანილია ირიბი ნაკვდევები. შიდა ზედაპირზე ჰორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 32.

ლიტ: ვანი IV, № 596.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: № 07:1—77/465.

53. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/158). ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული და ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით; ნალსებურ ქედებზე დაკბილული იარაღით ნაკვდევებია დატანილი. მერიდიანულ ქედებს შორის ზედაპირზე ირიბი ღარებია (მოსწორების კვალი). შიდა ზედაპირზე ჰორიზონტალური და დახრილი ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 32.

ლიტ: ვანი IV, № 527.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

54. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/46). ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული და ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით; ნალსებური ქედების ქვემოთ მერიდიანული ქედია. ნალსებურ ქედებზე ირიბი ნაკვდევებია დატანილი; მერიდიანულ ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 32.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

55. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—77/25). ნაცისფერკეციანი; შემკულია ჰორიზონტალური ღარებისგან შემდგარი სარტყლითა და ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით; ნალსებური ქედების ქვემოთ ჩანს მერიდიანული ქედის დასაწყისი. ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღარებია, ხოლო შიდა ზედაპირზე კი ჰორიზონტალური (მოსწორების კვალი).

კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 32.

ლიტ: ვანი IV, № 903.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისაა: №№ 07:1—57/184 ა; 07:1—61/473; 07:1—63/118; 07:1—71/41; 07:1—72/135; 07:1—73/158; 07:1—76/128.

56. ქვევრის კედლის სამი ფრაგმენტი (№ 07:1—74/124). ყავისფერკეციანი; შემკულია ერთმანეთში ჩასმული ნალსებური ქედებით; ჩანს მერიდიანული ქედის დასაწყისი. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 32.

ლიტ: ვანი IV, № 529, სურ. 118.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

57. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/359). მოშვო-რუხეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია ჰორიზონტალური ღარებისგან შემდგარი სარტყლით და ორი ნალსებური ქედით, რომელთა შორის მერიდიანული ქედია. მათ შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ჰორიზონტალური ღარებია, ასევე შიდა ზედაპირზე (მოსწორების კვალი). კეცის სისქე—1,4 სმ. სურ. 32.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

58. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/185). მოყვითალო-ყავისფერკეციანი; შემკულია ერთი ჰორიზონტალური ღარისგან შემდგარი სარტყლით, რომლის ერთ მხარეს მერიდიანული

ქედებია, მეორე მხარეს — ტალისებრი ქედი. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,1 სმ. სურ. 31.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისა: № 07:—71/333.

59. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—48/63), მოყავისფრო-რუხეკეციანი. შეზედაპირიანი; შემკულია კონცენტრული წრეებით, რომლებიც ქედებით არის გამოყვანილი; ქედებს გარეთ ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ღარებია (მოსწორების კვალი). შიდა ზედაპირზე უწყსრიგოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,9 სმ. სურ. 31.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ამავე ტიპისა: № 07:1—76/181.

60. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/35), ყავისფერკეციანი, შეზედაპირიანი; შემკულია დაბალიანი იარაღით გამოყვანილი წიწვი-სებრი ორნამენტით და მერიდიანული ქედებით, რომელთა ბოლოებია მხოლოდ შემორჩენილი. ქედებს შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი პორიზონტალური ღარებია. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 2,5 სმ. სურ. 31.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

ლიტ: ვანი IV, № 689.

61. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—78/75), ყავისფერკეციანი, შეზედაპირიანი. შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ზედაპირი გლუვია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,2 სმ. სურ. 33.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

62. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/378), მოწითალო-ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი პორიზონტალური ღარებია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 33.

ლიტ: ვანი IV, № 573.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

63. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—77/64), ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია; შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 33.

ლიტ: ვანი IV, № 530.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

64. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/348), ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული ქედებითა და ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ვერტიკალური ღარებით; შიდა ზედაპირზე უწყსრიგოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 33.

ლიტ: ვანი IV, № 755.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

65. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/547), ნაცრისფერკეციანი, შეზედაპირიანი; შიდა ზედაპირი ყავისფერია, შემკულია მერიდიანული ქედითა და ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ვერტიკალური ღარებით; შიდა ზედაპირზე უწყსრიგოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 33.

ლიტ: ვანი IV, № 756.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

66. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—76/29), რუხეკეციანი, შეზედაპირიანი; შემკულია მერიდიანული ქედებითა და ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ორბი ღარებით; შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 34.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

67. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/222), ყავისფერკეციანი, ღია ყავისფერზედაპირიანი; შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ორბი ღარებია. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,8 სმ. სურ. 34.

ლიტ: ვანი IV, № 599.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

68. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/220), ყავისფერკეციანი; შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი ვერტიკალური და პორიზონტალური ღარებია; შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,4 სმ. სურ. 34.

ლიტ: ვანი IV, № 602, სურ. 125.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

69. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—76/180), ყავისფერკეციანი, შეზედაპირიანი; შემ-

კვლია მერიდიანული ქედებით. რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჯარული ირიბი და პირიზონტალური ღარებია: შიდა ზედაპირზე ვერტიკალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 2 სმ. სურ. 34.

ღიტ: ვანი IV, № 850.
I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

70. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—76/156). რუხეკიანია: შემკულია მერიდიანული ქედებით. რომელთა შორის ზედაპირზე ირიბი და პირიზონტალური ღარებია. ღარები ერთმანეთთან არ არის შერღობილ მიჯარული. შიდა ზედაპირზე ირბი ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,3 სმ. სურ. 34.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

71. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—76/205). ყავისფერეკიანია: შემკულია მერიდიანული ქედებით. რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჯარული ირიბი და პირიზონტალური ღარები მინაცვლებენ: შიდა ზედაპირზე უწყისრიგოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 34.

ღიტ: ვანი IV, № 832.
I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

72. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—73/129). მოყვითალო-ყავისფერეკიანია: შემკულია მერიდიანული ქედებით. რომელთა შორის ზედაპირზე ვერტიკალური და პირიზონტალური ღარებია; პირიზონტალურ ღარებზე ზემოდან დატანილია ტალღისებური ღარები: შიდა ზედაპირზე უწყისრიგოდ განლაგებული ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 35.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 25).

73. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/221). წითელეკიანია: შემკულია მერიდიანული ქედებით. რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მიჯარული პირიზონტალური ღარებია; პირიზონტალური ღარები ქედებს ქვემოთაა. შიდა ზედაპირზე პირიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ. სურ. 35.

I, 7 ტიპი (იხ. გვ. 24).

74. ქვევრის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—71/330). მოწითალო-ყავისფერეკიანია: ტანის შემორჩენილი ფრაგმენტი სწორხაზოვანპროფილი-

ნია, ქვევრით დაეწირობებული, ძირს კუთხით უერთდება. ძირი ბრტყელია, მასიური, ტანისაგან არ არის გამოყოფილი. კედელი შემკულია მერიდიანული ქედებით, რომლებიც ძირამდე არ ჩამოდიან; ძირთან ქედები ერთმანეთთან შეერთებულია ნახეაროვალის სახით. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,8 სმ, ძირის ღმ — 30 სმ. სურ. 35.

I, 8A ტიპი (იხ. გვ. 25).

75. ქვევრის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—73/70), ყავისფერეკიანია, შავზედაპირიანი; მოყვანილობით № 74-ის ანალოგიურია. კედელი შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ერთმანეთთან ახლოს მიჯარული პირიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). ქედები ძირამდე არ ჩამოდიან. შიდა ზედაპირი გლუვია, ფრაგმენტის ზედა კიდეგან შემჩენილია პირიზონტალური ღარები (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,2 სმ. ძირის ღმ — 18 სმ. სურ. 35.

I, 8A ტიპი (იხ. გვ. 25).

76. ქვევრის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—73/585), ყავისფერეკიანია; მოყვანილობითა და ორნამენტით № 73—74 ანალოგიურია, მხოლოდ ქედებს შორის გლუვი ზედაპირია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეცის სისქე — 1,5 სმ, ძირის ღმ — 20 სმ. სურ. 35, 36.

I, 8A ტიპი (იხ. გვ. 25).

77. ქვევრის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—73/377), მოწითალო-ყავისფერეკიანია; ტანის შემორჩენილი ფრაგმენტი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვევრით დაეწირობებული; შემკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის ერთმანეთთან ახლოს მიჯარული პირიზონტალური ღარებია; ტანი ძირს კუთხით უერთდება; ძირი ბრტყელია, გამოზოღული. კიდე სწორხაზოვანად აქვს ჩამოჭრილი: შიდა ზედაპირზე პირიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეცის სისქე — 1,5 სმ, ძირის ღმ — 18 სმ. სურ. 35.

ღიტ: ვანი IV, № 759.

I, 8B ტიპი (იხ. გვ. 25).

მავე ტიპისაა: № 07:1—60/162; 07:1—70/337.

78. ქვევრის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—67/216), ყავისფერეკიანია, შავზედაპირიანი; შიდა ზედაპირი რუხია, მოყვანილობით № 77-ის ანა-

ლოჯურია, ტანი შემეკულია მერიდიანული ქედებით, რომლებიც ძირამდე ჩაბრძის. შიდა ზედაპირი გლუვია. კეისის სისქე — 1,5 სმ. ძირის დმ — 20 სმ. სურ. 35, 36.

I, 8B ტიპი (იხ. გვ. 25).

79. ქვევრის ძირ-ტანის ორი ფრაგმენტი (№ 07:1—73/586), მოწითალო-ყავისფერკეციანი; მოყვანილობით №№ 77—78-ის ანალოგიურია, მხოლოდ ძირს კიდე მომრგვალებული აქვს; ტანის შემორჩენილი ფრაგმენტი შემეკულია მერიდიანული ქედებით, რომელთა შორის პორიზონტალური ღარებია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეისის სისქე — 1,8 სმ. ძირის დმ — 17 სმ. სურ. 35, 36.

I, 8B ტიპი (იხ. გვ. 25).

II. მდრ მუხი

80. დერგის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1—69/213), რუხკეციანი; ოხხუთხაგანი-ყვეთიანია, ზედა და გარეთა გვერდები შემეკულია დამბილობით იარაღით გამოყვანილი წიწისებრი ორნამენტით. პირის დმ — 28 სმ. სურ. 38.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—57/409; 07:1—61/448; 07:1—69/61; 07:1—71/342, 07:1—73/593; 07:1—74/241; 07:1—75/184.

81. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—71/97), რუხკეციანი. შავზედაპირიანი; პირის გვირგვინი ოხხუთხაგანიყვეთიანია, გვირგვინის ზედა გვერდი ყელისაგან არ არის გამოყოფილი; ზედა და გარეთა გვერდები შემეკულია რომბული ბადით; ყელი შეზნექილპარტიფილიანია, ქვემოთ დაღვიწროებული, მხარს თანდათანობით უერთდება, შეერთების ადგილს ირგვლივ ქელი გასდევს; მხრების შემორჩენილ ფრაგმენტზე ჩანს მერიდიანული ქედის დასაწყისი. პირის დმ — 19 სმ. სურ. 39.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—71/98; 07:1—72/126; 07:1—73/593.

82. დერგის კედლის შეიდი ფრაგმენტი (№ 07:1—71/412), რუხკეციანი; შემორჩენილია ყველიდან მხარზე გადასვლის ადგილი; ყელი მხარს უთხოთ უერთდება, ტანი გამობერიალპარტიფილიანია; მხრები და ტანის უდიდესი დიამეტრის ადგილი შემეკულია ირგვლივ ღარებითა და ურთი-

ერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ირიბი ნაკვეთების რიგებით; ღარებიანი სარტყელის ორივე მხარეს ტანზე მერიდიანული ქედებია. კეისის სისქე — 0,9 სმ. სურ. 39, 40.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

83. დერგის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—76/410), ყავისფერკეციანი; შემეკულია ირგვლივ ღარით, რომლის ორივე მხარეს მერიდიანული ქედებია. ერთ მხარეზე ქედები ღილაკებით ბოლოვდება. ზედაპირზე შავი ლაქებია (კვებლის კვალი). კეისის სისქე — 0,7 სმ. სურ. 40.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

84. დერგის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—75/185), ყავისფერკეციანი; შემეკულია ირგვლივ ღარებით და მერიდიანული ქედებით, ქედებს შორის ზედაპირი დაფარულია წვრილი, ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი პორიზონტალური ღარებით. კეისის სისქე — 0,7 სმ. სურ. 40.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—63/300; 07:1—66/9; 07:1—69/302; 07:1—73/18.

85. დერგის კედლის ექვსი ფრაგმენტი (№ 07:1—48/9), ყავისფერკეციანი; შემეკულია ირიბ-ნაკვეთებიანი ირგვლივ ღარებით, ზენური ხეობით და მერიდიანული ქედებით. კეისის სისქე — 0,8 სმ. სურ. 38.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

86. დერგის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—63/302), ყავისფერკეციანი; შემეკულია მერიდიანული ქედით და ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი პორიზონტალური ღარებით. შიდა ზედაპირზე პორიზონტალური ღარებია (მოსწორების კვალი). კეისის სისქე — 0,7 სმ. სურ. 40.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—73/18, 07:1—77/67.

87. დერგის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—66/73), ყავისფერკეციანი; შემეკულია მერიდიანული ქედებით. ქედებს შორის ზედაპირი გლუვია. შიდა ზედაპირი გლუვია. კეისის სისქე — 0,7 სმ. სურ. 40.

II, 1 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—62/478, 544; 07:1—66/9, 37; 07:1—67/132; 07:1—75/77; 07:1—76/411; 07:1—77/55, 56, 61.

88. დერგი № 07:1—69/452)¹, ყავისფერკეც-
ციანი; პირის გვირგვინი ობჟექთხაგანკევითიანი,
ზედა ვვერდი ყელისგან არ არის გამოყოფილი;
ყელი კლინდრულია. ტანს კუთხით უერთდება.
მეომჩენკა ირგვლივი ღარები: ყელზე ყურებთან
ლლაკებია დაპერწილი. ტანის მოყვანილობა ბი-
კონუსურს უახლოვდება; ის შემკულია სარტყლემ-
ბად განლაგებული მერიდიანული და ირგვლივი
პირალა ზოლებით; ძირი ბრტყელია; ყურები (ორი)
ოვალურგანიკევითიანი. ზემოთ მორკალული, მი-
მაგრებულია ყელსა და ტანის ზედა ნაწილზე; ყუ-
რების ბოლოებზე ნაქდევები. ზედაპირზე შავი
ლაქებია (ყეცხლის კვალი?). სიმაღლე — 44 სმ,
პირის დმ — 15,5 სმ, ძირის დმ — 14 სმ. ტანის
უდიდესი დიამეტრი — 37,5 სმ. სურ. 41—42.

ლიტ: ვანი, I, გვ. 237, სურ. 221.

II, 2 ტიპი (იხ. გვ. 26).

ამავე ტიპისა: № 07:1—69/453.

89. დერგი (№ 07:1—69/454)², ყავისფერკე-
ციანი; პირი სწორია, ყელი სწორხაზოვანპროფი-
ლიანია, ქვემოთენ დაიწროებული; ტანს კუთხით
უერთდება. ტანის მოყვანილობა ბიკონუსურს
უახლოვდება; ის შემკულია სარტყლემბად განლა-
გებული მერიდიანული და ირგვლივი პირალა ზო-
ლებით; ძირი ბრტყელია, ყურები (ორი) მრგვალ-
განიკევითიანია, თანაბრად მორკალული, თარა-
ზულადაა მიმაგრებული ტანის ზედა ნაწილზე;
ყურების ბოლოებზე ნაქდევები. სიმაღლე — 27
სმ, პირის დმ — 24 სმ, ტანის უდიდესი დმ —
30 სმ, ძირის დმ — 13,5 სმ. სურ. 41, 42.

ლიტ: ვანი I, გვ. 237, სურ. 222.

II, 3 ტიპი (იხ. გვ. 27).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—60/255; 07:1—63/
91, 92; 07:1—67/383.

90. დერგის პირ-ყელისა და ტანის ოცდა-
ოერთმეტრი ფრაგმენტი (№ 07:1—74/40). რუხკე-
ციანი; მოყვანილობით № 89-ის ანალოგიურია;
ტანის ზედა ნაწილი (ყელთან) შემკულია ირგე-
ლივი ღარებით; ძლიერ დეფორმირებულია. კეცის
სისქე — 0,9 სმ. სურ. 45.

ლიტ: ვანი IV, გვ. 104, სურ. 164.

II, 3 ტიპი (იხ. გვ. 27).

91. დერგის პირ-ყელის და ტანის ფრაგმენტი
(№ 07:1—69/164), რუხკეციანი, შავზედაპირიანი;
პირი გართაა გადახრილი; ყელი შეხვეტილპრო-
ფილიანია, ქვემოთ დაიწროებული; ტანს კუთხით
პირალა ზოლებით დაფარული; ყელი ტანს თან-
დათანობით უერთდება; ტანის მოყვანილობა არ
ისაზღვრება, შემკულია მკვეთრი მერიდიანული
პირალა ზოლებით. პირის დმ — 39 სმ, კეცის სის-
ქე — 0,8 სმ. სურ. 39.

II, 4 ტიპი (იხ. გვ. 27).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—69/5, 140, 158,
300; 07:1—71/188; 07:1—73/586, 600, 615.

92. დერგის პირ-ყელის და ტანის ფრაგმენ-
ტი (№ 07:1—71/129), რუხკეციანი, შავზედაპირ-
იანი; № 91-ის ანალოგიურია, მხოლოდ პირის
კიდე შემკულია ირიბი ღარებით. პირის დმ — 38
სმ, კეცის სისქე — 0,9 სმ. სურ. 44.

II, 4 ტიპი (იხ. გვ. 27).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—67/400; 07:1—
73/616.

93. დერგის პირ-ყელის, ყურებისა და ტანის
ფრაგმენტი (№ 07:1—71/413), რუხკეციანი; პირი
გართაა გადახრილი, მიმრგვალებულია; ყელი
შეხვეტილპროფილიანია, ქვემოთ დაიწროებული;
ტანს კუთხით უერთდება; ტანის ზედა ნაწილის
მკირე ფრაგმენტია შემორჩენილი და მისი მასა-
სიათბედი არ ისაზღვრება. ყურები (ორი — ერ-
თის მხოლოდ ბოლოა შემორჩენილი) ოვალურ-
განიკევითიანია, თანაბრად მორკალული, დამაგრე-
ბულია ყელსა და ტანის ზედა ნაწილზე; ზედა
ბოლო შემკულია სამი ნაქდევით, რომლებიც პო-
რიზონტალურ რიგადაა განლაგებული. პირის დმ—
13,3 სმ, კეცის სისქე — 0,8 სმ. სურ. 43, 44.

II, 5 ტიპი (იხ. გვ. 27).

94. დერგის პირ-ყელის, ყურისა და ტანის
ფრაგმენტი (№ 07:1—71/414), ყავისფერკეციანი;
მოყვანილობით № 93-ის ანალოგიურია; ყურის
ზედა ბოლო შემკულია ნაქდევების ორი ვერტიკა-
ლური რიგით. პირის დმ — 20 სმ, კეცის სისქე —
0,8 სმ. სურ. 43, 44.

II, 5 ტიპი (იხ. გვ. 27).

95. დერგის პირ-ყელის, ყურისა და ტანის
ფრაგმენტი (№ 07:1—71/415), ყავისფერკეციანი;
№№ 93—94-ის ანალოგიურია. ყელი შემკულია
ირგვლივი ღარებით, ხოლო ყური — ქვარდინი

¹ ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ
№ 10—975: 120.

² ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ.
№ 10—975:219.

ხაზებით. პირის ღმ — 26 სმ. კეცის სისქე — 0,9 სმ. სურ. 43, 44.

II, 5 ტიპი (იხ. გვ. 28).

96. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—71/337), რუხეკიანი, შეხედაპირიანი; პირი გარეთაა გადახრილი, მომრგვალებული; ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ დაეწროებული. ტანს თანდათანობით უერთდება; ტანის პროფილი და დახრილობა ფრაგმენტულობის გამო არ ისაზღვრება. ყელი შემკულია ირგვლივ პრიალა ზოლებით, ტანი — პრიალა ზოლებით გამოყვანილი რომბულ ბადით. პირის ღმ — 36 სმ, კეცის სისქე — 0,7 სმ. სურ. 44, 45.

II, 6 ტიპი (იხ. გვ. 28).

97. დერგის პირ-ყელისა და ტანის ორი ფრაგმენტი (№ 07:1—71/126), ყვისფერკეკიანი; პირი სწორია, შესქელებული; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ დაეწროებული; ტანს კუთხით უერთდება; ტანის შემორჩენილი ზედა ნაწილი შემკულია დაბილული იარაღით გამოყვანილი ირიბი ხაზების სატყელითა და ირგვლივ ღარებით. პირის ღმ — 12 სმ, კეცის სისქე — 0,6 სმ. სურ. 44, 45.

II, 7 ტიპი (იხ. გვ. 28).

III. ო რ თ ნ ა ბ

98. ქოთანი (№ 07:1—71/389). რუხეკიანი, შეხედაპირიანი; პირი გარეთაა გადახრილი, შიდა მხარეს გასდევს ღარი; ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთკენ დაეწროებული, ტანს თანდათანობით უერთდება, შემკულია ირგვლივ ღარებით; ტანი გამოხედილპროფილიანია, ძირისკენ დაეწროებული, მხრები არა აქვს გამოკვეთილი, შემკულია პრიალა მერიდიანული ზოლებით; ძირი ბრტყელია, პრიალა ზოლები ემჩნევა. ყური ნახევარეალებურგანვიკეთიანია, ზემოთ მორკალული, მიმაგრებულია ტანის ზედა ნაწილზე; ყურის ზედა ბოლოზე ირიბხაზდებულობი ქელია. სიშაღლე 16,5 სმ, ყელის სიშაღლე — 2,5 სმ, პირის ღმ — 13 სმ, ძირის ღმ — 10,6 სმ. სურ. 46.

III, 1 ტიპი (იხ. გვ. 28).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—66/118; 07:1—69/35, 163; 07:1—71/356, 378; 07:1—74/30.

99. ქოთნის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—69/24). რუხეკიანი; მოყვანილობით № 98-ის ანალოგიურია; ყელი შემკულია ირგვლი-

ვი ღარებით და ტალღისებური ხაზებით, ტანი — პრიალა ზოლებით, რომლებიც რომბულ ბადეს ქმნიან. პირის ღმ — 22 სმ. სურ. 47.

III, 1 ტიპი (იხ. გვ. 28).

ამავე ტიპისა: 07:1—69/36.

100. ქოთნის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—68/118), რუხეკიანი; პირი სწორია, ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ დაეწროებული, ტანს კუთხით უერთდება; მხრები გამოკვეთილია, შემკულია ირგვლივ ღარებით, ირგვლივ და მერიდიანული პრიალა ზოლებით. პირის ღმ — 12 სმ. კეცის სისქე — 0,4 სმ. სურ. 47—48.

III, 2 ტიპი (იხ. გვ. 29).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—58/27 ზ; 07:1—59/194; 07:1—61/604; 07:1—66/425; 07:1—69/111, 144, 162; 07:1—70/27; 07:1—71/314, 356, 358; 07:1—72/50; 07:1—79/548; 07:1—74/28; 07:1—75/169; 07:1—76/190; 07:1—77/469.

101. ქოთნის მხრის ფრაგმენტი (№ 07:1—77/4), რუხეკიანი, შემკულია ირგვლივ ღარებით, შემორჩენილია პრიალა მერიდიანული ზოლების დასაწყისიც. კეცის სისქე — 0,4 სმ.

III, 2 ტიპი (იხ. გვ. 29).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—67/58, 384; 07:1—68/128, 148; 07:1—69/148; 07:1—77/134, 137, 182—184; 07:1—78/136.

102. ქოთნის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—69/3), რუხეკიანი; პირი გარეთაა გადახრილი; ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ გაფართოებული, შემკულია ფართო ირგვლივ ღარებით და ტალღისებრი ხაზით, ტანს თანდათანობით უერთდება; მხრები გამოკვეთილია, შემკულია ირიბი პრიალა ზოლებით. პირის ღმ — 13 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ. სურ. 47, 49.

III, 3 ტიპი (იხ. გვ. 29).

ამავე ტიპისა: №№ 07:1—60/163; 07:1—69/185; 07:1—71/348.

103. ქოთნის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—69/6), რუხეკიანი; მოყვანილობით № 102-ის ანალოგიურია; ყელი შემკულია ფართო ირგვლივ ღარებით, მხრები — პრიალა ზოლებით გამოყვანილი რომბული ბადით. პირის ღმ — 13 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ. სურ. 49.

III, 3 ტიპი (იხ. გვ. 29).

ამავე ტიპისა: № 07:1—74/39.

104. ქოთნის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—69/206); № 99-ის ანალოგურია; მხარე ტუხრო ხაზებია. კეისის სისქე — 0,5 სმ. III, 3 ტპი (იხ. გვ. 29).

105. ქოთნის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—77/62), რუხეკეიანი; შემკულია პრიალა მერიდიანული ზოლებით. კეისის სისქე — 0,4 სმ.

•III, 1—3 ტპი (იხ. გვ. 29).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—66/543; 07:1—68/209, 221; 07:1—69/21; 07:1—70/250; 07:1—71/368, 378, 381; 07:1—72/113; 07:1—76/218; 07:1—77/24, 135; 07:1—78/126, 170, 172.

106. ქოთნის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—77/91), რუხეკეიანი, შეზედაპირიანი; შემორჩენილი ტანის ქვედა ნაწილი სწორხაზოვანპროფილიანია. ქვემოთ დაეწრობებული; შემკულია პრიალა მერიდიანული ზოლებით, რომლებიც ძირად არ ჩამოდის, ძირთან პრიალა ირგვლივ ზოლებია. ძირი ბრტყელია, შეიძინევა პრიალა ზოლები (ზედაპირის მოსწორების კვლი). ძირის ღმ — 16 სმ. სურ. 48.

III, 1—3 ტპი (იხ. გვ. 28, 29, 30).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—60/136, 197; 07:1—68/207, 221; 07:1—69/25; 07:1—70/250; 07:1—71/323, 342, 360, 386; 07:1—77/22, 148.

107. ქოთნის ძირ-ტანის ფრაგმენტი (№ 07:1—68/122), რუხეკეიანი, შეზედაპირიანი, მოყვანილობით № 106-ის ანალოგურია, შემკულია პრიალა მერიდიანული ზოლებით, რომლებიც უშუალოდ ძირამდე არ ჩამოდის. ძირის ღმ — 13 სმ. სურ. 47.

III, 2—3 ტპი (იხ. გვ. 29, 30).

108. ქოთანი (№ 07:1—71/386), რუხეკეიანი; პირი გარეთაა გადახრილი, ყელი შეზნექილპროფილიანია. ქვემოთ დაეწრობებული, ტანს თანდათანობით უერთდება; ტანი ქოლისებურია, შემკულია ზედა ნაწილში ირგვლივ დარებით, რომელთა ქვეშ სამი კოპია; ძირი ბრტყელია. სიმაღლე — 10,3 სმ, პირის ღმ — 9,5 სმ, ძირის ღმ — 6,7 სმ. სურ. 46, 48.

III, 4 ტპი (იხ. გვ. 30).

109. ქოთანი (№ 07:1—69/447)³, რუხეკეიანი; პირი გარეთაა გადახრილი, ოთულპროფილიანია.

ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ დაეწრობებული; ტანს თანდათანობით უერთდება, ტანთან შეერთების ადგილას ლლაკების რიგია დაძვრილი; ტანი მოყვანილობით ბიკონუსურს უახლოვდება; უდიდესი დიამეტრის ადგილზე ორ ღმ-ის შორის მოქცეული ირიბი ნაკვეთების სარტყელია; ძირი ბრტყელია. ზედაპირის გაპრიალებულია. სიმაღლე — 13 სმ, პირის ღმ — 10 სმ, ძირის ღმ — 7 სმ. სურ. 48.

ლიტ: ვანი 1, გვ. 237.

III, 5 ტპი (იხ. გვ. 30).

110. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1—73/334), ყვისფერკეიანი; № 109-ის ანალოგურია. პირის ღმ — 16 სმ. კეისის სისქე — 0,7 სმ. სურ. 48.

ლიტ: ვანი IV, კატ. № 764, სურ. 157.

III, 5 ტპი (იხ. გვ. 30).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—60/257; 07:1—69/145; 07:1—73/426; 07:1—74/44; 07:1—76/82, 189.

111. ქოთანი (№ 07:1—48/119), მოყვითალო-ყვისფერკეიანი; პირი სწორია; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ დაეწრობებული, ტანს კუთხით უერთდება; ტანი ბიკონუსურია, ძირი ბრტყელია; ტანის ზედა ნაწილზე დაძვრილია მრგვალგანივეთიანი, ზეაწეული ყურია. ზედაპირი გაპრიალებულია. სიმაღლე — 10 სმ, ყელის სიმაღლე — 2,5 სმ. პირის ღმ 7,5 სმ, ძირის ღმ — 5,8 სმ. სურ. 49.

III, 6 ტპი (იხ. გვ. 30).

ამვე ტიპისა: № 07:1—78/108.

IV. ანალოგები

112. ქაბის პირ-ტანის და ყურის ფრაგმენტი (№ 07:1—69/247), რუხეკეიანი; პირი სწორია, ტანს გამობერილი პროფილი აქვს; პორიზონტალური ყური პირიდან ზეაწეულია, თანაბრად შორკალული, ოვალურგანივეთიანია; ზედაპირზე შავი ლაქებია (ცეცხლის კვლი). კეისის სისქე — 0,6 სმ. სურ. 50.

IV ტპი (იხ. გვ. 31).

ამვე ტიპისა: №№ 07:1—52/13; 07:1—60/72, 519; 07:1—66/377, 452; 07:1—70/62; 07:1—73/6; 07:1—74/227; 07:1—76/63, 240.

113. ქაბის პირ-ტანისა და ყურის ფრაგმენტი (№ 07:1—62/468), რუხეკეიანი; მოყვანილო-

³ ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში, ინვ. № 10—975: 113.

ბით № 112-ის ანალოგიურია, ყურის შუა ნაწილში დაკბილული იარაღით წყარდინი ხაზებია დატანილი. ზედაპირზე შავი ლაქებია (ეცხლის კვალი). კეცის სისქე — 0,6 სმ. სურ. 50.

IV ტიპი (იხ. გვ. 31).

